



IV

აკრილი

IV



ამ ნომერთან „კანათლების“ ხელისმომწერლებს უფასოდ ურიკდებოდა სიმღერა „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დაწეობილი ა. ნ. ყარაშვილის მიერ.

შინაარსი: 1) სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი. კრიტიკული ეტიუდი (გაგრძელება) — ი. ვართაგავა. 2) დედობრივი გრძნობა (დასასრული) — გ. ანთელაძე. 3) ბუნება და სამკურნალო მეცნიერება ჰიგიენა — საზოგადო დახასიათება ბაქტერიების (წერილი მეხუთე) ილ. ალხაზიშვილი. 4) პასუხი — ივ. გომართელი. 5) სუსტ-ნერვებიანი ბავშვები და მათი აღზრდა (წერილი მეოთხე) ბავშვთა ნერვული სხეულებანი და მათი სხვა და სხვაობა — ილ. ფერაძე. 6) ბუნების-მეტეოლოგიის მნიშვნელობა ბავშვთა აღზრდის სისტემაში — კატო ბაქ — ძე. 7) თავ. გრ. ორბელიანი და რომანტიული მიმართულება ქართულს ჰოკეიაში — ილ. ფერაძე. 8) წერილი კაბრიელ ეპისკოპოსისა გიორგი მუხრან ბატონთან. 9) სინათლე და ელექტრონი — პ. ქარუმიძე. 10) უკანასკნელი მეგობარი — დ. თურდოსპირელი. 11) მიუვარს მთვარე — ლ. ძიძიგური. 12) ჩემი სიმღერა — გ. ლეონიძე. 13) გოლგოთა — ს. ტაიფუნი. 14) მწუხრი — გ. ლეონიძე. 15) შენი თვალები — დ. თურდოსპირელი. 16) გაზაფხულის დილის ცრემლი (ეტიუდი) — კეცხოველი. 17) სახალხო კანათლების მოღვაწენი — გიგო შარაშიძე, მისი 41 წლის სახალხო მასწავლებლის ასპარეზზე მოღვაწეობის გამო — ნარინი. 18) საჭირთა მასწავლებელთა კავშირების დაარსება — ვ. ობჩელი. 19) სახალხო მასწავლებელს — გ. ა — ნი. 20) ჟურნალ-გაზეთებიდან. 21) სიტყვა ოსტატის მოვალეობაზე, თქმული ქუთაისის საოსტატო სემინარიის მოწაფეთა მიმართ — მღვდ. გერ. ხაუომია. 21) ქობულეთის სახალხო სკოლების აწმყო და მომავალი ქიაშილ ეფენდი ალმასხანიძე. 22) ქართველი კათოლიკეები (წერილი ბათომიდან) — პავლე გურგენბეგიშვილი. 23) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. მტენარენი და ცხოველნი, მეცნიერების დღევანდელი თვალსაზრისით, 21 სურათით, შედგენილი ვ. ი. რცხილაძის მიერ — ილ. ალხაზიშვილი.

დამატება: ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა: 1) მოკლე მიმოხილვა სოხუმის განყოფილებისა, დღიდან მის დაარსებისა ვიდრე პირველ იანვრამდე 1914 წ. 2) ზუგდიდის განყოფილების ანგარიში 1913 წლისა.

მიიღება ხელის მოწერა საზოგადოებრივ და სალიტერატურო გაზეთი

„ბათუმის გაზეთი“

(წელიწადი მეოთხე)

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ. ერთი წლით 3 მან. ნახევარი წლით 1 მ. 50 კ. 3 თვით 75 კ. ერთი თვით 25 კ. აღრესის გამოცვლა 20 კაპ.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ პრემიათ ექვსს წიკნს

1) ერთ-ერთ სახლგაზდა მკონის ლექსების კრებულს, ავტორის ბიოგრაფიით და სურათით. 2) ერთ-ერთ სახლგაზდა ბელეტრისტის მოთხრობათა კრებულს და დანარჩენსაც სხვა და სხვა დარგის წიგნებს.

ფოსტის აღრესი: Батумъ, Шереметьевская ул. д. Барона-Фитингофа, № 18
Редакция Газ. „Батумсь Газети“.

განათლება

(წელიწადი მეშვიდე)

IV	აკრული	1914 წ.
<p>ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან. ნახევარი წლით . 3 მან. სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან.</p>	<p>ცალკე ნომ- რის ფასი 40 კაპ.</p>	<p>ხელის მოწერა. მიიღება თფილისში წერა- კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად- რესით: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназия. Л. Г. Боцвадзе.</p>

სიმღერა მთის შვილის—ვაჟა-ფშაველასი.

კრიტიკული ეტიუდი

(გაგრძელება)

პოემა „გველის მჭამელი“

როგორც მკითხველიც შენიშნავდა, ჩვენ ჯერ არც კი გვიხსენებია ისეთი ღრმა შინაარსიანი და უმაღლესად მხატვრულნი ნაწარმოებნი, როგორნიც არიან პოემები: „გველის მჭამელი“ და „სტუმარ-მასპინძელი“. ეს მისთვის, რომ ჩვენ გვსურდა მათი გამოყოფა და ცალკე განხილვა, როგორც ისეთის ნაწარმოებებისა, რომლებსაც ვერ გამოვიყენებდით ჩვენ მიერ ზემოდ მიღებულ გეგმის მიხედვით მასალად.

ამ ნაწარმოებთ იდეის მხრივ არსებითად არა აქვთ ნათესაობა ვაჟას სხვა პოე-

მებთან. მათში მგოსანი უმთავრესად ცდილობს ცხად ჰყოს და ხორცი შეასხას ზოგადს და განყენებულს ფილოსოფიურ-სოციალურს იდეებს.

ამ მხრივ ეს პოემები უნდა ჩაითვალოს საუკეთესო ნაწარმოებად ქართულს ლიტერატურაში; თუმცა ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დედა აზრი ამ პოემებისა, (უნდა ვიფიქროთ) ხალხის საერთო სულიერ ძალითაა გამოჭედილი. მათში ვატარებულ იდეა ვაჟას გონების სინტეზის ნაყოფს; ან ინტუიტიურად მისი სულიერ ძალთა ქმნილებას არ წარმოადგენს. ვაჟამ ხალხის მიერ შეზავებულ იდეას მხოლოდ შედარებით შესაფერი სამოსელი შეუკერა,

მხოლოდ კოხტად მორთო და ლამაზი მხატვრულ ქმნილებად გარდააქცია.

რომ ვაჟასი თითქმის ყველა პოემას საფუძვლად უდევს ხალხის თქმულება, გადმოცემა, ზღაპარ-ლეგენდა, — ეს ექვს გარეშეა; ამას თვით მკოსანიც არ მალავს, როდესაც პოემის სათაურის ქვეშ ფრჩხილებში შენიშნავს ხოლმე: „ძველი ამბავი“-ო.

რასაკვირველია, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხატვარი ფაბულად თვის ნაწარმოებისათვის ხალხისაგან შექმნილ ზღაპარ-გადმოცემას ან ლიტერატურაში უკვე შემუშავებულ და ცნობილ სიუჟეტს იღებს, თუ კი ეს მასალა მან ჯეროვანის ოსტატობით შეაზავა, გაალამაზა, გაართულა, — ეს ფაქტი სრულებით ვერ დაამცირებს ვერც მხატვრულ ნაწარმოების ღირსებას და ვერც ავტორის შემოქმედებითს ნიჭს. თვით უკვდავნი და მსოფლიო გენიოსნი: ჰომეროსი, შექსპირი, ჰიოტე, დანტე და სხ. თავიანთ ნაწარმოებთათვის იღებდნენ ცნობილს, არა ერთხელ სხვებისგან დამუშავებულს, სიუჟეტს, ფაბულას. მაგრამ, რადგანაც მათ ეს უბრალო, მომეტებულს შემთხვევაში მშრალი და გაცვეთილი, ფაბულა, ზღაპარი, გენიოსობის წყალობით რთული, სრული და მხატვრული ნაწარმოებებად გარდააქციეს, — მათს სახელს და დიდებას ამ „ნასესხობით“ არაფერი დაჰკლებია რა.

მაშასადამე, ვაჟას სახელს და დიდებასაც ბევრი არაფერი დააკლდება მაშინაც, თუ რომ ყველა მისი პოემების ფაბულას და სიუჟეტს დედანი მოუძებნეთ ხალხურ თქმულება-გადმოცემაში.

მართალი რომ ვსთქვათ, აბა ვის შეუძლია, რაც გინდ გენიოსიც იყოს, იმის შექმნა, რაც სხვას არ შეუქმნია და არ უფიქრნია?! ტყუილად კი არ არის ძველ-

თაგან ნათქვამი, რომ „არა რა არს ქვეყნიერებაზე ახალი“ო.

პოეტის ძლიერება, მისი შემოქმედების სიგრძე-სიგანე, მისი გენიალობა უმთავრესად იმითი განიზომება, თუ როგორ ისარგებლა მან არსებულ მასალით: გადმოცემით, ზღაპრით, ისტორიული სიუჟეტით; თუ როგორ გარდააქცია „ხელის ხელსა-გოგმანებელ“ ობოლ მარგალიტად მარტივი, ბევრს შემთხვევაში პრიმიტიული, ფაბულა, არაკი.

თუ შოთა რუსთველმა თვისი უკვდავ „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის დროს ისარგებლა მზა მასალით: ხალხში შექმნილ-შენახულ სიმღერებით ტირილზე (როგორც ამას ამტკიცებს ა. ხაჩანაშვილი), ან რომელიმე პრაზით გადმოღებულ სპარსულ ორიგინალით (როგორც ეს ჰგონია პრ. მარტს), — განა, ეს ასეც რომ იყოს, ამითი რამე დააკლდება შოთას გენიოსობას?! — სრულებით არა!

ექვს გარეშეა, ვიმეორებთ, რომ ვაჟაც უხვად და ხშირად სარგებლობს ხალხში შექმნილ-შენახულ ეპიკურ მასალით: საგმირო სიმღერებით და თქმულებებით.

ეს მასალა თავისთავად ისეთი აზრიანი და მხატვრულია, რომ მათი შეუმუშავებლადაც გაცნობა ასიამოვნებს და ჩააფიქრებს მკითხველს.

ვაჟამ კი თავს იღო მათი შემუშავება, ხელოვნურ ფორმაში ჩამოსხმა, მთლიან ნაწარმოებად გარდაქმნა. კარგი, ლამაზი და მხატვრულია ეს ცდა მკოსნისა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან, ჩვენის აზრით, მაინც ვერ მოახერხა, — ვერ ვიტყვით — ვერ შეძლო, — მათი რთულ, ღრმა და ფართე მხატვრულ ნაწარმოებებად გადაქმნა-გადადუღება.

ჩვენმა პოეტმა არამც თუ ვერ გაართულა ეს ქმნილება ხალხის ფანტაზიისა,

არამედ მას თავიც ვერ დაუღწევია მისი ზეგავლენისათვის, როგორც იდვის, ისე მომეტებულად ფორმის მხრით. როდესაც კითხულობთ ვაჟას პოემებს, თქვენ გგონიათ, რომ ვიღაცას უცვლელად ჩაუწერია ხალხში დარჩენილი ლამაზი თქმულება და თქვენდა დასატკობად დაუბეჭდილია: იგივე ხალხური ენა, იგივე რითმა, იგივე ხალხური შედარებები, ეპიტეტები, ტროპები, იგივე ხალხის შეხედულობის, რწმენის მოხაზულობა და ხასიათი, იგივე ხალხური საგმირო ჰანგები, იგივე ხალხური იდეალები!

ამას ჩვენ, რასაკვირველია, პრობლემატიურად ვამბობთ, მხოლოდ აპრიორულად უთითებთ აღნიშნულს მზგავსებაზე. — ისე კი, სანამ ის „ძველი ამბები“, რომლებიც არაკად აულია ვაჟას თვისის პოემებისათვის, შეუცვლელად არ ჩაიწერება და არ გამოქვეყნდება, მანამდის ძნელია გადაჭრით თქმა, თუ რა ეკუთვნის პოემაში ხალხის გენიოსობას და თუ რა შეუტანია თვით მგოსანს.

ასეთი შედარებითი გაცნობა ხალხის ეპიკურ ნაწარმოებთა და ვაჟას პოემებისა დიდად საჭირო და საინტერესოა; მაგრამ არა იმ მიზნით, რომ დიდების გვირგვინი, — მომეტებულად მისის პოემების ღირსებებიდგან დაწნული, ჩამოეხსნას ჩვენს სასიქადულო მგოსანს, არამედ იმისთვის, რომ გავიცნოთ იდეიური საღარო ჩვენის ერისა, გავითვალისწინოთ მისი შემოქმედების საზღვრები...

ვსთქვათ, ამ შედარებითმა გაცნობამ გამოარკვია, რომ ვაჟას პოემებს დიდი მზგავსება აქვს ხალხურ „ძველ ამბებთან“, რომ პოემებში გამოყვანილ გმირების სახე უმთავრესად ხალხის ფანტაზიითაა შექმნილი, რომ ამ პოემებში საზოგადოდ ჩაქსოვილია ხალხის მსოფლ-მხედველობა და სხვა

და სხვა. — დეე, ასე მოხდეს. მერე რაო? თუ ამითი რამე დააკლდება ჩვენს საყვარელ მგოსნის პირადს დიდებას, ეს მიემატება მისი სათაყვანებელ ერის გენიოსობას!

—

„გველის მქამელი“ ღრმა შინაარსიანი ნაწარმოებია. მისი დედა-აზრი შემდეგია: „გამეცნიერება“ ადამიანისა, რა გზითაც უნდა მოხდეს ეს, განსაკუთრებულ „ჭკუას“ აძლევს მას და „გულის ხედვას და თვალებს, როგორც ბრმას და ყრუს, უხსნის“.

„გამეცნიერებულო“ ადამიანი წვდება სიცოცხლის საიდუმლოებას; მას

„ესმის დღეიდან ეფექლი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან შტენარენი, ცხოველნი,
რადას იღხენენ, — წვალაბენ“.

„მეცნიერს“, როგორც მეგობარს, ემუსაიფებიან „ცა, დედა-მიწა, ტყე“. ზნეობრივადაც „გამეცნიერება“ ადამიანს ისე ასპეტაკებს, რომ მის გულში „ბოროტება იშვიათად იკიდებს ფეხს“. „გამეცნიერებულო“ იმსკვალება ყოველი არსებისადმი გულწრფელ სიბრალულით და სიყვარულით; მას სწყურია აგრეთვე თვისი სულიერი და გონებრივი ძალა საზოგადო საქმეს მოახმაროს და შესწიროს.

მაგრამ ასეთი „გამეცნიერება“ და ზნეობრივად განსპეტაკება, სასარგებლო და საამო ყველა არსთათვის, თვით „გამეცნიერებულს“ ცხოვრებას „უცარავს“, ტანჯვა-წვალებას განაცდევინებს, საზოგადოდ ტრალიკულ მდგომარეობაში აყენებს, ვინაიდან მისის სულის კვეთება ჩვეულებრივ ადამიანთათვის გაუგებარი და მიუწლომელია. ხშირად „მეცნიერი“ უმეცრება-უგუნურების საყვედრებლად და გასაკიცხად ხდება.

რადგანაც ასეთი გამეცნიერებული ადამიანი იშვიათს და არაჩვეულებრივს მოვლენას წარმოადგენს ცხოვრებაში, ამისათვის მისი ფიქრი და მოქმედების წინააღმდეგ მხედრდება ცხოვრების სინამდვილე, საერთოდ მიღებული და ჭეშმარიტებად აღსარებული აზროვნება, რწმენა, შეხედულება და მთელისთვის სიმძიმით აწევება მას და ბოლოს იმორჩილებს კიდევ. ეს მორჩილება კი უდრის მის ზნეობრივ სიკვდილს, გაჰქრობას.

რასაკვირველია, დაუფასებელია ადამიანისათვის „გულის და თვალების გახსნა“ და განსაკუთრებული „ჭკუის“ შეძენა. ეს თვისებები ცამდის, ღმერთამდის ამაღლებს მიწის შვილს, მაგრამ ასეთი განსაკუთრებული და განრჩეული ყოფა-მდგომარეობა იმავე დროს დიდს პირადს ტანჯვას განაცდევინებს რჩეულს, ვინაიდან ძველთაგანაც ნათქვამია, რომ „დიდს სიბრძნეში დიდი მწუხარებაც არის“-ო...

ჩვენ გადაჭრით ვერ ვიტყვი, თუ ვის ეკუთვნის ეს დედა-აზრი „გველის მჭამელისა“—ჩვენს ხალხს, თუ პირად ვაყას. ზოგიერთნი კი ამბობენ, რომ ასეთის შინაარსის ზღაპარი ჩვენში არსებობსო. თუ მართლა ასეთი შინაარსის ზღაპარი ჩვენში შენახულა, მაშინ ის საკითხიც გამოიკვევას თხოულობს—ადგილობრივ არის ეს ზღაპარი შექმნილი, თუ უხსოვარ დროიდან გადმოტანილია ის ჩვენი ხალხისაგან საერთო კერიდან, საიდანაც უხსოვარ დროში გამოვიდნენ ყველა დღეს ისტორიულად ცნობილი ერები (ე. ი. აღმოსავლეთიდან). ეს კი გამოიკვევა მხოლოდ სხვა და სხვა ხალხთა ზეპირ-გადმოცემათა შედარებითი შესწავლით. ასეა, თუ ისე, დედა აზრი ამ პოემისა მდიდარი და ღრმა ფილოსოფიურია. ოღონდ, როგორც ზემოდა ვსთქვით, უმთავრესად საქმე ის არის,

თუ როგორის ხელოვნურის სამოსლით შეამკო ვაჟამ ეს დედა-აზრი, თუ როგორ გაშალა ფრთა მისმა ფანტაზიამ და მთლად მისმა შემოქმედებამ ამ აზრის გაშუქებაში, გაღრმავებაში და ხორცშესხმაში. როგორც ცნობილია, ღირსება და ფასი მხატვრულის ნაწარმოებისა უმთავრესად მის ფართო, რაულსა და მწყობრს კონცეპციაშია: მხატვარმა უბრალო, სადა თაბულა და კვადი ლამაზად და შინაარსიანად უნდა გაართულოს, სრულჭყოს, გააღრმავოს. სულმნათმა შოთამ, თუ მის სიტყვებს დაუჯერებთ, უბრალო „სპარსული ამბავი ქართულად ნათარგმანები“ ჰპოვა და თვისის გენიოსობის წყალობით „ხელის-ხელ საგოგმანებელ“ მხატვრულ მარგალიტად გარდაჰქმნა...

ასეთის საზომით რომ გავზომოთ ვაჟას „გველის მჭამელი“, ნათლად დავინახავთ, რომ მან ვერ შესძლო ამ შემთხვევაში ვერც რუსთაველობა, ვერც შექსპირობა, ვერც ჰიოტობა, თითქმის ვერც ილიაკაკობა. მართალია, აქაც და ყველა სხვა მის პოემებში საზოგადოდ ბრწყინავს ნათელი აზრი; მართალია, აქა-იქ მათში გაბნეულია შეუდარებელი მარგალიტები გრძნობისა, განცდისა; მართალია, თვალს იტაცებს და გულს იმონავებს ლამაზი სურათები ბუნებისა; მართალია, ყველგან მის პოემებში მკაფიოდ ისმის მაჯის ცემა ჭეშმარიტის მამულის შვილისა და საზოგადოდ ეს პოემები ამოუშლელს კვალს სტოვებენ მკითხველის გულსა და სულში... მაგრამ ვინც იცის ვაჟას ნიჭის სივრცე-სიგანე და ვისაც წარმოუდგენია ის მხატვრული შესაძლებლობა, რომელიც პოეტის ყოველ ნაწარმოებიდან გამოსჭვივის, ის მაინც ვერ დაკმაყოფილდება მგონის პოემებით და გულში ღრმა ტკივილს იგრძნობს, რომ ვაჟამ ვერ შეჰქმნა

ის და ისე, რაც და როგორც შეეძლო და ღონე შესწევდა; რომ მან თვისი ცქრიალა და ცელქი მუზა მოთმინებით და ყოვლის შემძლებელ შრომის უნარით ჯეროვანად ვერ დაადარბაისლა, ვერ მოამწიფა. ამ შემთხვევაში ვაჟა ილიას სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენს, ილია, როდესაც ჰქმნის, შრომობს, ყოველივე გონებრივ და ზნეობრივ ძალას იკრებს, თითქმის მშობიარე დედის სიმწარეს განიცდის, როდესაც თვის ნაწარმოებს „შობს“, „ბადებს“. ილია ამ მხატვრულ მშობიარობის დროს ფრთხილობს, რომ როგორმე მოუფიქრებელმა ან უცაბედმა ხელის გაქნევა-მოძრაობამ მისი საყვარელი მომავალი ღვიძლი შვილი არ დაამახინჯოს, რომელიმე სხეულის სათუთი და ნორჩი ნაწილი არ დაუზიანოს. — ვაჟა კი ლაღობს, კამარაზე გადადის, უდარდელად მიიმდერის, ე. ი. მხატვრულ შრომაში თავს არ იწუხებს, მთელი თვისი სულიერი ძალ-ღონის მობილიზაციას არ ახდენს... ჩვენ ასე გვგონია! მართლაც დიდად საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რამდენი შრომა გასწია ვაჟამ თვისი პოემების, თუ გინდ „ალუდა ქეთელაურის“ და „გველის მჭამელის“, შექმნის დროს; რამდენი დაკვირვება, შეცვლა-გამოცვლა, გადაწერა დასჭირდა მას. საინტერესოა აგრეთვე ვიცოდეთ, აქვს თუ არა ამ პოემებს სხვა და სხვა რედაქციები, ანდა შესწორებულ-გამოცვლილი ადგილები მაინც.

ნუ გეოცებათ, ბატონებო, ეს ჩემი ცნობის მოყვარეობა! ამას დიდი, ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტის შემოქმედების და კერძოდ რომელისამე ნაწარმოების დაფასების დროს. ეს პირველ შეხედვით უბრალო ცნობები ყველასათვის ნათელს ჰყოფს იმას—ერთი კალმის მოსმით არის ეს პოემები დაწერილი, თუ

მათს შეჰქმნას პოეტმა ბევრი დრო, შრომა, გონების ვარჯიშობა და დაკვირვება მოახმარა. თვით გენიოსი მწერლები და მხატვრები ბევრს დროს და შრომას ანდომებენ თავიანთ ნაწარმოებათა შექმნას. მაგალითად, როგორც ვიცით, ლ. ტოლსტოი ათჯერ, ოჯგერაც გადაცვლად მოცვლიდა და გადაწერდა ხოლომე თვისი ზოგიერთს ნაწარმოებს და მერე გამოაქვეყნებდა. თვით პუშკინიც,—ეს სიტყვის ჯადოსანი,—მიუხედავად იმისა, რომ რითმა განსაცვიფრებელის სიაღვლილით მოსდევდა და სურათები თითქმის თავის თავად იხატებოდნენ ქალაღზე,—ეს პუშკინიც ბევრს შრომობდა, უკვირდებოდა, ცვლიდა, ასწორებდა შემოქმედების დროს. „ევგენი ონგინის“ შექმნას მან რვა წელიწადი მოანდომა. ლერმონტოვიც—ეს მდგომარეობით და შთამომავლობით შრომას მიუჩვეველი არისტოკრატი—მთელ თვისი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობდა „დემონის“ შექმნაზე და ისე ჩავიდა საფლავში, რომ მისი დაბეჭდვაც ვერ მოასწრო... ცნობილია ჯერ-ჯერობით ხუთი რედაქცია „დემონისა“.

ჩვენს მხატვრებს და მწერლებს კი, გარდა ილიასი, ჯერაც ვერ შეუთვისებიათ ეს ყველა შემოქმედისათვის უსაჭიროესი თვისება—მედგარი შრომა და დაკვირვება; მათ ჯერაც ვერ შეუგნიათ მთელ სულიერ ძალთა მობილიზაციის საჭიროება მხატვრულ შემოქმედების სიმწვავე-სიძნელის დასაძლევად და დასაამებლად. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენს ლიტერატურაში იშვიათად შეხვდებით ისეთს ნაწარმოებს, რომელსაც არ ეტყობოდეს ნიშანი აჩქარებისა და დაუმუშავებულობისა. იშვიათია ჩვენში ისეთი ნაწარმოებიც, რომელიც რთულ და დამთავრებულ მხატ-

რულ ნაწარმოების შთაბეჭდილებას ახდენდეს....

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ „გველის მკამელს“.

ამ პოემის უმთავრესი გმირი მინდია, ხალხის გადმოცემით, ტყვედ ყოლიათ ქაჯებს თორმეტი წელიწადი. ტყვეობით დაჩაგრულმა, სამშობლო მიწა-წყალს მოშორებულმა მინდიამ თავის მოკვლა განიზრახა და ამ მიზნით სჭამა ქაჯთა საქმელი — მოხარშული გველი: ეგონა „რომ ექცეოდა ჭირადა“. მოხდა სასწაული: სიკვდილის ნაცვლად, „მოწყალის თვალთ ტყვეს გადმოხედა ზეცაში, ახალი სული ჩაედგა, ახალი ხორცი აესხა; გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრმა და ყრუეს, გაეხსნა“. ამ გვარად „გამეცნიერდა“, ბრძენად იქცა მინდია; გაუსპეტაკდა გული და სული; ნათლად შეიგნო ადამიანის მოვალეობა ბუნების, სამშობლოს და ერის წინაშე. მინდია „გრძნეული“, როგორც გველი, ჩაწვდა ბუნების და სიცოცხლის საიდუმლოებას: შეიქმნა ადამიანთა, მოძმეთა, ცის, ტყის, ღვინის გულის მესაიდუმლო და მოკეთე-შემბრალებელი. როგორც ასეთს, მინდიას გული გაუხსნა ბუნებაში, მეგობრულად ჩაახედა თვისის სიცოცხლის საიდუმლოებაში. ბუნება ახლა „ვაშას“ უძახის მინდიას, როდესაც „გაცოფებით მოივლის მთა-ველოსა“.

„მდიდრად შორთუფის აღმითა,
ევაფილნი ევალ-გადაგდებით
დახატულები კაღმითა,
„მინდიას გაუმარჯოსო“,
ერთხმად ატეხენ ვაჟინსა.
სეები ფოთლებს არხევეს,
ბუნება იწეებს ბიბინსა
და შერე სათითაჲდა
ეველა მოჭეუება ტიტინსა:

„მე ვარა ამის წამალი“,
სხვა გაიძახის — „იმისა“...
თურმე ზნედა სჭირთ ევაფილთა:
აღონდ ეწამლონ სხეულთა,
სიცოცხლით გაფუფუნებულს
არად აგდებენ სხეულთა...
საღვინოდ ჰსახვენ კაცთ სარგოდ
ძვალ-ხორცთა ჩამონგრეულთა“.

და მართლაც „კაცთა საღვინოდ“ ხმარობს მინდია ამ თვის ცოდნას: თუ ომში დაქრილს მოუსწრო, თუნდაც შუაშიც იყოს გაჭრილი, აუცილებლად მოარჩენს. წამალი მინდიასი ისეთი უებარი შეიქმნა, რომ მისი ჯარი არ მცირდება. მინდიას არამცთუ „აღმერთებს“ და ნუგეშად სახავს „ფშავ-ხევსურეთი მთელია“, არამედ გვირგვინოსანი, მძლეთა-მძლე თამარიც სულ იმის თქმაშია:

„აღონდ მინდია თან მუავდეს,
მასთან მთაედი ერია,
რაც უნდა ძაღვან კცადოს,
გერას დამაკლებს შტერია“.

სიბრძნე, დიდება, საერთო სიყვარული, თითქმის ღვთაებრივი ძალა — აი რა თვისებითაა შემკული „გლეხი“ მინდია. იშვიათს ადამიანის შვილს ხედება წილად ასეთი ბედნიერება, ასეთი ღრმა აზრიანი და დაუფასებელი სიცოცხლე. უბრალო მომაკვდავის შეხედულობით, უსაზღვრო და დაუშრეტელი უნდა იყოს მინდიასი — ამ „ცა, ღვინის, ტყის და ადამიანის მეგობრის — ბედნიერება. მაგრამ, როგორც დავინახავთ, მინდია არამც თუ არ გრძნობს პირადს ბედნიერებას ასეთს საპატიო და სანატრელს მდგომარეობაში; საარაკო და უმაგალითო მისი სიბრძნე-გრძნეულობა არამც თუ არ გახდა მისთვის უშრეტ წყაროდ პირადის ბედნიერებისა, არამედ მან დაჰპარგა სულის სიმშვიდე; ბევრმა ცოდნამ, დიდმა სიბრძნემ მას თვალწინ გალაუ-

შალა უსაზღვრო, სხვებისთვის უხილავი, ტანჯვა-მწუხარება ყოველის არსისა, რადგანაც ესმის მათი „კენესა და ჩივილი“... და აი სწორედ „ამისაგან მისი ცხოვრება ძლიერ დაიცარა“: მინდია ხეს ვერ სჭრის, რადგანაც ესმის მისი კენესა და ხვეწნა „ნუ მომკლავო“ და იძულებულია ტყიდვან ცარიელი დაბრუნდეს, ჩალის, გამხმარის ჯოყრების, ან ხმელის წინწყობით დაკმაყოფილდეს. მკის დროს „ციბრუტივით“ ტრიალებს ყანაში, გიჟია, გადარეული“, რადგანაც თავ-თავნი უწყებენ ხვეწნასა: „არა მე მომჭერ, მინდიავე, ნუ მტოვებ შენი კენესა მეო“ და ამნაირად „ავიყებენ ბოჟირით, რევენ ბრალითა“. თურმე ნუ იტყვიოთ,

„უნასს სეტუჯა აშინებს, —
 კაცთ უსაზღვროთ დარჩენა,
 თარემ ვით ნამკაღს, სეტუჯას
 რით შეუძლიან წახდენა?!
 კაცთ სარგათ თავსა ჰზოგავენ
 თავთაჲნი თქრას ფეჩანი, —
 არ სწადით თხრად ღებებდენ,
 ჰქენგდენ უგანი და ძქრანი.
 მიტომ ჩქარაბენ მომკასა,
 ერთად ჟივიან უგუჯანი:
 ჰსურათ ჰურად იქნენ, საჭმელად,
 რამ მითა გაძდნენ მშიერნი“.

ამნაირად მინდიასთვის მისი სიბრძნე-გრძნეულობა გამხდარა წყაროდ ტანჯვა-წვალებისა, რადგანაც, მისის რწმენით და წარმოდგენით, ყოველი არსი ადამიანივით გრძნობს, სისხლ-ხორციით შემოსილია. როდესაც მინდია ტყეში წილის, ოჯახის საჭიროებით იძულებული, შეშის მოსაპრელად, ის მწვავე ტანჯვას განიცდის, ვინაიდან წარმოუდგენია, რომ მილის-ვერხ-წიფლის მოსაკლავადა“. მკის დროს მინდია „ავად ხდება, მოსაბრუნები წყალითა“ არა გადამეტებულის შრომისაგან,

არამედ თავ-თავების ხვეწნა-მუდარებისაგან. აი როგორს სიმწვავეს აგრძნობინებს მინდიას მისი „გრძნეულობა“, სიბრძნე, ცოდნა! მთელი მეორე და მესამე თავი პოემისა მგოსანმა იმ ძველთა ძველის, მაგრამ მარად ახალ, აზრის მხატვრულად ხორც-შესხმას მოახმარა, რომ „დიდს სიბრძნეში დიდი მწუხარებაც არის“.

ეს აზრი, ბრძენი სოლომონისაგან მკაფიოდ გამოთქმული, ყოველთვის დარჩება ჰემ-მარიტებად. რამდენადაც გონება გახსნილი, მცოდნე და „გამეცნიერებულია“ ადამიანი; რამდენადაც მას სათუთი, მგრძობიარე, სიყვარულ-სათნოებით აღსავსე გული აქვს, იმდენად მის თვალწინ ნათლად იშლება ცხოვრების ვითარება, ადამიანთა დამოკიდებულობა, ბუნების ძალთა, მოვლენათა და ადამიანთა ურთიერთობა, და კავშირი; იმდენად ღრმავდება შეხედულობა სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ; იმდენად ის გრძნობს საჭიროებას აზრიანი, სათნოიანი და ჰარმონიული ცხოვრება-მოქმედებისას. ამ სასურველ ჰარმონიის და კეთილგანწყობილების დარღვევა კი მას აწუხებს, ანადვლიანებს, სტანჯავს, სულის სიმწვიდეს უკარგავს.

ეს მინდიასი თეორეტიული, ასე თუ შეიძლება ითქვას, ტრადედია სულისა ორკეცდება ოჯახურ და საზოგადოებრივ ურთიერთობის და თანხმობითი ცხოვრების დარღვევის და უარყოფის წყალობით. ვინ არ იცის, რომ ადამიანი, რამდენადაც არ უნდა „გამეცნიერდეს“, როგორადაც არ ჩასწვდეს სიცოცხლის და ბუნების საიდუმლოებას, როგორადაც არ გაისპეტაკოს გული და არ დაედაროს თვისის სიბრძნე-სიწმინდით ზეციურ არსთ, ის მაინც უმთავრესად მიწის შვილია, მიწისაგან შესაზავებელ ხორციით და ნერვებითა შემოსილი; ის მაინც ოჯახთან, ცოლ-

შვილთან, საზოგადოებასთან, ერთან და კაცობრიობასთან მგრძნობიარე ნერვებითაა გადახლართულ გადაბმული. ამ შემაერთებელ ნერვების არამც თუ გაწყვეტა, უბრალო გაჭიმვაც კი მას აგრძნობინებს ტკივილს, ტანჯვას, ზოგჯერ მოჰკლავს კიდევ. რაც გინდ „ღვთაებრივი“ ძალით და თვისებებით შემკულ იყოს პიროვნება, ის მაინც იშვიათად, თითქმის ვერასდროს, ვერ გაუძლებს აბოზოქრებულ ცხოვრების ზღვის ტალღათა ცემას, გააფთრებულ ბუნების ძალთა დაძვრებას. როგორც მრისხანე ზღვის ტალღები ვაშმაგებით უფრო იმ კლდეს ეძვრებიან, რომელიც ამაყად და მაგრად სდგას და აღრევე დაანგრევენ. ის ჩვეულებრივი აზროვნება ადამიანთა კრებისა, მათი რწმენა და წარმოდგენა, მათი, რეალურ ცხოვრების სინამდვილეზე აღშენებული, მსოფლ მხედველობა უფრო იმას ეძვრება სამკვდრო-სასიცოცხლოდ, რომელიც თვისის საქციელით და მოქმედებით უარჰყოფს ამ გასაზოგადოებულ რწმენას, მსოფლ-მხედველობას ცხოვრების ფილოსოფიას. ამის ცოცხალს მაგალითს მინდა წარმოადგენს.

ჩაღბიამ საზოგადოების ცხოვრების ფილოსოფიის და მისის რწმენის ტიპიურმა წარმომადგენელმა - გუდანის ჯვარის დღეობაზე „დაჯარბულ ხალხის“ წინაშე აირა აზრი და მსჯელობა წარმოთქვა „გველის მკამელის“ ცოდნაზე, ხის მჭრელის, ბალახთ მთიბველის ჩანადინარ ცოდვაზე“:

„... მიკვირს ეგ თქვენი ეჭვანა.
წინადაც ბევრჯერ ვითხარით,
ეხლაც ამასვე ვიტყვი;
ენა თუ ჰქვამდეს სე-ქვათა
ჩვენც რად არ გავვიგონია?
ჩვენ სიტყუებდად მინდიას
სიტყუე შეუგონია.

ჩვენც მისებრ კაცნი არა ვართ,
ჩვენც ურები გვსხავ, მგონია?!
მე სამაღვად არ ვამბობ,
თითონაც მისდის ურშია;
თუ ამას შართაღს არ ვამბობ,
იფიქრეს თვისი გულშია.
გსთქვით, სიბრადული კარგია
ხე-ქვა, ბაღანთი, ცხველთი...
კაცის გვლა' უგვლასა სჭარბობს,
თუნდ მტერი იყოს უოკლეოი.
მაშ ადარც კაცს უნდა ვკლავდეთ!
გეტყვიო, შასმინეთ, მე რასა;
მტრისას, ხმლით ნატკოს, მინახავ
მინდაა სდკამდეს გარასა.
რად სჩადის ამას, რომ რჯულიც
კვლისას არ გვადკვეს ნებას?
მაგრამ ვკვლავთ იმას, ვინაც
ჩვენსა დაარდკვეს შეებასა,
ან მამულს გვართმევს, ან ცალსა
ან გვიშლის რჯულის ცნებასა“...

ხალხს ჰკუაში დაუჯდა ასეთი დასაბუთებული აზრი და შეხედულობა ჩაღბიასი. ის ახლა უფრო დარწუნდა, რომ „მინდია ცრუობდა და ათასნაირი ტყუილის ყორებს აგებს“. სიმართლე რომ სთქვას კაცმა, მსჯელობა ჩაღბიასი კარგად დასაბუთებულია და სრულიად არ არის უმეცრების, უაზრობის, ნხეცობის, შეუბრალებლობის და უგულობა-უგრძნობლობის დაღადისი. პირიქით ჩაღბიას პირით დაღადებს თვით ცხოვრების სინამდვილე, ადამიანთა განწყობილების და ურთიერთობის უტყუარი ლოდიკა; მისი არგუმენტები და უმთავრესი დასკვნა რეალურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ჩაღბია მსჯელობს და დასკვნის რეალურს სინამდვილის ფარგალში; მისი სილოგიზმები მატერიალურად და ფორმალურადაც ჭეშმარიტებას წარმოადგენენ, ამისათვის მისი უმთავრესი დასკვნაც ჭეშმარიტია.

ჩაღბიას შეხედულობა, მისი აზროვნების შინაარსი, მისი ცხოვრების ფილოსოფია სრული და სამართლიანი გამოხატვაა კაცობრიობის უმთავრეს ნაწილის ყოფილის, აწმყოს და მომავალი ცხოვრების ვითარების და შინაარსისა. ჩვეულებრივი გონება ადამიანისა და მისი ლოღიკური კანონები აიძულებენ ყველას ცნობილ და გამოცდილ ცხოვრების ფორმებში დაასკვნას ისე, როგორც მსჯელობს და დაასკვნის ჩაღბია და მასთან ერთად „ხვესურთა კრება“. ჩაღბიაში ჩვენმა მგოსანმა დაგვიხატა ტიპი ნამდვილის რაციონალისტისა, რომელიც ცხოვრებას და მის ვითარებას ზომავს და აფასებს საღი გონების ჩავონებით და ანგარიშს უწევს ნამდვილს რეალურს ცხოვრებას და არა იმას, რაც სურს იყოს და რაც ეჩვენება მეოცნებე იდეალისტებს.

მინდიას იდეალი ცხოვრების და მოქმედებისა უტოპიურის ხასიათისაა, ცხოვრების რეალურს ვითარებაზე არ არის დამყარებული, ასე წარმოიდგინეთ, თითქმის ზღაპრულის ხასიათისაა. ჩვენ გვიძნეოდება გადაჭრით ვსთქვათ, თუ რა გვარ რწმენას ეკუთვნის ეს თავისებური შეხედულობა მინდიასი: უმაღლეს წერტილზე მდგარს, გონების სხივებით გარკვეულ გაშუქებულს, მეცნიერულად დასაბუთებულს, ცოდნას, თუ პირველყოფილ ადამიანის ლალი ბავშური ფანტაზიის წარმოდგენას და შეხედულობას, იმ ადამიანისას, რომელსაც ბუნება ცოცხალ არსებად წარმოუდგენია და ყოველი მისი მოვლენა გაუსულდგმულებია, ხორცი შეუსხამს, გრძობა-გონებით დაუჯილდოებია?

ჩვენის შეხედულობით, „გრძნეულობა“, „გამეცნიერება“ მინდიასი, ის მოვლენა, რომ მას „ებასებიან“ უსულო საგნება, რომ ესმის „მათი კვნესა და ჩი-

ვილი“, ზღაპრულის ელფერისაა, ჩვეულებრივი ლეგენდაა. და სიმბოლიური მნიშვნელობაც რომ მივაწეროთ ამას, მაშინაც არავითარს აზრ-იდეის უჩვეულო და განსაკუთრებულ სიღრმავე-სიღიადეს არ წარმოადგენს. უფრო კი ჩვენ გვგონია, რომ „ზღაპარი“, ავტორისაგან აღებულია, როგორც ფორმა ალეგორიულად იმ აზრის გამოსახატავად, რომ როცა „ბრძენი და მკურნალი გულში ჩაიკლავს ბუნების სიყვარულს და შეღახავს მისს სიფაქიზეს და სინაზეს“, მაშინ ის წახდება, დალაჩრდება, დაჰკარგავს სულის სიმშვიდეს.

მინდიასთანა ტიპის დახატვა ჩვეულებრივი სიმბოლიური მანერაა. აზრთა გამოთქმისა. შეიძლება ვცდებოდეთ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ მინდია და მისი მსოფლმხედველობა არაფერს ისეთს განსაკუთრებულს არ წარმოადგენს, როგორც ეს ზოგიერთ ჩვენს პანეგირისტებს ჰგონიათ.

მინდიას სახე თვისის მხატვრულის სირთულით და ღირსებით ბევრად ჩამოუვარდება ალუდა ქეთელაურს. ჩვენ მინდიას სახეს უყურებთ, როგორც სიმბოლოს; მთელს პოემას, როგორც ალეგორიას, როგორც ერთს გვარს ხერხს და მანერას განყენებული აზრის განსახორციელებლად და არა როგორც დადებითი, იდეალური და სასურველი აზრ-შეხედულობის გამოსახვას. გვგონია, რომ თვით ავტორსაც სხვა აზრით არ შეეძლო მინდიას ტიპის შექმნა. მართლაც, ვინ იტყვის ან ვის შეუძლია სთქვას, რომ მინდია რეალური ტიპიაო, რომ ცხოვრების სასურველ სინამდვილეს წარმოადგენსო. მინდიასთანა „გრძნეულ“ ადამიანების რეალურად არსებობა ჩვენი პლანეტის—დედამიწის ყოფილ და მოსალოდნელ ცხოვრების ვითარებაში და პირობებში შეუძლებელი და

წარმოუდგენელია. მინდიები შეიძლება მხოლოდ ფენომენად მოველინონ ქვეყანას. წარმოიდგინეთ ერთს წუთს, რომ ქვეყანა მინდიასთანა პიროვნებებითა და სახლებული, რომ მათ „ესმის ენა ტყისა, ზღვისა, მდინარის, ბალახის, ერთის სიტყვით, ყველა უსულო ღმერთი არსის, — ესმისთ მათი „ჩივილი, ტკივილი, მწუხარება“ და მათ მიმართ უღრმეს სიბრალულით არიან გამსჭვალულნი. წარმოიდგინეთ აგრეთვე, რომ მათ, როგორადაც ბუნებრივია ხორცშესხმულ ადამიანისთვის, აქვთ კუჭი, გრძობენ შიმშილს, წყურვილს, სიცხე-სიცივეს... ამ ადამიანებმა ერთში ორი უნდა აირჩიონ: ან უნდა განითავისუფლონ თავი თვისის „გრძნეულობისაგან“ და იცხოვრონ ისე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანის შეილება ცხოვრობენ: „ბალახი სთიბონ, ნადირნი ჰკლან, შეშით ანთონ კერა, პირუტყვნი ხოცონ“, ან და უნდა ამოწყდნენ, შიმშილ-წყურვილით დაიხოცნონ რამოდენიმე დღის განმავლობაში. მაღლობა ღმერთს, რომ კაცობრიობა ჩაღმობისათანა ქვეყნის და გონების ადამიანებისაგან არის შემდგარი და არა მინდიასთანა გალიუტინაციით და „გრძნეულობით“ შეპყრობილ პირებისაგან, თორემ ადამიანთა ცხოვრება შეწყდებოდა, დედამიწა დაცალიერდებოდა ადამიანისაგან და გახდებოდა მხოლოდ ნადირთა და ფრინველთა სათარეშოდ!

მინდია ვერ წაუვიდა ცხოვრების კანონს; ცხოვრების რეალურმა მოთხოვნებამ დაამსხვრია მისი ოცნება. სხვათა შორის, ცოლის სამართლიანმა სურვილმა, გონიერმა შთაგონებამ და ცხოვრების მაგალითების დასახვამ „დღეს-ხვალაობითა, ცოტ-ცოტათი, ნელაობითა დააწყებინებია მინდიას თვისი რწმენასთან მოქცევა მელიობითა“. ოცნების ბურუსში

გახვეული მინდია ცხოვრების კანონებმა მაინც საბოლოოდ ვერ გამოარკვია „გრძნეული“ მდგომარეობიდან: მისი გრძობა-გონება მაინც ვერ ჩადგა საღ და რეალურ კალაპოტში. მან „მელაობად“, სინიდისის გატეხად მიიმჩნია ყოველივე ის, რაც ჩაიდინა ცოლშვილის არსებობისათვის და რაც წარმოადგენდა მისს უუწმინდეს ზნეობრივს მოვალეობას. მინდია ამბობს:

„შეიღუბე ჭირად გამიხდა

შემაცვლევენიეს ფიქრი“-ა.

თავის ცოლს, რომელმაც მოახსენა: „შემშის ჭრას, ნადირთ ხოცვასა სხვან რად არ სთვლიან ბრალად“-ა, მინდია სთვლის „ქვეა თხელად, ყბედად, ზე-ზე-რელე მგრძობიარედ, წუთისოფლის მოტრფიალედ და თითონ გველეშაპის ცრემლებსაც აფრქევს და მწარედ მოსთქვამს ვითომდა „ღმერთთან შეცოდებაზე“, „ცოდნისაგან დაცარილებაზე“, დაკარგულს სულსა და ხორცზე“

„ამგვარი მკვდარი დღეს შე ვარ, — სტირის მინდია,

სხვა მკვდრებს რა უჭირთ მკვდარობითა!

რითი და ვარგო ქვეყანას,

დავცაღიერდი ცოდნითა:

უფაჟიანი არას მკეტუვან,

აღარც ცნობა მაქვს ამათი,

განა მეტი და იქნება,

კაცმა თავს უგდოს ხიფათი?

აღარა შესმის ფრანგულთა,

აღარა შესმის უნისა,

აღარ მსმენია მას შემდეგ

ტუბილი სალაში მწიანისა“...

მართალია, მინდია იმისთვისაც ძლიერ წუხს, რომ აწი ქვეყანასაც ვერ გამოადგება, „მტერს ვერ მოიგერებს ჯარშია“, რომ მისგან „მტრისად დაკრულს ხმაღს აღარ ექნება ძალია“. მაგრამ ეს ხომ

უარისყოფაა მთელი მინდიას ფილოსოფი-
ისა, მისის რწმენისა! ეს ხომ უეჭველი
წინააღმდეგობაა მინდიას მსოფლმხედვე-
ლობაში, რაც გონიერმა ჩაღხიამაც შე-
ნიშნა: მინდია კოლოს სწურავს, აქლემს
კი ყლაპავს—ბალახი ეცოდება, ენანება,
კაცი, ადამიანი კი არა.

„ვსთქვათ, სიბრალეული კარგია,—გონი-
ერულად მსჯელობს ჩაღხია, —
ხე-ქვა, ბაღახთი, ცხოველთი;
მაშ ადარე კაცს უნდა ვგაყავდეთ!
გეტყვი, მისმინეთ, მე რასა;
მტრისას, ხმლით ნაჭკრს, გინახავ
მინდია სდგამდეს გარასა?
რად ჩადის ამას, ხომ რჯულები
კვლისას არ გვაძლევს ნებასა?“

ამ ლოლიკურ დასკვნის წინააღმდეგ აბა
ვის რა ეთქმის, მით უმეტეს მინდიას? მა-
გრამ მინდიასთვის ჩვეულებრივი ლოლიკა
ხომ არ არსებობს! ის რალაც არა ჩვეუ-
ლებრივ გულისთქმას აყოლია და ამის
ზედგავლენით რალაც ფანტასტიური ბუ-
რუსშია გახვეული, რალაც იშვიათს სულის
კვეთებას განიცდის. ეს მისი სულის კვე-
თება, მართალია, გულწრფელი, ღრმა და
მტანჯველია, მისთვის საბედისწეროა, მაგ-
რამ ამ მის ტანჯვაში არავის ბრალი არ
უდევს. მინდიას მისწრაფებას წინ უდგებო-
და არა ანგარება, ფუფუნება-სიმდიდრის
მოყვარეობა, არა თავმოყვარეობა, ფუქ-
სავატობა საზოგადოებისა და ოჯახისა,
არამედ სალი ლოლიკა რეალურ ცხოვრე-
ბისა, უტყუარი კანონი არსებობისა... მინ-
დიას ცოლის და ჩაღხიის პირით თვით
გონიერება დაღადებს,—გონება სალის
ადამიანისა; მათი მოთხოვნილება—სიცო-
ცხლის სამართლიანი კარნახია. ეს მოთ-
ხოვნილება სრულებით არ გავს გოგოთუ-
რის „უჭკუო“ ცოლის მოთხოვნას — მის-

მა ქმარმა მცარცველ აფშინას წაბაძოს და
„ნადავლით“ სახლ-კარი აავსოს!

მინდიას ცოლი ჭკვიანი, გონიერი, ქმარ-
შვილის მოყვარული, დიდსულოვანი და
შემდობი ადამიანია. ის სრულებით არ
ეკუთვნის იმ „ჭკვა თხელს“, „უბედს და
ზე-ზერერე მგრძნობიარე“ დედაკაცებს,
რომლებიც კაპასობით და ჟინიანობით
გულს უწყალებენ ქმრებს და აქებებენ
ბოროტების ჩადენით და უსინდისობით
ცხოვრების სახსარი უხვად მოიპოვონ,
ცოლ-შვილი ფუფუნებაში იყოლიონ.

მზია (მინდიას ცოლი) ძლიერ შეწუხე-
ბულია ქმრის მდგომარეობით; ის ვერ
მიმხვდარა, ვერ გამოურკვევია ნამდვილი
მიზეზი მისის ტანჯვისა. ან მზიას, მართ-
ლაც, როგორ უნდა აეწონ-დაეწონა ქმრის
რალაც უცნაური, გარეგნულად სრულე-
ბით უმიზეზო დრტვინვა და ჩივილი თა-
ვის უბედობაზე, „ცოდნისაგან დაცარიე-
ლებაზე“, მწვანის „ტკბილ სალამის“ და
რალაც „რჯულის დაკარგვაზე“? სა-
ლი გონების მქონე მზიას გონებით დაბ-
ნეულ ადამიანის ბოდვად უნდა მოჩვენ-
ებოდა მინდიას შემდეგი უმიზეზო და
უმართებულო ახირება და ჩივილი:

„ან თქვენ (ცოლ-შვილი) გაცოცხლოთ
თუ მთელი ჩემი ანსება [რადადა,
ადარ იქნება სადადა?!

ან აქ რა შირით ვიცოცხლო,
თავს რით ვიმართლებ დმერთთან?
ვეკლასთან შერცხვენელი ვარ —
ცოცხლებთან და მკვდრებთანა“.

თუმცა უსაფუძლო და უნიადაგოა მინ-
დიას ტანჯვა-წუხილი, თუმცა უდანაშაუ-
ლო ცოლ-შვილი „კინალამ მოჰკლა თო-
ფითა“ და საზოგადოთ მათ „ეკიდებოდა
მტრულადა“, მაინც მზია თითონ არ ესა-
ყვედურება ქმარს, პირ-იქით იტანჯება
მისის მდგომარეობით, და ცხადად და

სიზმრად, შინ და ვარედ მისი ფიქრი განუშორებლივ ქმარს დასტრიალებს თავზე. მზიასი ასეთი მტანჯველი მდგომარეობა იმიტაც ორკეცდება, რომ ვერ მიმხვდარა, თუ რაშია დაჩნაშავე ქარის წინაშე, რითი დაიმსახურა მისი სიძულვილი და თითქმის „მტრობა“. მზია გულჩათუთქული მოსთქვამს:

„ჰო, თუ რა ბრადი მახვს რაიმე დიხსივ ვიქნები დასჯისა,
 ის ცოდვა რად უნდა იყოს,
 ფიქრი რამ მავუც გარჯისა?
 ცოდ-შვილი თუ უნდა გაუკაცს,
 შინაც უნდა ჰქონდეს ხარჯისა“...

მზია ნათლად ხედავს, რომ რალაც უტუნაურმა სულის ქენჯნამ მთლად შესცვალა: ლანდად აქცია მინდია. მას არა ერთხელ უნახავს ქმარი, რომ „ჩუმად, ბალღივით ტიროდა“, რომ ბანზე მჯდომი ღამითა „აშტერდებოდა ცასა“, რომ „ამ ცოტა ხანში დარდმა თმა-წვერი მთლად გაუქალარა“. და როდესაც მინდია, ასეთს სულიერს მდგომარეობაში მყოფი, ხევსურთ ჯარს გაუძღვა წინ მტერთან საბრძოლველად, მზიას ნაზმა გულმა იგრძნო მოსალოდნელი უბედურობა ქმარ-შვილებისა. თუმცა წინეთ, სხვებთან ერთად, მზიამაც იცოდა, რომ მინდია „ომსა სახავდა თვის ბედადა“ და მისი ბადალი „ჯერ არ გაუზღავ დედასა“, მაგრამ ახლა სხვა აგრძობინა გულმა, სხვა მწუხარება ჩაენერგა სულში. ხევსურთ ქალებმაც, რომლებიც მიმავალ ლაშქარს თვალს ადევნებდნენ ბინიღვან, შეამჩნიეს მზიას სულის კვეთება და ჰკითხეს:

„მზიავ, გუფშეშეყრითა ხარ
 შენ უფრო სხვებზე შეტად;
 ქმარს თუ ჰქნანობ, თვალ შეუთხობ;
 ვერ ჰქმნობ მოსაკვდელადა,
 არც გცოდნია რამ იმისა

ის სახავს თავის ბედადა
 და მინდიის მამკლავი
 ვერ არ გაუზღავ დედასა“.

ასეთს შენიშვნაზე მზია ქალებს მხოლოდ და გულჩათუთქული და უიმედობით შეპყრობილი უპასუხებს:

„ვაჰმე, რა ვუდარ იბიჭოს
 ისეთს სიზმრებსა ხედავდა“.

ცხადლივ ექვით შეპყრობილს და საწუხარო ამბის მომლოდინეს, მზიას ძილშიაც არ ასვენებს ნაფიქრ-ნაგრძობი. მან სიზმრად ნახა „ცული რამ, საზარო გულის მემირაფი, სულ-ხორცის ამაშფოთები, გონების ამაზრიზავი“. თურმე მოვარდნილ იყო ღვარები და, როგორც დევები, მოარღვევდნენ მთა-ბარსა; იდგა საშინელი დანდგარი, ღრიალი, თითქოს ცა-ხმელეთი ინგრევაო.

„მთებს სტუდებოდა წვერები,
 დაბლა ხეგებში წვებოღნენ;
 მთებთან ერთად კვდებოდა
 თოფებივითა ტუფრებოღნენ.
 ცა ისეთი ჩნდა, ვით კუპრი,
 შავად ჰქდებოდა, შხიოდა,
 კუპრს აწვიმებდა მიწასა,
 ცხედი წვეთები სცვოდა.
 დვარები ისე საზარდად
 შეუპოვრდა და დიოდა,
 „გვიშველეთ, ვიდუშუბითო“,
 ათასგან ხადხი ჰქიოდა“.

ამ საშინელმა ნიაღვარმა მინდიას ციხესაც ლიბო მოჰგლიჯა და მისი ცოლშვილიც თან გაიყოლა. საწყალი მზია ხატლმერთს შესთხოვდა შეველასა და თანაც პაღლებს გულში იკრავდა... ამ დროს მან დაინახა, რომ მინდიაც წყალს მოაქვს. მინდია შემობრუნდა და ცოლს ტკბილის და ნაზის ხმით უთხრა:

„კთხოვ მამატიო, მზიო,
 რაც გვანძღუ, გაგაბრზია;

ჩასაცა ხედავ ჩემს თავზე,
 დიხსი ვარ, სწორედ ხნა.
 ბაღდები არ დამიწაგრძო,
 გთხოვ კარგად შამიანხა!

ხასიათი და შინაარსი ამ სიზმრისა ამტკიცებს და მოწმობს, რომ მზია ძლიერ ლმობიერი და მოსიყვარულე გულისაა; რომ მას ქმრის ახირებამ და უსამართლო მოქცევამ სრულებითაც არ შეუსუსტა მისდამი სიყვარულ-სიბრალოლი. ოჯახის ერთგულობა, შვილებისათვის თავის დადება. მზია ოჯახის და შვილების მოვლამზრუნველობით ისეა გატაცებული, რომ „გულგამოცვლილი“ მინდიას სიზმარშიაც მაინც დაადასტურებინებს იმას, რასაც თითონ სთვლის დედმამის უუწმინდეს მოვლებად.

მზია, ჩვენის აზრით, ქართველი ძველი დედების ნამდვილი ტიპიური წარმომადგენელია. მზიას სახე მორიგი, ჩვეულებრივი ქართველი დედის სახეა, — იმ დედებისა, რომლებიც, თუ სანათა და ლეღასნვით ზღვა გრძნობას და განსაკუთრებულს შეგნებას და თავგანწირვას არ იჩენდნენ, საერთო გაჭირვების დროს „სამშობლოსადმი ლოცვას მაინც ამბობდნენ წმიდასა“ და მამულს უზრდიდნენ „უცნაურა“, „უშიშა“ და სხვა მრავალს ამისთანა „ლაძაზი“ და „მშენიერი“ ლომივით ვაჟკაცებს, რომლებსაც „ლაგმის პირს უჭამს ულაყი, დაძაგრულები არიან მკლავშია“.

ამ უჩინარმა დედებმა, რომლებიც მხოლოდ აზრიანად უვლიდნენ თავის კერას და „დაუჩაგვრელად“ ზრდიდნენ შვილებს, შეჭქმნეს ჩვენი გმირული ისტორია, დიდება და სახელი საქართველოს მხედრობისა და ძლიერება ქართველის ხმლისა!

დიდება და კურთხევა ამ უსახელო და უჩინარი შვიებს, მათს გონიერებას ღ გაუტე-

ხელს გულს! უკვდავება იმ დედების ხსოვნას, რომლებიც ასე იტყოდნენ: თუმცა „და თვალდამწვარია ძმის გასაჭირში მნახველი, მაგრამ უმისოდ სახელს ვინ მისცემს, თუ კი არა ქნა საქნელი?!“ მზია სწორედ ერთი იმ „ნეტარ“ დედათაგანია, რომლებიც „უწინ მამულს უზრდიდნენ შვილსა“ და სამშობლოს „უმზადებდნენ მომავალს გმირსა“. თუ არა ასეთი დედები, მინდიასთან „გამეცნიერებული“ მამები, რომელთაც „კოლშვილთა დასავლავადა ხმლისკენ ხელი მიუდიოდათ“ დაკარგვით გაბოროტებულები ვერ გამოზრდიდნენ და ვერ გამოზრდიან მამულისათვის სასარგებლო ზ საჭირო შვილებს. როგორც ფენომენს, როგორც იშვიათ განცდის მატარებელს, მინდიასაც, რასაკვირველია, შეეძლო „ქვეყნის რგება“, სამსახური. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ფენომენი მსწრაფლად ჰქრება. თუმცა ნათელს ხაზს სტოვებს ერის ცხოვრების თაღზე. მხოლოდ მორიგნი და შეგნებულნი მოქალაქენი ჰქმნიან მთლიანს ერის ბედს, მისი ცხოვრების ცის სილაყვარდეს, ფირუზიანობას. ლამაზი, სათნოიანი და წარბეცია სახე გატაცებულადფრთოვანებულის ჟანა-დარკისა: მან განსაცდელს გადაარჩინა სამშობლო, მაგრამ საზოგადოდ ბრწყინვალე ისტორია საფრანგეთისა არა ჟანა-დარკებმა შეჭქმნეს, არამედ უბრალო და მორიგი ფრანგთა დედებმა...

გამართლდა მზიას წინასწარი გრძნობა: ქართველები საშინლად დამარცხდნენ. მინდიამაც, რომლის რჩევააც ასე საბედისწერო გახდა დღეს ქართველებისათვის, მტრისგან დაჭრილმა თითონ თავის ხელით მოიკლა თავი:

„ხმჯას ტარს შეკნო ცუკრთა;
 ამოიწვავა ქაქქაშია,

გუელს მიიბჯინა წვერითა.
 მკერდიდგან სისხლი, ვით წყარო,
 კადმოდუფიდა ჩქერითა,
 მთვარემაც კადმომუქა
 სსჯინებუების სერითა
 და დასტერდა თავის მკველელს
 მოზარე ქალის ფერითა...
 ნიაგიც მიდ-მოდოდა
 უდარდოდ, ნელის მდურითა...
 ფრთა გაჭკრის წვეკრსა ხმლისსა
 ამოდებულის ენითა,
 შაღებელს ჭიაფურადა
 კანის გულ-მკერდის წვერითა
 და გათამაშდის მწვანეზე
 დადად, მაღხენით, სტვენითა“.

ასე ათავენს თვის პოემას ვაჟა.

დამთავრდა ტრადედია სულისა „გამე-
 ცნიერებული“ მინდიასი. მართალი უნდა
 ვსთქვათ, რომ მგოსანმა ამ ტრადედიის
 დახატვაში დიდი ნიჭი და ოსტატობა
 გამოიჩინა. თუ თვით სახე „გრძნეული“
 მინდიასი (სულ ერთია, შექმნილია ის
 პოეტის ფანტაზიით, თუ ძველთაგანია
 გადმოცემული) არა რეალური და ლეგენ-
 დარულ-ზღაპრულია, მისი სულიერი ტან-
 ჯვის თანდათანობით ზრდა, გართულება და
 ბოლოს აუცილებელი საშინელი კატას-
 ტროფა კი ვაჟას ღრმა დაკვირვებით აქვს
 აღწერილი. ამ აღწერაში, ამ ფსიხოლო-
 გიურ ანალიზში თქვენ ვერ შენიშნავთ
 ვერც ერთს ყალბს ხაზის მოსმას, ვერც
 ერთს გადაჭარბებულს ფერადობას. მგო-

სანს დაცული აქვს სასტიკად მხატვრული
 ზომიერება: არსად არც ერთი მყვირალა
 ფრაზა, არსად არც ერთი ყალბი ეფექ-
 ტი!

გარდა ამისა ვაჟამ ამ პოემაში გამოი-
 ჩინა კიდევ ერთი შესანიშნავი მხატვრული
 თვისება, რომელიც საზოგადოდ იშვიათს
 ღირსებას შეადგენს: ეს არის შემკრებე-
 ლობითის, კოლექტიურის ტიპების ცოც-
 ხლად და მთლიანად დახატვა. „გველის
 მქამელა“-ში მგოსანმა ორიოდ გვერდში,
 თითო-ორიოდა ფრაზებით, თვალწინ ცოც-
 ხლად დაგვიხატა მთელი გალღერეია
 ქართველ ქალებისა მათის თავისებურის
 და ღრმა ინდივიდუალურის განცდით და
 მსოფლმხედველობით. აქ, ამ ოციოდ
 სტრიქონში, ვაჟამ უჩვეულო მხატვრული
 ლაკონიზმით იშვიათი სინტეზი გაუკეთა
 სუყველაფერ იმას, რაც შეუქმნია ან
 უფიქრია საზოგადოდ ქართველს ქალებზე.
 სანიმუშოდ ამოვსწერთ ერთს ადგილს:
 „პირველი ქალი“ ამბობს: „...და თვალ-
 დამწვარია ძმის გასაჭირში მნახველი“;
 „მეორე ქალი“ უპასუხებს: „უმისოდ სა-
 ხელს ვინ მისცემს, თუ კი არა ჰქნა სა-
 ქნელი“. —ამ სადა სიტყვებით გამოთქმუ-
 ლია მთელი ცხოვრების ფილოსოფია ქარ-
 თველისა; აქ, ამ უბრალო ბაასში, ფარდა
 ეხდება ქართველის გმირობის საიდუმლოე-
 ბას, მისს საარაკო ისტორიას!

იპ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)



დედობრივი გრძნობა

(დასასრული)

IV

ღანუშარტოთ მოკლედ დედობრივი გრძნობის მნიშვნელობა დღევანდელ საზოგადოებისათვის, რომ უფრო ნათელყოფთ ქრისტიანულ სპირიტუალის ანტი-საზოგადოებრივობას.

ცოცხალ არსებთ ორი ძირითადი ალფაჰეტო: ალფა თავის დაცვისა და მისწრაფება გამრავლებისადმი, თავის გვარის განგრძობისადმი, რამაც წარმოშვა მშობლიური მოვალეობა. ეს გრძნობები ახსლოიუტურია, ისინი თანდაყოლილია, უშიშროთ წარმოუდგენელია ცოცხალი არსება, თუ, რასაკვირველია, ის სიღია; გრძნობა მშობლიური მერმინდელია, ის წარმოადგენს ისტორიულ კატეგორიას: განსაზღვრულმა ისტორიულმა პირობებმა შექმნა ის და მოგანვე მოკლება მას ოდესმე ბოლო: იყო განსაზღვრული საფეხური ორგანიზაციის სინტეზის განვითარებისა, როცა ის არ არსებობდა, წარმოადგენს და შეიძლება კიდევაც განსაზღვრით ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, როცა მშობლიური გრძნობა საზოგადოთ და დედობრივი კერძოთ სრულეობით დაჭკარკავს თავის სიღიადეს, მნიშვნელობას, საზოგადოებრივ ღირებულებას. მიუხედავად ასეთი შედეგულებისა ამ გრძნობის ძესახებ, ზგენ, დღევანდელ პირობებში, განვითარების იმ საფეხურზე, რომელზედაც ამ ჟამად ვიმყოფებით, დედობრივი გრძნობა მიგვანჩნის სინტეზის ფაქტორად, საზოგადოებრივი ცხოვრების დედაბოძად, რომლის დანგრევა-განადგურება, — სანამ მის მაგიერი. ფაქტორი არ გვაქვს — ცხოვრების დანგრევასა და განადგურებას გამოიწვევს. ტუუილა კი არაა, რომ

საზოგადოების ის კლასი, რომელიც კაცობრიობის ბედნიერებისთვის, პირველი მებრძოლია, ასე თავგამოდებით იცავს ქალს, როგორც დედას, „დედობრიობის დაცვა“, ახრეწეოთ მას, სხვათა შორის, თავის დროშაზე.

მომავალ თაობაზე ზრუნვა, მისი სადად აღზრდა და განვითარება ერთი იმ მოვალეობათაგანი და საქმეა, რომლის სიღიადეს და აუცილებლობას ეგულა ჩვენგანი უნდა გრძნობდეს. მომავალი თაობა ჩვენი იმედი, ახარის ჩვენი საუკეთესო მისწრაფებათა განმაგრძელებელი და განმახორციელებელი, მის კეთილ წარმატებაში ვახორციელებთ ჩვენ ჩვენს უკვდავებას, მუდმივ წინსვლას.

დედობრიობა აღზრდის ერთი ფაქტორთაგანია, დედა აღზრდელია. დიდა, როგორც ზვეოთა ვსთქვით, აღზრდის საქმე, დიდი პატივისცემის ღირსია დედაც, როგორც აღზრდელი, რაც დედას, საუბედუროთ, ასე არ არის: დედობრივი მოვალეობის ასრულებას, დედის საქმესა და მოღვაწეობას თანამედროვე საზოგადოებაში ისე უეურებენ, როგორც დაბალ ხარისხის საქმეს. ეს დღევანდელი ცხოვრების ერთი კარდინალურ უკუღმართობათაგანია.

დედის მოღვაწეობას ადამიანის, პიროვნების აღზრდა აქვს მიზნად. ადამიანი, პიროვნება კი დედას ჩირადაც არა ფასობს, და სიღაც არ ფასობს პიროვნება, არ ექნება, რასაკვირველია, ფასი მის აღზრდელსაც. ბურჟუაზიული საზოგადოება პიროვნებას უეურებს როგორც ზედმეტი ღირებულების შემქნელი იყო ავტორიტას, მანქანას. მაშასადამე, რა გასაკვირვე-

და, რომ ერთ ერთი უწმინდესი მოვალეობათაგან აბუჩად იფოს აკლებული. დედობრივი მოვალეობის ამ აბუჩად აკლებამ გამოიწვია, სხვათა შორის, ის ვარემოება, რომ ქრისტიანებმა ეს უშუალოდელი ნაკლი ვერ დაინახეს, რომ მას ამართლებდნენ.

დედობრიობის არაფრად ჩაგდებათ ახისნებია, რომ შეძლებულ კლასების ქალები გაურბიან მას, თავიანთ შვილების აღზრდას ძიძვებსა და გადიებს აკისრებენ, და ამ გვარად თავის თავისუფლებებზე ამ „არა სპეციალ“ მოვალეობისაგან, არა სამეცნიერო, სახელმწიფო და სხვა ამ გვარ ანაბრებზე მოდგაწიებისთვის, როგორც ზოგნი გაიძახიან, არა — ისინი ამას სხადიან, რომ მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა ესთ საპარამოთ, ფუქსავატი ცხოვრებისთვის.

დედობრიობას, როგორც სოციალურ მოვალეობას, ჯერ კიდევ თავის უკანასკნელი სიტუება არ უთქვამს, ჯერ კიდევ შორსაა ის დრო, როცა შესაფერი საზოგადო დაწესებულებანი იკისრებენ დედის როლს. ჯერ-ჯერობით ეს მასუხსავები მოვალეობა აჯახს აწევს მთელი თავისი სიმძიმით, სადაც უმთავრესი როლი ბავშვების აღზრდაში ცხოვრებამ დედას არტყუნა, დედას დააკისრა, და ამ როლის ის დღესაც ასე თუ ისე ასრულებს. მამასადაშე დედა თავისი უანგარო გრძობით ცხოვრების ერთი ბერკეტთაგანია დღეს.

აი რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედის დღევანდელ საზოგადოებისთვის. ის წარმოადგენს იმ ჭურჭელს, რომელიც იფარავს ჩვენს უფს სიცოცხლეს ათასგვარ ხიფათისაგან, ის არწევს, უღელავებს მას, უსუსურობისაგან მომქმედებს პირიფრების ავითარებს. შესაძლებელი იქნებოდა დღევანდელ პირობებში ცხოვრება, რომ მშობლები საზოგადოთ და დედა კერძოთ თავიანთ მოვალეობას გაურბოდნენ, როგორც ქრისტიანე? რას დაემზგავსება ცხოვრება, რომ უველა დედამ წესად მიიღოს თავის

შვილის გუგულსავით სხვისთვის მიკდება, დედობრივს მოვალეობას გაუფიცოს?

ეს დასაწეისი იქნებოდა დასასრულის.

არა, უდედოთ ჩვენ არ ვარგავართ. ხაზი გრძნობა დედობრივი სიყვარულისა არის ის მოვარული ანგელოზი, რომელიც ჩვენ დაგვტრიალებს უსუსურობის დროს და მზად არის თავი დასდოს ჩვენთვის. დედობრივი გრძნობის თბილი სხივი გაზაფხულის მზესავით ათბობს ჩვენს გულს, წაუშლელ გვალსა სტოკების ჩვენს სულსა და გულში; ტუუადა კი არ წამოვიძახებთ ხელსე გაჭირვების დროს: „დედა, მიშველე“, თუნდაც შორს იფოს ის, თუნდაც ის არცა გვევდეს ჩვენ ცოცხლებში.

ქრისტიანებმა მოაკლო თავის გოგის დედობრივი მზრუნველობა, გაქცა მას: მისი გამართლება. როგორც დედის, ეოვლად შეუძლებელია.

V

ბევრი იტყვის, რომ ქრისტიანის არ შეუძლო სხვაფრად მოქცეულიყო, რომ ცხოვრების უღმობელობა პირობებმა, აუტანელმა გაჭირვებამ ჩადენიხა მას ეს საქციელი, რომ მის სუსტს ნებას და დაეცეს აღმაცტობდა მისთვის ეგრე ჯოჯობეთურად მოწეობილ ცხოვრებას შებრძოლებოდა, რომ ის გმირი არ იყო და სხვა.

მართალია, ადამიანის ნება თავისუფალი არ არის. ჩვენს წადიდს, მისწრაფებას და სურვილს სინამდვილე სმარად ამხზვრებს, ჩვენი ყოველგვარი საქციელი და მოქმედება ცხოვრების პირობებისა და პიროვნების ურთიერთობაზე გავლენის შედეგია, სადაც პირველს — ცხოვრების პირობებს — ყოველთვის გადაწვევტა. როლი ეკუთვნის და მამასადაშე, ყოველგვარი უკუღმართი საქციელის მიზეზი ცხოვრების უკუღმართს პირობებში უნდა ვეძიოთ; მაგრამ დიდი შეცდომა იქნება აქედან ის დას-

კენა გამოვიყვანათ, რომ არავის უფლება არა აქვს ადამიანს ზასუხი მოსთხოვოს თავის მოქმედებაში. მიუხედავად ასეთი შეხედულებისა ზოგჯერებისა და ცხოვრების პირობების დაშლადებულების შესახებ, ზასუხის მოკლებობა ერთი ქვაუთხელთაგანია საზოგადოებრიობისა. საზოგადოებრივი ცხოვრების უკუდმართებით მართლებენ ქრისტიანს საქციელს მისი დამცველები; მასხრავს, ერთმა დამცველმა სწორად ეგრე მიმართა ქრისტიანს ბრალმდებელს: მის მაგიერ, რომ თქვენ ის საზოგადოებრივი პირობები გაგვიცხვით, რომლებმაც აიძულეს ქრისტიანი გოგის მიტოვება, თქვენ ქრისტიანს წინააღმდეგ გაილაშქრეთ და ისედაც დატანჯულს დასჯას მოითხოვთ. ასეთი აზრი, რასაკვირველია, შთაბეჭდილებას ახდენს მათ უფრებულზე, მაგრამ საქმეს კი ოდნავათ ვერ აჩვენებს. ამ აზრში ჩაქსოვილია შემდგომი აზრი, თითქმის დატანჯულს არ შეეძლოს ცუდი საქმის ჩადენა, ანუ თითქმის ჩვენ უფლება არ გვაქვს დატანჯულს ზასუხი მოვთხოვათ მის საქციელში.

ვარდა ამისა აქ საჭიროა სასტიკად განვადარავთ ორი მხარე, რაც მსჯელობაში არაკუდარევის მოსპობს: როცა ჩვენ ვმსჯელობთ რომელსავე მოვლენას შესახებ, ამ მსჯელობის ორი მომენტი არ უნდა აუღიროთ ერთმანეთში. სხვაა მოვლენის მიზნუზზე მითითება; მოვლენის ანალიზი, მისი შესწავლა და დიაგნოზის დასმა. სხვაა იმისა კვალითოვაცდა, აწონდაწონვა, დაფასება, მოვლენათა ამა თუ იმ დარგში ჩარცხვა. ჩვენ ვამბობთ: ეს მოვლენა ამა და ამ მიზნუზმა გამთიწიოთ, აქ ჩვენ ფაქტს ადრინშინათ და ვხსნით—მერე განვარტობთ: ის საზოგადოებისათვის მავნე ან სასარგებლოა—აქ ჩვენ ფაქტს ვაფასებთ. ქრისტიანს შესახებაც ეგრე ვიტყვი: ჩვენ ვიკვლევთ იმ მიზნუზებს, რომლებმაც მას შვილის მოდლატურობა ჩადენინა, შემდეგ ვაფასებთ

ამ საქციელს და ვამბობთ, რომ ის განაკიცხი, უზნეოა.

პირაფნება ცხოვრების პირობების თითქმის უსაზღვრო გაუფენას განადრის, მაგრამ საზოგადოება თავის ვეჯდა წევრისგან მოითხოვს განსაზღვრულს აქტივობას, ბრძოლას: პიროვნება უბრალო ტიპანა, ცხოვრების სტიქიონთა უბრალო სათამაშო როდია, არა, ის ქვემნის, ის ანუთიყვებს იმ მასალას. რომელსაც გარეგანი ბუნება იძლევა. ის განსაზღვრული ავტონომიური ენერჯიის მატარებელია, და აი ამ ავტონომიურ ენერჯიასთან გვაქვს ჩვენ საქმე, მისგან მოვითხოვთ ისეთი გზით სვლას, რომელიც საზოგადოებას არგებს და არ ავნებს—ბოლოს და ბოლოს თვით ადამიანია თავის ბედის გამჭედი.

რას აქტივობა გამოიჩინა ქრისტიანებში, როცა მას ცხოვრებამ დაუყენა საკითხი: შენ უნდა ითმინო შვილის გულისათვის ის შევიწროება, რომელსაც გაუჩენებენ, ან უნდა შეებრძოლო მას, მაგრამ შვილისადმი მოვალეობა არ დაივიწყო. ის შეებრძოლა მის წინააღმდეგ მიმართულს ძალებს—გაქცევა ხომ ბრძოლის ერთი ფორმათაგანია—მაგრამ მოვალეობის ასრულება დაავიწყდა. მაგრამ ასეთს ბრძოლას საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს. საზოგადოება აფასებს, მადლა აყენებს ბრძოლას უფლებებისათვის, ბრძოლას მოვალეობისათვის, ბრძოლას, რომელსაც მიზნად აქვს დაიცოს პიროვნება, როგორც უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრულ კომპლექსის მატარებელი.

ჩვენ ქრისტიანებში ამ ბრძოლას ვერ ვხედავთ: ის გაქცევა შემავიწროებელ გარემოებებს თავის ზოთლოგოური „მე“-ს დასაცავად. ასეთი ბრძოლა, საზოგადოებრივი თვალთა ხედვითი იყრით, ბრძოლა არაა. მასმასადამე, ქრისტიანებში უბრძოლოდ დასთმო მოვალეობა.

რატომ მოუვიდა მას ეს? შეიძლება იმა-

ტომ, რომ შვილი არ უყვარდა. არა, მას შვილი უყვარდა. ნინო შვილი ამბობს: „ქრისტიანეს ეყოლა ვაჟი შვილია, რომელსაც ახლა თან სირცხვილით და თან დედობრივი სიყვარულით აღსავსე შეჭყურებდა და აწოკებდა ძუძუს“-ო. შვიდლებს ის არა გრძნობდა თავის საქციელის სიკონჭკეს? არა, როცა მან გაქცევა გადასწყვიტა, მოდიმარე ჩხვილს ეუბნება: „რა გინდა, ჩემო უბედურო კოკი, რას იღინი? შენ ჯერ არ იცი, რომ წაწეშვიდი დედა შენი **გლალატობს**“-ო. ამკარა, ქრისტიანეს შვილი უყვარდა, მას გათვალისწინებული ჭკონდა ისიც, რომ დალატობდა დიად დედობრივს მოვალეობას, მაგრამ შესაფერი აქტიუობა, ნება ვერ გამოიჩინა და სწორედ ამიტომაც ის დამნაშავე. ის გრძნობდა, რომ სისამაგელს სჩადიოდა, მაგრამ ამ გრძნობამ ვერ გამოიწვია მასში შესაფერი მოქმედება: ცრემლთა ნაკადულში, ტირილში ჩახხჩჩო მან განზრახული დანაშაულის წინააღმდეგ ამბობებული დედობრივი სიყვარული. ქრისტიანეს დედა შვილური სიყვარული მტირალა გამოვიდა, ჩვენ კი აქტიუური. მებრძოლი სიყვარული გვესაჭირკება, რადგან მხალხოდ მას აქვს საზოგადოებრივი დიკებულება. ქრისტიანე მებრძოლი სიყვარულის მატარებელი დედა არაა, ის მებრძოლი სატრფია და... მხალხოდ მტირალა დედა, ის მებრძოლია ვიწრო შირადულს სუეროში, სულმოკლეა მოვალეობაში.

მას, როგორ უნდა მოქცეულიყო ქრისტიანე, იკითხავს მკითხველი. მას შვილის ინტერესი თავის ინტერესზე მალდა უნდა დაეყენებინა, მაშინ იქნებოდა ის ნამდვილი დედა ამ სიტუაციის საუკეთესო მნიშვნელობით, მაშინ აასრულებდა ის თავის მოვალეობას, საზოგადოების წინაშე.

VI

ენლა განვმარტოთ, მართლა გმირობა იქნებოდა ქრისტიანეს მხრით, რომ მას დედის

მოვალეობისათვის არ ედალატა? გმირობას უყვლას ვერ მოვსთხოვთ. არც ქრისტიანესაგან მოვითხოვთ მას.

უკვირთადა ვსთქვით, და საჭირკდა ვსთვლით ახლაც გავიშეორთ, რომ საზოგადოება სხვა და სხვა საშუალებით ცდილობს უყვლას თავისი წევრი აღზარდოს ისე, რომ ის საზოგადოებრივ ინტერესს თავის ინტერესზე მალდა აყენებდეს. თუ შირცხვება აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, ე. ი., თუ ის შირად ინტერესს საზოგადოებრივ ინტერესს უმორჩილებს, ის უზნობრივი შირცხვებაა. თუ ის შირიქით იქცევა, ე. ი., შირადულს საზოგადოებრივზე მალდა აყენებს, უზნეოა. ამ გვარად საზოგადოების მოთხოვრეს, რომ მისი წევრები თავიანთ მოქმედებაში ხელმძღვანელობდნენ საზოგადოების სასარგებლობით. საზოგადოების ინტერესი მოთხოვრეს, რომ მის წევრებს უზნობრივი მოქმედება მოთხოვნილებად, მეორე ბუნებად გადაექცეს. უზნობრივი აღზრდა იქითაგანა მიმართულია, რომ საზოგადოების თვითაუღლ წევრს საზოგადოებისათვის სასარგებლო მოქმედება ინსტინქტიურ მოთხოვნილებად, „კატეგორიულ იმპერატივად“ გარდაექცეს. რამდენათაც მეტადაა აღამინაში განვითარებული ეს მოთხოვნილება, იმდენად ის უფრო მალდა სდგას უზნობრივად. გმირი კი ისეთ შირცხვნებს ჭკვიან, რომელსაც არ შეუძლია არ დაემორჩილოს ამ მოთხოვნილებას, თუნდაც მისი აკმაყოფილება მას სიკვდილსაც უჭადდეს. გარდა ამისა გმირი იშვიათია ცხოვრებაში, მაშასადამე გმირობაც აკეთიფე ხასიათისაა.

ხშირად აღამინი თავსა სწირავს მოძმეს, თავსა სდებს რაიმე იდეისათვის. არც ერთ ამ შემთხვევაში მას შირადული სასარგებლობა არ ამოქმედებს, რადგან ასეთი საქციელი თვით უადრესი უანგარობაა. მათ სარჩულად აღტრუისტული გრძნობები უდევს, რომელნიც საზოგადოებრიობის ქვაკუთხედაა. ამ აღტრუისტულ გრწნობათა შორის დედობრივი გრძნობა, რ-

გორც ზევითა ვსთქვით, ერთი პირველთაგანია. მისი აუცილებლობა საზოგადოებისათვის ჩვენ უკვე გავარკვიეთ. ამ აუცილებლობამ წარმოშვა მისი საყოველთაობა, უნივერსალობა. მრავალ მილიონ წლის განმავლობაში ორგანიული ცხოვრება საზოგადოდ და საზოგადოებრივი კერძოთ ცდილობდა ეს გრძნობა გაეღრმავებინა და განემტკიცებინა თვითუფლ არსებაში, მოთხროვნილებად, კატეგორიულ იმპერატივად გადაექცია ის, და მან მაღწია მიზანს: დედობრივი გრძნობით განმსჭვალულია ყოველი სულდგული. მიმოიხედეთ გარშემო, დააკვირდით ფრინველებს, პირუტყვთ, თქვენ დანახავთ, რომ ამ სულდგმულთა მიზანს მშობლიური მოვალეობის ასრულება შეადგენს. მაშასადამე, დედობრივი გრძნობა უბრალო ალღო, ინსტინქტია, ღრმად მთანერვილი არსებათა ბუნებაში საზოგადოთ და დედაკაცში კერძოთ, მის მიერ ნაკანახვი აქტი გმირობა არა უბრალო რეფლექსია, თუნდაც ეს აქტი ბრძოლას წარმოადგენდეს. ამ გვარად დედობრივი მოვალეობის ასრულება, მისი განხორციელება ყოველდღიური, ასე ვსთქვათ, ბანალური მოქმედებაა, მოკლებული არაჩვეულებრიობას, რაც გმირული მოქმედების აუცილებელი ნიშანია. მაგრამ ხშირად ცხოვრების პირობები ისეთ მდგომარეობაში აყენებს კაცს, რომ მას ელექტარულ მოვალეობის ასსრულებლად გმირული ბრძოლის გამოცხადება უხდება, რაც თავის განწირვას მოასწავებს. ამ მხრითაც ქრისტიანეს მიერ დედობრივი ვალის შესრულება გმირობა არ იქნებოდა. დედობრივი მოვალეობის ასრულება მისგან თავის განწირვას არ მოითხოვდა. ცოტადენი მოთმინება დედ-მამისგან მიუენებულ შევიწროებისა, აი რა შედარებით მცირე მსხვერპლს მოითხოვდა მისგან დედის მოვალეობა: გავიდოდა ღრმ, დათიას (მის მამას) ჭრილობა გაუმთელდებოდა, და ქრისტიანეს ტანჯვაც თავადებოდა. და ეს მცირე მსხვერპლი ქრის-

ტინეს უნდა შეეწირა დედის მოვალეობისათვის, უკანასკნელი ღირდა მათ! დასკვნა: ჩვენ ქრისტიანესგან გმირობას არ მოვითხოვთ!

ქრისტიანე გაიქცა, ის მოშორდა დედ-მამას, რადგან ეს უკანასკნელი მისი მტანჯველები შეიქნენ. ეს, რასაკვირველია, დანაშაულობა არაა: ეს პრეტესტი იყო ქრისტიანეს მხრით მისკენ მიმართულ უდიერობის წინააღმდეგ, ის, როგორც მძლავრი პიროვნება, არ შეურიგდა თავის დამცირებას და გაქეფვას; მაგრამ გოგი მას თან უნდა წაეყვანა, ეგრე მოექცეოდა ვეღა დედა, სადი დედობრივი გრძნობის მატარებელი.

ბევრი იტყვის: ქრისტიანეს რომ გოგი წაეყვანა, ის ისევე დაიღუპებოდა, როგორც დედა, რომ ქრისტიანემ შვილი დედ-მამას დაუტოვა იმიტომ, რომ დაწმუნებული იყო, რომ ისინი მას უკეთ აღზრდიანო.

არც ასეთი აზრი ამართლებს ქრისტიანეს ერთი იმიტომ, რომ, როცა ის თბილისში მიდიოდა, სრული იმედი ჰქონდა, რომ მას იქ საქმის შოვნა და პატიოსანი შრომით ცხოვრება არ გაუჭირდებოდა; მეორე, მას საბუთი არა ჰქონდა ეთიქრა, რომ დედ-მამა ნაბიჭვარს გოგის ამ მათ შერცხვენისა და თავის მოჭრის მუდამ მომკონებელ არსებას — მშობლიურ მზრუნველობას გაუწყვიტა.

ერთი სიტყვით, საიდანაც უნდა შეხედოთ ქრისტიანეს საქციელს, ის უარყოფითი მოვლენაა და მაშასადამე, დანაშაულობაც; მიუხედავად ამისა ქრისტიანეს ამართლებდენ, რაც ამ უარყოფითი მოვლენის სადად გასაღებას ნიშნავს. რა არის ამის მიზეზი? ამის შესახებ ჩვენ ზევით უკვე ვსთქვით, მაგრამ დასასრულ არ შეგვიძლია არ მიუთითოთ სხვა მიზეზზეც, რომელიც ფართე საზოგადოების მხიხლოვებაში ღრმადაა ჩაქსოვილი. საქმე ისაა, რომ, თუმცა ჩვენ ბევრს ვლამაზავებთ ქალთა სწორ უფლებიანობისა, ემანსიპაციისა და სხვა ამ გვარ იდეების შესახებ, ბევრსა ვჭერმეტყვე-

დობთ, რომ ქალი პირველ ყოვლისა ადამიანი, მოქალაქე არის, მაგრამ თავი ვერ დაკვირვებია იმ შესხედულებისათვის, რომელიც ამბობს: ქალი პირველ ყოვლისა სატრფო, დედალი, მამაკაცის სათამაშო სკანიაო. ამიტომ—თუ ქალი, როგორც სატრფო მშვენიერია, ჩვენ გვარკითხვებს ეს ისე, რომ მზადა ვართ ევგლაფური მივუტევოთ მას, ყოველმხრით სრულპირფრეხებად დავსახოთ, ამიტომ, რომ ქალს სატრფოს ჩვენ გაცილებით მაღლა ვაყენებთ, ვიდრე ქალს, როგორც დედას. ქრისტიანე, როგორც სატრფო მშვენიერია—ეს ისე გვაჯადოებს ჩვენ, რომ მის სიკანაღეს, როგორც დედას, ვერ ვამჩნევთ. ქრისტიანე, როგორც სატრფო მშვენიერია, მას სხვა რა გვინდა? გაუმარჯოს

ქალს, როგორც ჩვენ დამათრბელ საკანს! რა საჭიროა, რომ მან შეიღებო ქადაკდეს, ეს მის სილამაზეს ანებს,—გავიძახოთ ჩვენ და ტაშს ვუკრავთ საქციელს, რომელსაც თვით ქრისტიანემ შეიღის **ლალატი** უწოდა.

ერთი სიტყვით, „ქალი, როგორც ზოოლოგიური სიმშვენიერე“, აი რას უმდერის დღევანდელი ფართე საზოგადოება... მაგრამ ამ სიმდერასთან ერთად გაისმის სხვა ჭანგებიც, თუმცა სუსტად, მაგრამ მკაფიოდ: ქალს, როგორც მოქალაქეს, ქალს, როგორც სოციალურ სილამაზეს“ — უგალობენ ისინი და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მომავალი ამ სუსტი ჭანგებისა: ამას ცხოვრების ჩარხს ტრიალი მოითხოვს.

ვ. ანთელიძე.

ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

ჰიპიენა

(წერილი მეხუთე)

საზოგადო დახასიათება ბაქტერიებისა.

I
ბაქტერია ბერძნული სიტყვაა. მეცნიერებმა ეს სახელი უწოდეს მათელს ჯგუფს უუმარტივეს და უუმცირესს მიკროორგანიზმებს, რომელნიც მცენარეთა სამეფოს ეკლთვიან და ძლიერაც უახლოვდებიან წყალთ-მცენარეებს. ამ მცენარეთაგან ბაქტერიები იმითი განირჩევიან, რომ თავიანთ **ბამში** (უჯრედი) არ შეიცავენ **მწვანას** (ხლო-როფილი) **).

სიდიდით და ზომით ბაქტერიები საოცარ სიმცირისანი არიან. ეს ერთბაშადი მცენარენი გარდიგარდმო რო გაზომეს 0,1მ1 მილიმეტრი აღმოჩნდა. არიან ამაზედაც უმცირესნი, მაგალითად 0,004 მილიმეტრამდე (სივანით). ხოლო სიგრძე

უნივერსიტეტის პატოლოგიურ ანატომიის პროფესორის A. Weichselbaum-ის მიერ შედგენილი.

*) ბაქტერიათა შესახებ წერილების შედგენის დროს უმთავრეს წყაროდ და სახელმძღვანელოდ მაქვს წიგნი **პარაზიტოლოგია** ვენის

**) ერთ გვარ ბაქტერიის ბამში მომწვანო ჰიგმენტი (ფერი) აღმოაჩინეს. ზოგსაც სახამებლის მარცვლის ნასახი უბოვეს.

თითქმის ყოველთვის ერთი ოთხად აღემატება სივანეს...

რო აწონეს -- ათასი მილიონი ხმელი ბაქტერია უღრის ერთი ფეტვის მარცვლის წონას. თუ რო ნემსის წვერზე ნდელი ბაქტერია ხუთასამდე დაეტევა, მაშასადამე იმავე ნემსის წვერზე ხმელი ბაქტერია ას მილიონამდე დაეტევა ¹⁾.

რაც შეეხება გარეგან ფორმას, მოყვანილობას, ბაქტერიები ერთი მეორესაგან ძლიერ განიხივებიან. სწორედ ამ ბედნიერ გარემოებით ისარგებლეს მეცნიერებმა და გარეგნობის მიხედვით გააყვეს ბაქტერიები რამდენსამე ტიპებად. ჯურად. თანაც შესაფერი სახელები გამოუგონეს, დაანათლეს.

1) **მიკროკოკი** (Micrococcus) შესდგება წვრილმან მომრგვალო ბამებისაგან, რომელნიც იყოფებიან (მრავლდებიან, ბლარტობენ) მხოლოდ და ყოველთვის ერთ უწყებულ გეგმით და მიმართულებით. ბლარტობის დროს მარცვლები (ბამები) ან შორდებიან ერთი ერთმანერთს, ან და კრიალოსნის მსგავსად მწკრივად არიან აკინძულნი, წარზიდულნი.

2) **სარცინა** (Sarcina). ამათი ბამები (უჯრედები) თითქმის რო კუბიკურ ²⁾ ფორმას წარმოადგენენ. ხშირად ხვდება ადამიანის კუჭში.

3) **ბაქტერია** (Bacterium). ამათი ბამის მოყვანილობა ან ბურთს წააგავს ან და მოკლე ცილინდრს ³⁾. გამრავლების, ბლარტობის დროს გარდიგარდმო იყოფებიან და ერთი ერთმანეთს შორდებიან, ცალკე ცხოვრობენ.

4) **ბაცილა** (Bacillus). ამათი ბამები ცი-

1) ნემსის ერთის დაკვრით სამოცდათი მილიონი არსება შეგიძლიანთ ასახათ.

2) კუბი, ფორმა ჯათინური სიტყვაა.

3) ცილინდრი ჯათინური სიტყვაა.

ლინდრულ ჩხირებს ჰგვანან (მაგალითად წინდის ჩხირს). ერთად არიან დაფივით გამწკრივებულნი ე. ი. ბაცილები ერთად ერთ დაფად არიან ასხმულნი, გადაბმულნი.

მეცნიერი კოჰნი სამად, სამ გვარ-ტომად ჰყოფს ბაქტერიებს: 1) მიკროკოკი ანუ კოკი. 2) ბაცილები და 3) სპირილი. ეს სპირილები ჰახრაკულად, ვინტივით ¹⁾ იგრიხებიან. ამათ ეკუთვნიან: *Vibrio*, ვიბრიონები, რომელნიც ფორმით, მოყვანილობით ძლიერ წააგავან ლათინურ ასოებს *წ ანუ წ*. ვანსხვადებიან საშინელის სწრაფის მოძრაობით *Spirillum* სპირილები და *Spirochaete* სპიროხეტები.

ამ გვარად, ბაქტერიათა მოყვანილობამ და სხვა და სხვა ნაირად ერთმანერთთან შეჯგუფებამ სახელებიც სხვა და სხვა გამოიწვია: დაბლოკოკი, სტრეპტაკოკი, სარცინი, სტაფილოკოკი და სხვ.

ხოლო მაშინ, როდესაც ბაქტერიები მილიონობით მრავლად არიან ერთად შეჯგუფილნი, ისე რომ თვალით სჩანან უმიკროსკოპოდაც, ამათ მაშინ ეწოდებათ ახალშენი, კოლონია ²⁾.

II

კვება და ზრდა ბაქტერიებისა ყველასი ერთ-ნაირი როდია. იმათ რომელთაც უყვართ ცხოვრება მძორზე ანუ მკვდარ ორგანიულ სხეულზე, ამათ ეწოდებათ სპროფიტი ბაქტერიები. ხოლო რომელნიც ცხოვრობენ და მრავლდებიან, საზრდობენ ცოცხალ გვამის ქსელებში (ხორცსა და რბილში) ამათ ეწოდებათ პარაზიტი ბაქტერიები.

ბაქტერიათა დიდი უმრავლესობა თავის

1) ვინტი ნემეცური სიტყვაა.

2) კოლონია ჯათინური სიტყვაა.

ბამში არ შეიცავს ხლოროფილს¹⁾, ამიტომაც სხვა მცენარეებსავე ვერ ძალუძს სიციცხლისთვის საჭირო ნახშირბადი მიიღოს ჰაერიდან ე. ი. ვერ შეუძლიან დაარღვიოს ჰაერში მყოფი ნახშირმჟავა გაზი. მაშასადამე თავისთვის საჭირო ნახშირბადს იღებენ რთულად შემდგარ ნახშირბადებიდან.

სიციცხლისთვის საჭირო აზოტს ბაქტერიები იღებენ ან ისევ რთულად შემდგარ აზოტისაგან, მეტადრე ცილეულობიდან ანუ სრულებით მარტივად შემდგარ თეზფისაგან (აზოტის მჟავა) და ამიაკისაგან²⁾.

მეცნიერებს უკვე კარგად აქვს შესწავლილი რომელ ბაქტერიას რა საზრდოც უყვარს ე. ი. სად უფრო ხარობს და მრავლდება. ბაქტერიების საყვარელ ნიადაგის ხელოვნურად მოსამზადებლად, ბაქტერიების მოსაშენებლად, ერთს უმზადებენ ხორცის წვესს, ბულიონს³⁾, მეორეს სისხლის შრატს, ზოგს უმზადებენ იმის საყვარელ საჭმელს ხაშს—ხორცის წვენში უმატებენ ჟელატინს⁴⁾ ანუ მცენარე აკარაგარას ლორწოს. ამ გვარი წვენი როცა ცივდება რაპათლოზუმივით (თათარასა-

ვით, ჟელესავით) მაგრდება. ზოგს ბაქტერიასაც უყვარს ცხოვრება მოხარშულ კართობილზე და მოხარშულ კვერცხებზე. ჰო და როცა ბაქტერიოლოგიურ ლაბარატორიებში მუშაობენ და ბაქტერიებს იკვლევენ, ზემოდ ჩამოთვლილ საგნებზე მოაშენებენ ხოლმე ბაქტერიის „ბაღებს“, ახალშენებს, კოლონიებს და მერე მიკროსკოპით იკვლევენ, ათვლიერებენ მათს ცხოვრება-ვითარებას.

დღეს ვისაც კი სურვილი აქვს შეუძლია ფოსტით გამოიწეროს უნივერსიტეტიდან ანუ ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტიდან რომელი ბაქტერიის ახალშენიც უნდა და არც თუ ისე ძვირად ღირს.

ბაქტერიები ხარობენ და იზრდებიან მხოლოდ უწყებულ ტემპერატურაში. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სხვა და სხვა გვარი ბაქტერია სითბოსიცივესაც (ტემპერატურას) სხვა და სხვა გვარს შესჩვევია. მაგალითად საპროფიტებისთვის უმაღლესი (optimum) ტემპერატურა 20° ცელზი უდრის ე. ი. ოთახის სითბოზე მეტს ვერ აიტანს. ხოლო პარაზიტები უცხოთ ჰგუობენ¹⁾ ხარობენ, ფუფუნებენ 37° ც. ე. ი., ჩვენის სხეულის (სისხლის) სითბოში მშვენიერ პირობებს ჰპოულობენ, ბედნიერად გრძნობენ თავს. შენიშნულია, რომ ტემპერატურა 5° ქვევით და 45° ც. ზევით ბაქტერიებისთვის აუტანელია და უმრავლესობა შეაჩერებს ხოლმე თავის განვითარებას—ველარ მრავლდებიან. მაგრამ არიან იმ გვარი ბაქტერიებიც (სცხოვრობენ წყალში, ნიადაგში, თევზის წელებში), რომელნიც ძლიერ კარგად მრავლდებიან 0°-ც. ამ გვარადვე მეცნიერებმა ისიც შენიშნეს, რომ ზოგი

1) ხლოროფილი ბერძნული სიტყვაა. ეწოდება იმ მწვანე ფერს, რომელსაც ყოველი ცოცხალი მცენარე შეიცავს და რომელიც უუდიდეს რაღს თამაშობს ასსიმილაციაში—ანდგევს ჰაერის ნახშირმჟავას და სხვ. . .

2) ამიაკი ანუ ამონიაკი (ბერძ. სიტყვაა) არის გაზი, შეიცავს 1 გარსს აზოტს და 3 გარსს წყალბადს. ჩვენ რა ნიშანდურის სპირტს ვეძახით ეგ წყალში გახსნილი ამიაკია.

3) ბულიონი ფრანგული სიტყვაა.

4) ჟელატინი ფრანგ. სიტყვაა. ცხოველთა ზოგიერთა ნაწილებისგან მზადდება ეს წებოვანი ნივთიერება.

1) ეს ლექსი: ჰგუობა, ჰგუობენ ვერც ერთს ქართულს ლექსიკონში ვერ ვპოე.

გვარის ბაქტერიები მხოლოდ 40° და 70° ცელს¹⁾ ხარობენ, ფუფუნებენ, მრავლდებიან. ტიროთრიქს ტენუის (*Jyrophrix tenuis*) რო უძახიან, ამას შეუძლიან საშინელი სიცხე აიტანოს, 74° ზევითაც საუცხოოთ გრძნობს თავს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმასაც თუ რაფერ ეწყობიან ბაქტერიები ჰაერის მჟავბადს. ზოგს მაგალითად სრულგებით ვერ აუტანიათ ჟანგბადი, ზოგს კი უმჟანგბადოთ სიცოცხლე სრულგებით ვერ შეუძლია, ზოგისთვის კი სულ ერთია. სიცოცხლე და აღორძინება შეუძლიანთ ჟანგბადითაც და უჟანგბადობასაც არ დაგიღვევენ.

III

ბაქტერიების ქიმიური უნარი პირველ წერილში (იხ. „განათლება“ № 2) უკვე გავიცანით, ხოლო აქ მოყვანილ ცნობებიდან უფრო დავწმუნდებით, რომ ბაქტერიები მართლაც და დიდებული ქიმიკოსნი ყოფილან. უცეცხლოდ აღუღებენ — ენზიმს, ტრიფსინს ამზადებენ. ხოლო დიასტატიურ დუღილით სახამებელს გარდაქმნიან (ამზადებენ) სხვა და სხვა გვარ შაქრად. ჭირის ბაქტერიათა შორის ამის უნარი აქვსთ ციმბირის ჭირის ჩხირებს, ხოლერის და ფინკლერის ვიბრიონებს.

ზოგი ქიმიკოსი ბაქტერიაც გამოიწვევს ხოლმე ინვერტიულ დუღილს და მით ლერწმის შაქარს (ჩვენ რო ყოველდღე ვხმარობთ) გარდაქმნის ხოლმე ყურძნის და ხილის შაქრად. ერთ ნაირი დუღი-

ლიც არის, რომელიც დვრიტის უნარს ითვისებს — რძეს სჭრის, კაზეინი დედდება და სხვ. ერთნაირ დუღილსაც შარდის დუღილი ჰქვიათ. ამის მოხელე გახლავსთ ბაქტერია *Micrococcus ureae* (მიკროკოკუს ურეე) — შარდის დედას ნახშირმჟავა ამიაკად გარდაქმნის ხოლმე.

წინა წერილიდან უკვე ვიცით, რომ თვითვეულ ჯიშის ბაქტერიებს, მხოლოდ ერთი რამ ხელობა აქვსთ კარგად შესწავლილი: ერთი აღუღებს და ამზადებს მმარმჟავას, მეორე რძემჟავას, მესამე ზეთმჟავას, მეოთხე ლორწომჟავას და სხვ...

ბაქტერიებში მღებარი და მხატვარიც ბევრი აღმოჩნდა (პიკმენტიანი ბაქტერიები). რა ფერადებს ბრძანებთ, რომ ბაქტერიებმა ვერ შეგიღებონ — სპეკტრის ყველა ფერადებით, წითლიდან მოყოლებული ვიდრე იის ფერამდე ყველა ფერადებად ლებენ საგანს. მათი ფერადები ძლიერ წააგავან ეხლა რო ბაზარში ახალფერი იყიდება (ანილინის ფერადები). მაგალითად, ხშირად შეხვდებით სხვა და სხვა სანოვაგეზე წითელ, ყვითელ, მწვანეს ანუ ლურჯ ფერ ხალებს, მაგალითად მოხარშულ კვერცხზე, პურზე, კართოფილზე, რძეზე და სხვა... ერთმა ბაქტერიამ სამარადისო სახელი გაითქვა იმით, რომ კათოლიკეაა ერთს ეკლესიაში სეფისკვერზე სისხლის ფერი ხალები დაამჩნია. მაშინდელმა სულიერმა მამებმა ეს ხალები სასწაულად, ქრისტეს სისხლად მიიღეს და მას აქეთაა ამ ბაქტერიას მეცნიერებმა დაანათლეს *Micrococcus prodigiosus* — მიკროკოკი სასწაულებრივი სისხლისა.

კიდევ ბევრნაირი უნარი აქვსთ ბაქტერიებს: მაგალითად ღამე რო ზღვა ანათებს, ზღვა რო მთლად ნახ შუქით მოფენილია — გემიც მიცურავს, მისრიალებს და შუქმფენ კვალს სტოებს. თურმე ზღვის

1) საზოგადოთ სამეცნიერო შრომის დრას და ტანის ტემპერატურის საზომათც ცულისის ტერმომეტრი იხმარება. ხელე ჰაერის ტემპერატურის საზომათ რემიურის ტერმომეტრი იხმარება.

პირობედ მთელი მილიარდები პრკესაებ მოკიდებული მიკროსკოპიულ ცხოველები ფოსფორით აშუქებენ, შუქმფენ ფოსფორიულ ნივთიერებას ქმნიან. ეს პროცესიც ბაქტერიების უნარია—უფრო კი ბაკილებისა და ვიბრიონებისა¹⁾.

ზოგიერთა ბაქტერიები ჰქმნიან დიდ სითბოს, რომლისაგან თავისთავად ხანგრძლივ იწვის ნეხვი²⁾, ხიდან ჩამოცვინული ფოთლები და სხვა. მაშასადამე ბაქტერიები გვიმზადებენ ნოყიერს და ღონიერს შავ მიწას, სახნავ სათესს. აგრეთვე სრულებით უმიზნოდ ხშირად მომზადარა, რომ იწვის თივა, (თივის ძირი), ბაზა და თამბაქო დიდ ცალეზად შეკრული. აბა ნამიან დღეში თივის ძირი დადგით და მეორე მესამე დღეს ხელი შეყავით, რა საშინელ სიციხეს იგრძნობთ! ჰო და როცა ეს სიციხე წრეს გადავა, მაშინ აპრილობს კიდევ ცეცხლს, იწვის თივა. დიდი სითბო ჩნდება მაშინაც, როდესაც ქერის მარცვალი

1) ხშირად მომხდარა, რომ მიცვალებული აშუქებს. ხალხი ამბობს წმინდანი კაცი იყო და ნათელი დაადგა. თურმე ნუ ბძახებთ, ესეც ბაქტერიების უნარი ყოფილა. ფოსფორისცენცია ხშირად მოხდება ხალხე უსმის დუქანშიაც. —

ვისაც დამე ტუქში გივლიათ, უკუკვლია შემთხვევა გეგნებდა და გენახათ არა ჩვეულებრივი შუქი-სინათლე. ახლეს რა მიხვადეთ დაწმუნდები, თრამ ჩეს ადგია ნათელი, მაგრამ. კვ უნარი ბაქტერიებს არ ეკუთვნით. ზოგი სოკო შეიცავს რიზომორფს და სადაც კი ეს სოკო დასახლდება ხეზე და მის ფურცლებზე, სინათლესაც იქ ჰფენს.

2) ჩვენში სოფლად იტყვიან, აქებენ: „ათი წლის დამწვარი ხეხვი არისო. მართლაც და ხესვი გარდაიქცევა ხალხე ყოფნის ფრად, შავ მიწად.

ღვივდება, მაგალითად ლუდის მომზადების დროს. ყველა აქ ჩამოთვლილი პროცესები ბაქტერიების გამოწვეულია.

ერთ გვარი ბაქტერიებიც ჰქმნიან გოგირდ წყალბადს—ცილელულობიდან, გოგირდმეფავ მარილებიდან და სხვ...

უკვე ნათქვამი გვქონდა რაოდენ სიმდიდრეს სძენს მემამულეს მეგვარჯილე ანუ ნიტრობაქტერია, რომელიც ნიადაგის ამიაკს გარდაქმნის ხოლმე თეზაფად და აზოტიურ მეფავად, რის გამოც ნათესი მცენარეულობა ნოყიერად საზრდოობს და ერთი ორად მეტს მოსავალს იძლევა (მეტადრე ბოსტნეულობა ძლიერ ხარობს ამ პირობებში).

ბაქტერიებმა გაზის მომზადებაც იციან. ამზადებენ ნახშირმეფავა გაზს და წყალბადს. არიან ბაქტერიები, რომელნიც ქიმიურად ამზადებენ სურნელოვან ნივთიერებას. გავიხსენოთ ინდოლი, სკატოლი, ფენოლი და სხვ.

მართალია ეს მრავალგვარი ქიმიური უნარი ბაქტერიებისა მეტად დიდს სარგებლობას გვაძლევენ, მაგრამ სამაგიეროდ მსხვერპლსაც ბევრს ვწირავთ—მათი ქიმიურის უნარით აიხსნება ჩვენი დაღუპვა¹⁾.

ჩვენს სხეულში საშინელის სისწრაფით მრავლდებიან ხოლმე ჰირის ბაქტერიები და საშინლადაც შხამავენ მთელს ჩვენს ჯანს, სისხლსა და ხორცს. ეს იმით აიხსნება, რომ ადამიანის და სხვა ცხოველთა თბილ სისხლში ბაქტერიები საუცხოო პირობებს პოულობენ თავის აღორძინე-

1) აქ უნდა შევნიშნათ, რომ ადამიანის სულოამხუთავნი არიან მხოლოდ ჰირის ბაქტერიები. დანარჩენი ბაქტერიები ჩვენი სამღვდი მოკეთენი არიან და უსამართლობა იქნება რაიმე აკაცობა დაწმამთ მათ.

ბისტვის. ზომიერი სიცხე ტემპერატურა ჩვენის სისხლისა 37°, ამავე სისხლის შედგენილობა, რომელიც ოდნავ ხაშურიანია, მართლაც დიდად ხელს უწყობს ბაქტერიების ფუფუნებას, სისწრაფით გამრავლებას. დიად სითბოც ზომიერი აქვსთ და საზრდოსაც აუარებელს შოულობენ ჩვენს სისხლში. ამიტომაც ბაქტერიები, ერთი კი როგორმე შეესიონ ჩვენს სხეულს და მერე თითონ იციან! ერთბაშად იფეთქებენ ხოლმე. ყოველ 20—25 წამში მათი რიცხვი ერთი ორად იქცევა, ყოველი ახალი თაობა კვლავ 25 წამში ერთი ორად იქცევა, მარად და მარად. მაშასადამე ადვილი წარმოსადგენია ერთს და ორ დღეში რამდენს მილიონს და მილიარდებს უწევს ჭირის ბაქტერიების რიცხვი.

რა მიზეზია, რომ სხეულს გვიშხამავენ ბაქტერიები. ეს ისევ **ქიმიურად** აიხსნება: 1) ჩვენის სისხლის სორსლებს ბაქტერიები წაართმევენ ხოლმე ჟანგბადს (მყავბადს) და თავის ასაღორძინებლად ხმარობენ. 2) ჩვენთვის საკვებავად საჭირო წვეწვს თვითონ ბაქტერიები შთანთქამენ ხოლმე თავის სასაზრდოებლად. 3) არღვევენ შაქარს და სხვა რისთვისაც ბაქტერიებს თან უძღვით ამისთვის საჭირო ფერმენტს. 4) განაზავებენ ხოლმე ძნელად განსაზავებელ რთულ ქიმიურ სხეულებს და 5) აუარებელი რაზმი ბაქტერიებისა, სიცოცხლის სწრაფ პროცესის დროს გამოჟონავენ ხოლმე იმ გვარ ნივთიერებას რომელიც შხამავს ჩვენს სხეულს¹⁾. ამ შხამიან ქიმიურ ნივთიერებათა საზოგადო სახელი არის ტოქსინები. ამათგანი ბევრნი ეკუ-

თვიან პტომინებს. ზოგი მეცნიერი ჰგონებს, რომ ყველში, კალბასში და ხორცში რო შხამი ჩნდება¹⁾ ეგენიც პტომინები თუ არიანო. პტომინები ქიმიურ შედგენილობით ძლიერ წააგვანან მცენარეულ ალკოლოიდებს. აღმოჩენილი არიან აგრეთვე ბაქტერიების ნაწარმოებნი: პროტეინები, ტოქსალბუმინები და სხვა, რომელნიც აგრეთვე შხამიანები და საწამლავეები არიან.

IV

თავიანთსასარგებლოდ, საკეთილდღეობთ ამ ჭირის ბაქტერიებსა, რასაკვირველია, მშვენივად აქვსთ ქიმია შესწავლული, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ ხელს არ გვაძლევს. აი ამიტომაც დიდი ხანია მეცნიერებამ ომი გამოუტახადა კაცობრიობის მტერთ ჭირის ბაქტერიებს. ბრძოლა ორ გვარი წარმოობს: 1) შეაჩერონ ჭირის ბაქტერიათა ზრდა, განვითარება, 2) გამონახონ იმ გვარი საბრძოლველი იარაღი და საშუალება, რომ სრულებით მოსპონ, გაანადგურონ ჭირის ბაქტერიები, რომელნიც ყოველ წლივ მილიონობით სპობენ ადამიანის სიცოცხლეს.

უკვე გამოკვლეულია, რომ ბაქტერიათა ზრდას და განვითარებას ხელს არ უწყობს შემდეგი პირობები:

1) როდესაც სინოტიე მცირდება ზედაპირის პირზე და სხვა და სხვა გვარ საკვებავ-სანოვაგეზე, მაშინ ბაქტერიები სრულებით შეაჩერებენ ხოლმე ზრდას. ეს მოხდება მაშინ, როდესაც დასახელებული 60—70% ნაკლებ შეიცავენ წყალს და სინოტიეს²⁾.

1) ეს უკვე დაამტკიცეს ჯერ ზასტერმა და მერე კონსტანტინის ხოლმეის ბაქტერიათა ექსპერიმენტების დროს.

1) მეტადრე კალბასით ხშირად მოიწამლეობიან ხოლმე.

2) მართლაც და ვისაც გახსოვსთ 1892-3

2) ტემპერატურაც შეაჩერებს ხოლმე ბაქტერიათა ზრდას და განვითარებას, თუ რომ ან აუტანელი სიცივეა ან გადაჭარბებული სიცხე.

3) ხელთა გვაქვს აგრეთვე ბევრგვარი ქიმიური საშუალებანი (წამლები), რომლებითაც შეგვიძლია შევაჩეროთ ხოლმე ბაქტერიების ზრდა, გამრავლება.

მაგრამ ჩვენთვის, რალა თქმა უნდა, უფრო იმ გვარი საშუალებანი გვიჯობს, რომლითაც შეგვეძლება სრულებით მოვსპოთ, ამოვხოცოთ ბაქტერიები. ეს საშუალებანი და პირობანი იგივეა, რაც ზემოდ დავასახელებთ, მხოლოდ უფრო ძლიერად და ხანგრძლივად უნდა ვიმოქმედოთ. ამასთანავე ანგარიშში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ახალგაზრდა კარგად განვითარებული ბაქტერიები უფრო ძნელი მოსასპობნი არიან, ვიდრე ხნიერი და ცუდ პირობებში აღზრდილნი. მეტადრე ძნელი მოსასპობია **სპორა** *) ბაქტერიებისა.

ესთქვით სრულებით მოუსპეთ საზრდო, ამით, რასაკვირველია, რამდენიმე ხანში დავხოცავთ ბაქტერიებს—ზოგი ადრე მოკვდება, ზოგი კი უფრო გვიან. მეტად-

წელს ჩვენში ხორკელობა ეფექტუალის წვიმის შემდეგ უფრო მეტი ხდება და ხალხით ავად. სხვათა შორის თბილისში იმითი ავადმას ხალხის მძვინვარება, რომ ქუჩებს განგებ არა წწყვდა.

*) სპორა ბერძნული სიტყვაა. მცენარეთა დიდი უმრავლესობა ჭეკვის, აშკარად ვხედავთ მათს უვავილს, რომელიც შემდეგ თესლს იძლევა, ხალხი არიან იმ გვარი მცენარეებიც, რომელთა აუვავებას (უვავილს) ვერ ვამჩნევთ (ჩაღუნა, სოკოები და სხ.) აი ამით თესლს ჭეკიან სპორა. ზოგიერთა ბაქტერიებიც სპორათი მრავლდებიან.

რე პარაზიტიული (ვეგეტატიური) ბაქტერიები დიდხანს ვერ იტანენ უსაზრდოებას და მალეც ისპობიან. ხოლო რაც შეეხება სპორიან ბაქტერიებს, ესენი ძლიერ მდგრად იცავენ თავს. სპორებს შიმშილით ვერას გზით ვერ მოსპობთ. სპორას შეუძლია თუნდ რამდენიმე წელიწადი და ზოგჯერ ათი წლობითაც, სრულებით უსაზრდოოთ დარჩნენ და მაინც არ მოიპონ სიცოცხლის უნარი. ელიან დროს, და როცა უკეთესი პირობები დაუდგება სპორა აღორძინდება და მზათ არის ახალგაზრდა ბაქტერია, რომელიც მილიონობით დასტოვებს ახალ თაობას *).

პარაზიტულ ფორმის ბაქტერიებისთვის აგრეთვე ძლიერ მავნებელია თუ რომ გავახშობთ, მაგრამ სპორები ისეთ მავარბუღეში სხედან, რომ ვერც გახშობით მოსპობთ (ამ გამძლეობით კი იმ პურის მარცვალსაც კი სჯობნის).—

ელექტრიონის ძლიერი ნაკადულიც ზოგჯერ ადვილად ხოცავს ბაქტერიებს.

დიდი გავლენა აქვს ბაქტერიებზე ტემპერატურასაც. სიცივეს და ყინვას შეუძლიან მხოლოდ შეაჩეროს ზრდა, მაგრამ ყველა ჯურის ბაქტერიას კი ვერა ხოცავს. მაგალითად, სახადის ბაქტერიამ გაყინულმა 103 დღე კიდევ იცოცხლა. მეტადრე ტრიმბირის ჭირის სპორებმა (თესლიმა) საშინელ ყინვას გაუძლეს 20 საათის გან-

*) აქ რა თქმა უნდა გასაკვირველი არაფერია, თუ რომ მთავიგნებთ ერთს შემთხვევას. ეგვიპტეში შირამიდების თუ სარკოფაშის გათხრის დროს ათასი წლის წინეთ დამარხულის ვიღაც ფარაონის მუშია კუბო იპოვეს. კუბოში აღმოჩნდა პურის ხორბალიც. შეცნიერებმა სცადეს, ხორბალი დათესეს და მშვენივრად იხარა და თავთავიც გაიკეთა.

მავლობაში არ დაკარგეს სიცოცხლის უნარი 130° ცინვაში.

დიდი სიცხე კი დიდი მტერია ბაქტერიებისა. იმ ბაქტერიათა მოსასპობად, რომელნიც არ შეიცავენ სპორებს (მეტადრე ნოტიო სიცხეში) საკმაოა 1—2 საათის განმავლობაში დახოცოს 48—60° სი-
ხემ. ხოლო ჭირის ბაქტერიები თითქმის ყველა ათს წამში იხოცებიან 55—60° სი-
ცხისაგან. სპორები კი სიცხესაც დიდს უძლებენ.—

ამასთანავე ნოტიოანი სიცხე (მაგალითად მღუღარე წყალის ორთქლი) უფრო მძლავრად მოქმედებს, ვიდრე ხმელი სი-
ხე (თორნის ან ფურნის სიცხე). ას გრადუსიან მღუღარე წყალს, მეტადრე ამ მღუღარის ორთქლის ძლიერ ნაკადულს ვერ უძლებენ ვერც ბაქტერიები და ვე-
ლარც მათი სპორები—10 15 წამში იხოცებიან, ხოლო ჭირის ბაქტერიები სპორები ამ გვარ სიცხეში უფრო ადრე იხო-
ცებიან, ისპობიან, მაგრამ რას ბრძანებთ, რომ მაინც აღმოაჩინეს ისეთი არა ჭირის ბაქტერიებიც, რომელთა სპორები (თეს-
ლი) 5—7 საათს უძლებენ ამ საშინელ მღუღარის ორთქლის ნაკადულს*).

ჩვენდა საბედნიეროდ თვით ბუნებას უზრუნვია ჩვენთვის. მზის სინათლე, პირ-
დაპირი სხივები (როცა მზე აჭერს) რამდენსამე საათში ხოცავს ყოველ ნაირ ბაქ-
ტერიას და იმ მძლავრებსაც კი, რომელნიც შეიცავენ სპორებს. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ აქ მზის სიცხე კი არ მოქმედობს,

* რკინის გზებზე თითქმის ყველა სად-
გურთან იმყოფება დღეს საგანგებო მაშინები, რომელთაც წყალს აღუდებენ კიდევ და საში-
ნელ ცხელ ორთქლის ნაკადულით დაზინიფიკა-
ციას უშვრებიან მოგზაურთა ნივთებს (მეტად-
რე ხოლერის დროს).

არამედ პირდაპირი სინათლე და არა გა-
ფანტული, გაქსაქსული. ისიც საინტერესო
აღსანიშნია, რომ ციმბირის ჭირის ჩხირე-
ბი თურმე უფრო უძლებენ მზის სინათ-
ლეს, ვიდრე მათი სპორები. ჰაერის ჟანგ-
ბადიც რა თქმა უნდა ამავე დროს ხელს
უწყობს, შველის ბაქტერიების განადგუ-
რებას.

ხოლო რაც შეეხება წაპლებს, ქიმიური
საშუალებანი ხოცვენ მხოლოდ იმ გვა-
რის ბაქტერიებს, რომელნიც არ შეიცა-
ვენ თავიანთ ბამში სპორებს.—დიდებულ
მეცნიერის კოხის გამოკვლევით აღმოჩნ-
და, რომ ახლად მომზადებული ხლორის
წყალი აგრეთვე ბრომის და იოდის წყალი
24 საათის განმავლობაში ხოცავს არამც
თუ ბაქტერიებს, ციმბირის ჭირის სპო-
რებსაც კი*). ძლიერად მოქმედობს აგრე-
თვე მარგანმჟავა კალი (*Kalum hyperman-
ganicum*) წყალში გახსნილი 3—4%, აგ-
რეთვე ფენოლი (კარბოლის მჟავა) 3-5%
მძლავრად ხოცავს ბაქტერიებს. ასეთი
მცირე პროცენტიანი ფენოლის წყალი
ციმბირის ჭირის სპორებსაც კი ხოცავს
48 საათის განმავლობაში. მერე მითომ
რა მიშლის 10% ფენოლის წყალი ვიზმა-
როა!?!..

ამასთანავე ხელთა გვაქვს საშინელი სა-
წამლავე **სულეიმანი** (*Hybrarg-
bichlorat. corrosiv.*) 1:1000 გახსნილი წყალში (ერ-
თი წილი სულეიმანი გახსნილი ათას წილ
წყალში) ადვილად რამდენიმე წამში ხო-
ცავს ციმბირის ჭირის სპორებსაც კი. ჰო
და მეც უფრო მძლავრს ავიღებ სულეი-
მანის წყალს!..

* ენდა გვახსოვდეს, რომ ციმბირის ჭირი
სპორა (თესლი) სხვა ყველა ჭირის ბაქტერი-
ის სპორაზე უფრო ჭირვეულია, მეტად ძნე-
ლი მოსასპობელია.

მაგრამ არის აქაც საწაბლავეთა ხელის შემშლელი გარემოება: პირობანი. მაგალითად, თუ რომ ბაქტერიები ანუ მათი სპორები სცხოვრობენ, იმყოფებიან იმ გვარ სითხეში, რომელიც საკმაოდ ბლომად შეიცავს ცილეულობას, მაშინ ისე ძლიერად ვეღარ მოქმედებს მათზე სულეიმანი და სხვა მძლავრი წამლები.

მაგრამ კიდევ გვაქვს ჩვენს არსენალში ბაქტერიებისთვის საშინელი გამანადგურებელი წამლები, მაგალითად გაუწმენდავი მუავა გოგირდისა და მარილ მუავა. აგრეთვე საიმედონი არიან დამწვარი კირი, ქლორის წყალი, დახლორებული კირი, ფორმალინი, ტორფი (ზოგ შემთხვევაში უწმინდურების ადგილებში სახმარებლად).

ყველა აქ ჩამოთვლილი წამლები უფრო მძლავრად მოქმედებენ, თუ რომ გავაცხელებთ და ისე ვიხმართ.

ვ

ძლიერ საჭიროა ვიცოდეთ სად უფრო ხარობენ, სად და როგორ ვრცელდებიან ბაქტერიები? *)

საზოგადოთ ბაქტერიები საშინელის სისწრაფით მრავლდებიან გაყოფით და თანაც ადვილად ჰგუობენ სხვა და სხვა გვარ გარეგან პირობებს. ამასთანავე ჰაერის ნაკადულს (ქარს) ადვილად გადააქვს ბაქტერიები, — მთელს ქვეყანას მოჰყვანს ხოლმე. მდინარე წყლები და ადამიანთა ერთმანეთთან მიმოსვლაც, რაიც ჩვენს დროს ასე გაადვილებულია, ძლიერ ხელს

*) წინა წიგნიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ მსოფლიოში აუარებელი სხვა და სხვა გვარი ბაქტერიები არსებობენ, მაშასადამე აქ ჩვენ ვბაძობთ ვეკლას ჯურს ბაქტერაებზე და არა მარტოდ და მხოლოდ ჭირის ბაქტერაებზე.

უწყობს ბაქტერიების გავრცელებას სხვა და სხვა ადგილას.

ხოლო არიან აგრეთვე დამაბრკოლებელი პირობებიც, რომელნიც ხელს უშლიან ბაქტერიების გამრავლებას, ქვეყნად მოფენას. მაგალითად ვეგეტატიურ ფორმის ბაქტერია აუარებელი ისპობა ჰაერის სიხმელ-სიმშრალეში. ბევრგვარ ბაქტერიის გავრცელებას ძლიერ აბრკოლებს აგრეთვე დიდი სიციხე და დიდი სიცივე-ყინვა. ამასთანავე პირდაპირი სინათლე მზისა, ეს ისეთი რამ ძალაა, რომ დიდძალოვანი ბაქტერიებიც ვერ უძლებენ, მათი სპორებიც კი იღუპება, როგორც ვიცით.

მეტადრე ძნელია არსებობა პარაზიტიულ ფორმის ბაქტერიებისთვის ადამიანის და სხვა ცხოველთა გარეშე. სხვა პირობებში ვეღარ ჰგუობენ. საზრდო და ტემპერატურა ეცვლებათ, აუტანელი ხდება. თუმცა კი შესაძლოც არის ზოგიერთმა მოახერხოს ხანგრძლივის ბრძოლით ახალ პირობებსაც შეეჩვიოს.

უმთავრესი საძყოფელი ბაქტერიებისა არიან:

1) **ჰაერი.** ჰაერში ბაქტერიები ზედება ზედადგის ზედა პირიდან და სხვა საგნებიდანაც. ეს ადვილად მოხდება მაშინ, როდესაც გვალვის დროს დედა-მიწის ზედა პირი ხმება და ჰაერის ნაკადული ქარი და ზოგჯერაც ქარიშხალი აიტაცებს ხოლმე ჰაერში მტვერს და მასთან ერთად აუარებელ ბაქტერიებსაც, რომელთა შორის შეიძლება ჭირის ბაქტერიებიც ერიოს.

2) **ზედადგი.** შიგ ზედადგიში ყოველთვის იმყოფებიან ბაქტერიები და ამასთანავე ძლიერ ბლომათაც. მეტადრე დანაგვიანებულ ადგილებზე იქ. სადაც ბლომად სუფევს უწმინდურება. ესენი მეტ წილად საპროფიტებს ეკუთვნიან. ამასთანავე ბაქტერიებს უფრო ზედა პირად უყვართ

ცხოვრება, სიღრმეში (ნიადაგში) ან სრულებით ვერ შეხვდებით ან ძლიერ ცოტას.

ზედადგშივე ხვდება ჰირის ბაქტერიებიც, რომელნიც, როგორც მეცნიერები ჰკონებენ, მხოლოდ ზედა პირად მრავლდებიან. მაგრამ ჩვენსა და საბედნიეროდ ამათ განვითარებას ხელს უშლის თურმე საპროფიტების მეტოქობა, საჭირო საზრდოს უქონელობა და შეუფერებელი ტემპერატურა—სიცხე-სიცივე. ისიც მეტად საინტერესოა, რომ ძლიერ დანაგვიანებულს, უწმინდურობით სავსე ზედადგში თვითონ ბაქტერიები იშვიათად პოულობენ თავიანთ ასალორძინებელ პირობებს და სამაგიეროდ ბაქტერიების სპორებს კი ეს ზედადგი კარგად ინახავს თურმე. ამ სპორებში, რასაკვირველია, ჰირის ბაქტერიებიც ურევია.

3) **წყალი.** ნიადაგის სიღრმეში წყალი და წყაროს ნაკადულები სრულებით უმწიკლონი, თავისუფალნი არიან ბაქტებისაგან. ხოლო დედა მიწის ზედა პირის წყალსა და მდინარეში ჰაერიდან ყოველთვის ხვდება ბაქტერიები და ზოგან ბლომათაც. ეს ბაქტერიები თითქმის ყველა საპროფიტები არიან, რომელნიც კმაყოფილდებიან იმ მცირე საზრდოთიც, რასაც წყალში ჰპოულობენ (წყალთა ბაქტერიებს).—ზოგჯერ ჰირის ბაქტერიებსაც შეუძლიანთ წყალში ცხოვრება მოახერხონ, მაგრამ ვერ-კი მრავლდებიან, რადგან წყალში ვერ შოულობენ საჭირო საკვებს.

მეტადრე ჩვენს მდინარეებში, რომელნიც ვეფხვივით დახტიან ქვიდან-ქვაზე, კლდიდან-კლდეზე, აქ რომელი ბაქტერია მოიკიდებს ფეხს. სრულებით სხვა სურათს წარმოადგენს ის ტბა და მდინარე, ჰაობი

და გუბე, რომელნიც სოფლის და ქალაქის ახლო მდორედ იძვრიან *).

ვერავის დაუფიცაფთ, სოფლელები და ქალაქის მცხოვრებნი დაქინებით ჰყრიან ამ წყალში ათას გვარ უწმინდურებას: კატის და ძაღლის შიძორს და აუარებელ ნაგავს. ვაკე ადგილზე მდინარე წყალი მდორეთ მიდის, ვერ ასწრობს უწმინდურების გაწმენდას და აი სწორედ აქ ჩნდება ნამდვილი ბალდადი და წალკოტი ჰირის ბაქტერიებისათვის.

ამ წუმპეში ბლომად გროვდება მათთვის საზრდო, ორგანიული ნივთიერება ცხოველთა და მცენარეთა ნაგვისაგან. აქ ჩასდგამენ ხოლმე საფუძველს ჰირის ბაქტერიები ხოლერისა, ციმბირის ჰირისა; მუცლის სახადისა და სხვ. აქ, აი ამისთანა პირობებში ალორძინდებიან და მრავლდებიან. ვის დაუფიცაფთ! ვინმე უგუნური გულზე დაწვება და ამ წყალს დაეწაფება, დაღვეს, ჰირს გადაეკიდება და მთელს სოფელს მოსდებს. აქედანაც წაგა-წამოგა და მთელ ქვეყანას მოეღება **).

4) **საქმელ-სასმელი.** ჩვენი საქმელ-სასმელი შეიძლება იმ თავითვე შეიცავდეს ბაქტერიებს (როცა ჯერ ჰუმი და ნელია) ანუ შემდეგში შინ მომზადებისა და შენახვის დროს ადვილად შეიძლება ჩაცვივდნენ შიგ ბაქტერიები. ამათგანი ზოგი

*) მე რა რუსეთში მდინარეებში მინახავს, კარგი გაჩვენება უნდა ზევით მიდის თუ ქვევით. ავიღოთ მაგალითად თუნდ ქალ. ხარხვის ორივე მდინარე, რომელკობაც მცხოვრებნი ძალზე ანაგვიანებენ. აქი ამიტომაც ხარკოვი გახთქმულია გამოუფეკვლად მოარულეობით, შეტადრე მუცლის სახადით.

***) ეკ ჰირიანი წყალი თუ სახლში შეიტანეთ ჯამ-ჭურჭლის ან სარეცხის დასარეცხად, ეკ სულ ერთია მაშინაც გადაეკიდებით ჰირს.

აღპობს სანოვაგეს და ზოგიც ადუღებს.

ესენი თუმცა ჭირის ბაქტერიები არ არიან, მაგრამ თუ რო ბლომად ჩავაყო-
ლეთ საჭმელ-სასმელს, ამ გვარ ბაქტერიებ-
საც შეუძლიანთ თავიანთ სიცოცხლის
პროცესით ჩვენს სხეულში გამოუშვან
შხამი და შოგვიწამლონ სისხლი.

რა თქმა უნდა რომ ჭირის ბაქტერიე-
ბიც შეიძლება მოხვდნენ საჭმელ-სასმელს,
მაგალითად, მუცლის სახადის ჩხირები,
ხოლერის ვიბრიონები და სხვ. მეტადრე
რძეში, ხორცში და მის წვენიში ხშირად
ხვდება ჭირის ბაქტერიებიც*).

უბედურება ის არის, რომ გარეგანი
შეხედულობა არ ეცვლება ამ სანოვაგეთ
და ამიტომაც არ ვერიდებით ბაქტერიან
საჭმელ-სასმელს, ვიდრე ან არ დაღებება,
ან არ ადუღდება, დაძმარდება, მხოლოდ

*) დიდ უბედურებად მიმაჩნია ერთი რამ გა-
რეკლება. ვიღაც უგუნურს დაუწყებია და ასე
მიღის მთელი საუკუნეები. ჩვენს საცხოვრე-
ბელ სხელში საუკეთესო ოთახს სადარბაზოდ
ვრთავთ. ხელთ საძილო ოთახად, სადაც
მთელს ჩვენს სიცოცხლეს ვატარებთ თითქმის,
მიჩნეული გვაქვს უფლად საძილო ოთახი —
ნოტიო, უმწიკო, უსინათლო და იმდენად ზა-
ტარა, რამ შივ ვიხრჩობით. ჰო და, სამზა-
რეულოზე რაღა გვეთქმის, ერთი ციციქნა
ოთახში ჰლიტაც აქ არის და მზარეულსაც აქ
სძინავს, აქ იბერტუავს თავის ტანს და ტანი-
სამოსს, უველაფერი საჭმელში სცვივა. სცვივა
მამინაც, რაცა მზარეული ავად არის და აქვე
„კუნხაში“ წევს ვიდრე მარჩება. ზოგჯერ
ძაღლსაც აქ „კუნხაში“ სძინავს, აქ იბერტუავს
თავის ქურქს. „ზაღა“ კი კარკად იუოს მარ-
თული და „საღანას“ და „კუნხას“ სტუმრები
ხე არ ხედავენ და... აი ასე ფიქრობენ და
ფიქრობს უმრავლესობა.

ამ დროს ზიზლი გვიხსნის ხოლმე განსა-
ცდელისაგან.

5) **ტანისამოსი, საცხოვრებელი ბინა-
ოთახი, ნაგავი და ნასუფრალი.**

ტანისამოსი და მასთან ერთად საცვლე-
ბიც (პერანგი და მისი ამხანაგი) ყოველ-
თვის ბლომად შეიცავენ ბაქტერიებს, რო-
მელნიც ან გარედან ეღება ტანისამოსს,
ან ტანზე, კანზე მცხოვრები ბაქტერიები
ეღებიან პერანგს, საცვლებს. აგრეთვე
ხვდება ტანისამოს ბაქტერიები ცხვირისა
და პირისაგან გამონადენ ცინგლისა და
ნაფურთხისაგან, შარდისა და განავლისა-
გან და სხვ.

რა თქმა უნდა, რომ სხვა ბაქტერიათა
შორის აქაც ხვდებიან ჭირის ბაქტერიები,
რომელნიც არამ თუ არ ისპობიან, პირი-
ქით, ხოლერის ვიბრიონები, მაგალითად,
ნოტიო სარეცხში, საცვლებში მრავლდე-
ბიან კიდევ.

საცხოვრებელ ოთახში, მეტადრე იატა-
კის ქვეშ (პოლის ფიცრების ქვეშ) ბლო-
მად არიან ბაქტერიები, რომელთა შორის
ჭირის ბაქტერიებიც ურევია. როცა ია-
ტაკის ფიცრებს ვრეცხავთ, ფიცარსა და
ფიცარ შუა დარჩენილ ნაპრალიდან ჭუ-
ჭუიანი ნარეცი წყალი ბაქტერიასთან
ერთად ჩადის ქვევით. თუმცა კი ისიც
უნდა შევნიშნოთ, რომ იატაკის ქვეშ ბაქ-
ტერიები ვერ მრავლდებიან, მაგრამ კარ-
გად კი ინახებიან.—

ადამიანის ოჯახის ნასუფრალი და ნა-
გავი აუარებელ ბაქტერიებს შეიცავს,
ამათში უფრო უნდა ვიგულისხმოთ ჭირის
ბაქტერიებიც, რადგან ნაგავში და ნასუ-
ფრალში ხშირად ურევია ჭირის და სენის
ნაფურთხი თუ განავალი ადამიანისა და
შინაური ცხოველებისაც: კატისა, ძაღ-
ლისა და სხვ...

ჩვენდა საბედნიეროდ არ გამართლდა

წინანდელი შიში, ვითომ ნაგავი და ნასუფრალი კარგს ნიადაგს შეადგენს ქირის ბაქტერიებისთვისაო. თურმე ნუ ბრძანებთ აქაც საპროფიტები გვეხმარებიან, მტრობენ და ეცილებიან ქირის ბაქტერიებს. ამ ბრძოლასა და მეტოქობაში ყოველვის საპროფიტები იმარჯვებენ, სამინლად სჩაგრავენ ქირის ბაქტერიებს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“, მაინცა და მაინც დიდი იმედი არ უნდა დავამყაროთ საფროფიტებს, რადგანაც შეიძლება როგორმე პირობები შეიცვალოს და ხელი შეუწყოს ქირის ბაქტერიების გამრავლებას, სადაც უფრო ადვილად ხარობენ სახადის ჩხირები და ხოლერის ვიბრიონები.

6) ორგანიზმო ადამიანისა და ცხოველისა. ადამიანის ტანზე და მეტადრე იმ ადგილებზე. რომელნიც ახლილად ეხებიან, ხედებიან ჰაერს და გარემო საგნებს, ყოველთვის იპოვიან მრავალ გვარს და მრავალ რიცხოვან ბაქტერიებს — ტანზედ გვედებიან ჰაერიდან და ტანში გვამში ჩადიან საჭმელ სასმელის მიღების დროს.

ტანზედ მეტ წილად შეხედებით ბაქტერიებს ფრჩხილებ ქვეშ მოგროვილ ტალახსა და ქუქყში, აგრეთვე იმ ადგილებზე, სადაც გროვდება ტანის, კანის გამონაჟონი სითხე, მაგალ. ოფლი, სქესობრივი ლორწო და სხვა იმგვარნიც, რომელთა გახრწნა გამოწვეულია ხოლმე ბაქტერიების აღორძინების დროს. ხოლო ფრჩხილების ქვეშე მყოფ უწმინდურებაში *) ხშირად ხედება ქირის ბაქტერიები, რომ-

*) ჩვენში არ თავიადებენ შავკობიან ფრჩხილებს არამთუ მუშები, ინტელიგენტი პირნიც და მკონი რა იშვიათი არ არის მშვენიერ სქესთა შორისაც.

ლებსაც საჭმლის მიღების დროს ჩავგზავნით ხოლმე სტომაქში *).

ზოგიერთა ვეგეტატიური ჯიშის ბაქტერიები ჩვენს კუჭში ილუპებიან მარილმჟავაში, რომელსაც კუჭის ჯირკველი გამოჟონს და თუ ამ დროს რომელიმე გადაურჩა სიკვდილს, მაინც სულ ერთია გამრავლების უნარი კი აღარ შეუძლია. ამ გვარად ჩვენდა დაუკითხავად, თვით დიდებულ ბუნებას დიდი ხანია უზრუნია დაიფაროს განადგურებისაგან კაცთა ნათესავი. ამ საგანზე უფრო ვრცლად ვიბაასებთ შესაფერ ალაგას, გავიცნოთ რა ბევრგვარი და გონიერი საშუალებანი მიუნიჭებია ბუნებას ჩვენი სხეულისთვის ამ საშინელ მტრებთან საბრძოლველად. —

სულ სხვა ნიადაგს წარმოადგენენ წებები, მეტადრე სქელ ნაწლევში ზოგი ჯურა ბაქტერია მუდმივი მცხოვრებია — მრავლდებიან ფუთფუთობენ **).

პირის და ცხვირის ჰაერში (პირში, ნესტოებში) მრავლად არიან საპროფიტები და მათ შორის, შედარებით ხშირად შეხედვებით უწყებულ ქირის ბაქტერიებსაც, თუმცა-კი აქ ყოველთვის ვერ იჩენენ დიდ რამ უნარს.

ნორმალურ პირობებში ბაქტერიებს

*) ერთი მშვენიერი ჩვეულება გვქონდა მამა ჰამათაგან ნანდუქძევი, ყოველთვის საჭმლის მიღების წინ ქართველები საჯაროდ იბანდნენ ხელს და ახლაც კი „მოდათ“ ადარ არი, გვეთავადავებს რადგან ახლაც რუსობაა.

**) წებებში დიდ რაღეს თამაშობენ ეს ბაქტერიები — ხარშენ, ადულებენ საჭმელსა-სასმელს, ამითი გვშველიან მონელებში. ეს დიდი სიკეთე მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ ჩავაშხამონ, თუ რომ უზომოდ მომრავლდებიან და თავისაკე გამონადენ შხამით მოკვიწამლავენ სისხლს.

ძნელათ თუ შეხვდებით ტანის ქსელში და შიგნეულობაში, თუმცა იმავე დროს კი შეიძლება ტანზე ეხვიდნენ. შესაძლოა კანსაც შეატანონ ბაქტერიებმა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კანი (ტყავი) სადმე დაზიანებულია, გაჩნაპნილია ანუ დაწყულ-ლებული. მაინცა და მაინც დიდხანს ვერ

ბოვინობენ ადამიანის ხორცში, რადგან არ ახლავთ საამისო პირობები.

ამოსუნთქული ჰაერი ყოველთვის თავისუფალია ბაქტერიებისაგან, თუ რომ, რასაკვირველია თან, არ ამოაყოლა ლორწოიან ვარსიდან აღებული სითხე.

ილ. ალხაზიშვილი.

კ ა ს უ ხ ი

ბ-ნო ანანია! *)

არ ვიცი, ვინ ხართ, — მაგრამ მე მაინც ვაკმაყოფილებ თქვენს სურვილს.

ნათქვამია; მტერი იმდენს ვერას უზამს, რასაც კაცი თავის თავს უზამსო, და ეს სრული ჭეშმარიტებაა.

ადამიანის აგებულებაში ყოველ ასოს, ყოველ ნაწილს თვისი მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს; მაგრამ გულს მაინც განსაკუთრებული ალავი უკავია. სიცოცხლის საიდუმლოება გულის შეუჩერებელ და მწყობრ მოძრაობაშია ჩაქსოვილი; შეჩერდება თუ არა გული, ისპობა სამუდამოთ სიცოცხლედ.

აქედან აშკარაა, როგორ უნდა ვუფრთხილდებოდეთ გულს.

ნამდვილათ კი ადამიანი არავითარის საშუალებით არა ჰზოგავს გულს, ყოველ დღე სწამლავს მას და, როდესაც გული დასნეულებდა, ექიმთან გარბის: შენი ჭირიმე, მიშველე რამეო. და რაკი ექიმი ვერა შველის, უკმაყოფილოა.

*) ღია ბარათით უცნობი „ანანია“ მთხფადა ამგვარი შინაარსის წერილის დაწერას „განათლებაში“ და ჩემი წერილიც ჰასუხავ.

ი. გ.

მრავალი წლების განმავლობაში როგორც სასტიკი, შეუზრალეველი მტერი, ისე ექცეოდა თავის გულს და, როდესაც გული მოიშალა, მოძებუნდა, გაგანიერდა, ან ქონად იქცა, რაღა უნდა უქნას მას მკურნალობა, რაც უნდა ჯანაოზი იყოს ის.

იგივე უნდა ითქვას სასქესო ასოებზედაც.

სასქესო ასოების მნიშვნელობა მარტო გამრავლებით არ განისაზღვრება.

სასქესო ასოების უმთავრეს ნაწილს სასქესო ჯირკვლები შეადგენენ.

ადამიანის აგებულებაში ბევრი სხვა და სხვა ჯირკვალია.

დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ჩვენი ჯირკვლების ერთი უმთავრესი თვისება „შინაგანი სეკრეცია“ არის.

რაში მდგომარეობს ეს თვისება?

მიგითითებთ უბრალო მაგალითზედ.

დასაქურისებული კაცი ქოსაა, მას წვერულვაში აღარ ამოუდის. მაშასადამე წვერულვაშის ზრდა დამოკიდებული ყოფილა სასქესო ჯირკვლების მოქმედებაზედ.

ჩვენი სხეულის სხვა და სხვა ჯირკვლები ამზადებენ სხვა და სხვა სითხეს, წბოლს;

ეს სითხე გადადის ჩვენს სხეულში, მიუღის ჩვენი აგებულების ყოველ უჯრედს და თვალსაჩინოთ ჰმოქმედებს სხეულის საზრდოობაზედ, ზრდასა და განვითარებაზედ, სულიერ მხარეზედ და სხვა და სხვა.

როდესაც სასქესო ჯირკვლები დასნეულებულია, ადამიანის სულიერი ცხოვრებაც, სულიერი განწყობილება დასნეულებულია. ამიტომ ყოველი ახალგაზრდა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ამ ნაწილს თავისი სხეულისას.

სინამდვილე კი რას გვეუბნება?

დღევანდელი ახალგაზრდა სასქესო ასოებს სწორეთ მტერივით ეპყრობა.

ლოთობა და გარყვნილება—აი რას ეტანება დღეს ახალგაზრდა.

მე ძალიან კარგათ ვიცი, რომ სქესობრივი მოთხოვნილება ახალგაზრდაში მეტად ძლიერია; მაგრამ ისიც ვიცი, რომ ამ მოთხოვნილებასთან ბრძოლა და მისი ალაგმვა, დამორჩილება ხშირად შესაძლებელია.

დღევანდელი ახალგაზრდა კი ებრძვის ამ მოთხოვნილებას? არა. პირიქით ის ხელოვნურად აღიზიანებს მას.

ასეთს სისუსტეს და უხასიათობას რა მოსდევს შედეგად?

ანანიზმი და ყენერიული სნეულებანი, რომელთა ბრჭყალებშიც იმყოფება დღეს ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი.

ანანიზმის შესახებ უკვე მქონდა ნათქვამი ამ ჟურნალის ფურცლებიდან და კიდევ წაგიკითხავს, ბ-ნო ანანია! ახლა თქვენა მთხოვთ: მიმითითეთ ისეთ საშუალებაზედ, რომელიც ანანიზმისაგან დასუსტებულს ჯანღონეს უბრუნებდესო.

თუ თქვენ მხედველობაში გაქვთ წამალი, ასეთი წამალი არ არსებობს.

მართალია, გაზეთში ხშირად წაატყდე-

ბით სხვა და სხვა განცხადებას: ესა და ეს საშუალება სრულებით ჰკურნავს ანანიზმის შედეგებისაგანო, მაგრამ ყველა ამ განცხადებების მიზანი გულუბრყვილო მკითხველების მოტყუება და გაცარცვაა.

ფრიად სამწუხაროა, რომ ამგვარი განცხადებები იბეჭდება ხშირად ისეთს გაზეთებშიც კი, რომლებსაც თვისი მიმართულებით თავი მოსწონთ: ხალხს ვემსახურებით, ხალხის ინტერესებს ვიცავთო.

ანანიზმს შედეგად მოსდევს სხეულის დასუსტება და სასქესო ასოების დაუძლეობა, მოდუნება.

მაშასადამე უნდა მიმართოთ ყველა იმ საშუალებას, რომლებსაც შეუძლია სხეულის გამაგრება.

უპირველესად ყოველისა საჭიროა, თავი დაანებოთ სრულებით ამ მავნებელ ჩვეულებას, სრულებით დაასვენოთ სასქესო ასოები და ერიდოთ ყოველივეს, რაც სასქესო ასოებს აღიზიანებს, ან სქესობრივ გრძობაზე ჰმოქმედებს.

ლოგინში ნებივრობას და ყოველგვარ მაგარ სასმელებს სრულებით უნდა დაანებოთ თავი. არ უნდა იკითხოთ ისეთი წიგნები, სადაც სიყვარულს, სქესს განსაკუთრებული ალაგი უკავია.

ყოველისავე ამის შემდეგ უპირველესი მნიშვნელობა აქვს საზრდოს, მზეს, ჰაერს და წყალს.

საზრდო უნდა იყოს, რაც შეიძლება, ნოყიერი და ადვილად მოსანელებელი.

საუკეთესოა: კვერცხი, რძე, მაწონი, თევზი, ფრინველი და ხილი.

წყალში ბანაობა—მდინარე იქნება თუ ზღვა—აუცილებლად საჭიროა. საკმარისია ბანაობა დღეში ორჯერ—დილით და საღამოთი. წყალში არ უნდა დაიღალოთ ცურვით და არც ნამეტან დიდხანს უნდა

გაჩერდეთ შიგ; ათი-თხუთმეტი წამი სრულებით საკმარისია.

ცივ წყალში ბანაობის შემდეგ საჭიროა მოძრაობა.

ზაფხულობით თხუთმეტი-ოცი წამი სრულებით შიშველი უნდა გასწვეთ ხოლომე მზეზე, — მზის სხივები სხეულის გამაგრებას შესამჩნევად უწყობს ხელს.

თქვენ თუ ყოველივე ეს შეასრულეთ ორი-სამი თვის განმავლობაში და თვალსაჩინო წაყოფი ვერ მიიღეთ, აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოიტანოთ, ვითომ აქ ჩამოთვლილი საშუალებანი უვარგისნი იყვნენ: თუ ახალგაზრდა თავის სხეულს მტრულად ექცეოდა და აუძლოდებდა რამოდენიმე წლის განმავლობაში, რამოდენ-

იმე წელიწადი უნდა ეფეროს და მეგობრულად მოექცეს მას, რომ ძველებური ძაღლივით დაუბრუნოს. სიჩქარითა და სულწასულობით ამგვარ შემთხვევაში მიზანს ვერ მიაღწევთ. მოთმინებით, ხასიათის სიმტკიცით და თანდათანობით კი დიდ შედეგს მიიღებთ.

უმთავრესი იმედი უნდა დაამყაროთ აქ ჩამოთვლილ ფიზიკურ საშუალებებზე.

რაც შეეხება წაძალს, შეგიძლიათ იხმაროთ თევზის ქონი (სიცხეში არ ვარგა) დღეში რამდენჯერმე დიდი კოვზით, კლინის დარიშხანა (კაკოდილატი) კან ქვეშ, რობენის გლიცერო-ფოსფატი და კაკაო — პრომეთეოსი.

ივ. გომართელი.

სუსტ-ნერვებისანი ბავშვები და მათი აღზრდა

(წერილი მეოთხე).

ბავშვთა ნერვიული სნეულებანი მათი სხვადასხვაობა.

მრავალი სნეულება თან სდევს ბავშვს... ბევრი მათგანის მიზეზები მშობლებმა არ იციან, მით უმეტეს, რომ მათ არა ესმით რა არც სამკურნალო მეცნიერების არც და ჰიგიენისა... ქართულს ენაზე ხომ სულ არ მოიხილება ჰანუ-ლარულად, სახალხოდ დაწერილი საექიმო და საჰიგიენო წიგნაკები, რომელთა დაწერისათვის ჩვენს მეურნეებს, აღბად არ სცალიათ... მრავალ ავადმყოფობათა მიზეზები ნერვების სისუსტეზეა აღმოცენებული. ნერვების გავლენა გამოიხატება აღმართის გონების, გრძობის და ნების მოქმედებაში, სულიერი ბუნების ამ სამს სფეროში, მაგრამ ისე კი, რომ ნერვების სისუსტე ან ამ სამს სფეროს ერთნაირად დაატყდება თავს და ან ერთს მათგანს მაინც გარდაშეტყუდა... ნერვიულ სნეულებ-

ბათა ნიშნები სხვა და სხვა ხასიათისანი არიან. ამ ხასიათის გასაკუბად საჭიროდ მიგვაჩნია ბავშვების ნერვიული სნეულებანი გავყოთ ოთხს ჯგუფად, სწორედ ისე, როგორც ამას სხადის ექიმი კ. ზაფონე თავის წიგნში *)

პირველი ჯგუფი. გონებითი ნაკლებუნებანი, სულიერი აღშლილობა (ფსიხოპათიები).

ათს წლამდის ბავშვს იშვიათად დაეძრება სულიერი ავადმყოფობა... შესაძლებელია მეცნიერთა აზრით ათს წლამდის ბავშვებს დასჩემდეთ საბავშვო ისტერია (ნერვების ერთნაირი სისუსტე), მაგრამ ამ შემთხვევაშიც

*) „Гигиена нервныхъ страданій у дѣтей, пер. съ итальянскаго д-ра Лейнберга“ Одесса 1893 г.

ბავშვების ისტერია არაა ისეთი ვრცელის და გამოკრევეულის თვისებისა, როგორც არის მოზრდილთა ისტერია.

ბავშვებს ემართებათ: ა) მანია. მისი ნიშნებია: გამუდმებული ზნეობრივი გაღიზიანება, რომელსაც თან ახლავს ხშირად მეტის-მეტო ხუშტურთანობა, გაჯავრება, სიბრაზე და ჩქარი ცვლა აზრთა და გრძნობათა; დიდი სიჩქარე ჩვეულებრივს მოქმედებასა და სიტუებში; გადასხვაფერებული მიდრეკილებანი, შეუფერებელი სურვილნი, მჭისე და უზრდელი ჰასუსი მშობელთა დარიგებასა და საყვედურზე; ადგილების ჟამს ემჩნევა მძვინვარება და დროებითი ბოღვა; უძილობა, სახის ურცხვი გამომეტყველება; სხეულის საზრდლობის ნაკლებობა. გრძელდება რამდენსამე თვეს, რის შემდეგ ბავშვი ან რჩება, და ან მას ემართება ჭკუის სისუსტე.

ბ) ჭკუის სისუსტე (Dementia acuta). ნიშნები: სულიერ მოქმედებათა შესამჩნევად დასუსტება, შეგნების დაბნელება, იდეური ცხოვრების ნელი მსვლელობა ანუ სრული შეჩერება, უხალისობა, სხეულის დასუსტება, სახის უმოდრაფო და უგულისხმო გამომეტყველება, შარდზე და განავალზე. უნებური კასვლა, ტვივილის და შეხების შთაბეჭდილებათა უგრძობელობა... თან მოსდევს მძიმე ცხელებას და ცივებას ანუ ნახშირმყავის მიერ მოწამვლას. თავდება მოკრჩინით...

გ) სევდიანობა შავ-ნალვლიანობა (იმოხონდრია) დაჟინებითი და განუშორებელი აზრი მოსალოდნელი ავადმყოფობის შესახებ, მძიმე მოუსვენრობა, ჩაფიქრებულობა, რომელსაც თან სდევს ხშირი მზიარულება; სულიერი მგრძობელობა გარეშე უბედურებათადმი; ტანჯვათა დათმენის შეუძლებლობა, კუჭ-ნაწლევების მოშლა; უმადობა; სისხლ-ნაკლებობა და სხეულის დასუსტება... აქვს ხან-გამოშვებითი მიმდინარეობა.

არაინ კიდევ სხვა სულიერი ნაკლებეფანე-

ბანი, მაგრამ მათ შესახებ საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან ისინი არც ხშირნი არიან ბავშვთა ცხოვრებაში... მაგრამ მათში ძლიერ ხშირია სირევენე, სიყუყუჩე (ИДИОТИЗМЪ).

სირევენე არის ადგილობრივი (ენდემიური) თანშობილი და შექნილი.

ადგილობრივი სირევენე შეკავშირებულია განსაკუთრებულ ადგილებთან და წარმოსდგება ჭკურის და ნიადაგის ზედგავლენით. ადგილობრივი სირევენე იცის, მაგალითად, ტროლში და ჩვენს სამშობლოში კი სვანეთსა და სხვა ადგილებში, უფრო კი იქ, სადაც ჭაბობია... სხვანაირად რეგენებს ეძახიან კრეტინებს. ასეთი კრეტინები ბლომად გვხვდებიან შვეიცარიის ალპების კელებზე. მათ სუსტი ჭკუა აქვსთ, ფეხები მიგრებილ-მოგრებილი, წელი მოხრილი, ყიფვიანები არიან და სხვა...

თანდაყოლილი სირევენე ბავშვებს უჩნდებათ დედის საშობივე. ამის მიზეზია — მემკვიდრეობითი ნაკლებეფანებანი მშობელთა და ნერვიული წყობის განვითარების შეჩერება და მისი ნაკლნი.

შედენილი სირევენე დაემართება ბავშვს ტვინის და მისი აფსკების ზოგიერთ სნეულებათა შემდეგ (ენცეფალიტი — ტვინის ანთება და მენინგიტი). აღწერილს სამს შემთხვევაში ჩვენ ვხვდავთ ტვინის საგრძობს ნაკლებეფანობას, რომელიც დამოკიდებულია თავის შენებულობის და მასში მოქცეული ტვინის არა ნორმალურს განვითარებაზე... ხშირად რეგენთ აქვსთ მეტად ჰატარა თავი და, რასაკვირველია, ამის მიხედვით ცოტა ტვინიც (მიკროცეფალია) და ამასთანავე მდაბალი და პრტეელი შუბლი, ზოგიერთს რეგენს კი აქვს მეტად დიდი თავი, ოთხკუთხედი, მსხვილძვლიანი. შესაძლოა, რომ ნერვიული ნივთიერების ადგილი ტვინში წყალმაც დაიჭიროს, და ბავშვს ჭქანდეს გაწაფებული ტვინი...

სირევენე შეიძლება არ იყოს საფსებითი გა-

მონატრული. ამ შემთხვევაში ვხედავთ გონების უმთავრეს ნიჭთა უბრალო დასუსტებას: მესსიერებისას, შეგნებულებისას და სხვა...

თუ სირეგენე საფსებითაა გამოხატული, მაშინ ბავშვს აქვს საცოდავი, იწრო სოფლმხედველობა, სუსტი მესსიერება, შეზღუდული იდეები... არ შეუძლია კარგად იაროს, გვიან სწავლავს სირბილს, არ ძალუძს კარგად ლაპარაკი, ის ტეიპინებს, ბურტყუნებს... მასში გაძლიერებულია ეგოისტური შიდარეკლემანი, პარუტუფული ადგილები, უსუფთაობის სიყვარული; ამას ზედ დაერთვის მისი სხეულის წრდის შეჩერება და დამახასიათებელი ჩლუნგი გამომეტყველება მისი სახისა...

მაგრამ არის კიდევ ერთი ხარისხი სირეგენისა, როდესაც რეგენი სდგას პირუტყვზე დაბლა. როდესაც ის ძუძუს სწოვს, ვერ უწევს დედის ანუ ძიძის ცნობას; იმისთვის სულ ერთია უოკედივე ალერსი და გართობა... ის არა ცოცხალი, მძინარა და ბუვრიც სძინავს... მან არ იცის არც ტირილი, არც ტიკტიკი... მისი უვარილი მისი ტირილი—დრუტუნს ჰგავს... თან სდევს აგრეთვე სიურუვე და გრძობათა სხვა ორგანოების ნაკლები განვითარება. ის გვიან სწავლობს სიარულს და ხან და ხან სულაც ვერ სწავლობს... სირეგენეში ჩვენ ვხედავთ ადამიანის სახის გადაშენების მაგალითს. კიდევ კარგი, რომ მრავალი რეგენი კვდება სიბავშვეშივე სხვა და სხვა შემთხვევითის სხეულების გამო... ექიმის ჰავონეს აზრით, რეგენთა განჩების მიზეზი უმეტეს შემთხვევაში არის არი რამ: ერთი—სპირტიან სასმელების ჰარბად ხმარება მშობელთა მიერ, ხოლო მეორე—ათამანი... ამ უკანასკნელი სხეულების შხამი გადაეცემა მშობელთაგან ახლად ჩასახულს დედის საშოში მომავალს ადამიანს;

ის ან ჰგავს მას საშოშივე ან დაბადების შემდეგ მალე; ისიც მოხდება, რომ თუ ასეთი ბავშვი გადაჩნა, მას გამოაჩნდება მშობელთა ცოდვა სხეულის სხვა და სხვა ნაწილში ამათუ იმ სახით... უველახე საშოშია ის, რომ ათამანგის შხამი ანადგურებს ნერვების წყობას და განსაკუთრებით დამლუხავია თავის ტვინისთვის... ესრედ წოდებული მენინგიტი (ერთგვარი ტვინის ანთება) მუსსს ავლებს ბავშვებს, და სწორედ ეს მენინგიტი უფრო იმ ბავშვებს ემართებათ, რომელთა სხეული დამძიმებულია მშობელთა ათამანგის შხამით...

სპირტიან სასმელების ჰარბი ხმარება— შავი ჭირია კაცობრიობისთვის. ის მიზეზია მრავალთა უბედურებათა. სპირტიანი სასმელების შხამი სწამლავს ლოთების სხეულს და შოქმედებს მათს ჩამომავლობაზე. განსაკუთრებით ეს შხამი წარმოშობს შვილების ნერვიულს სხეულებებს: სირეგენეს, ბნედას და სხვა... ნუ თუ ამის შემდეგ დიდი ცოდვით არ არიან დატვირთულნი ის მშობლები, რომელნიც თითქმის განძრახ უთხრიან სამარესთვის მომავალს შვილებს, რომელნიც საზოგადოებისთვისაც მეტი ბარგი შეიქნებიან, უკეთუ იცოცხლებენ?!.. ნუ თუ ჩვენ, ვისაც რამე გვიწავლია, მოვალენი არა ვართ ხალხში გავავრცელოთ ჭეშმარიტი ცოდნა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და ხალხს თვალი აუხილოთ იმ მოვლენათა გამო, რომელნიც ესდენ მისი რალებელნი და გამათხსირებელნი არიან ახლათაობისა... გული გიკვდება, რომ შენს კარს შემოხედავ ანბანური ჭეშმარიტებათა უცოდინრობას!. ჩვენს ერის გადაშენების მიზეზებს სხვაგან ვეძებთ და ჭეშმარიტი მიზეზები კი ვერ ვერ გავგითვალისწინებთ!

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

ბუნების-მეტეოლოგიის მნიშვნელობა

ბავშვთა აღზრდის სისტემაში

უკანასკნელ ხანამდის ბავშვის ფსიხიკის განვითარებას მის სიცოცხლის პირველ თვეებიდანვე არ აძლევდნენ არავითარ სერიოზულ მნიშვნელობას, რადგანაც მომეტებულ შემთხვევაში ფიქრობდნენ, რომ ამ ხანში ბავშვი არის რაღაცა სულიერი ქმნილება, რომელსაც ჭამის მეტი არა უნდა რაო. ეხლა კი დავრწმუნდით და ვიცით, რომ ბავშვი დაბადების პირველ დღიდანვე თხოულობს არა მარტო სმა-ჭამას, არამედ აღზრდასაც. (პრ. ბებტერვეის აზრით).

პირველ დღიდანვე ბავშვო ეცნობა ყოველსავე საგანს, რასაც კი ხედავს, ეცნობა ფაქტს.

„მეტადრე მხედველობითი შთაბეჭდილებებს, რომელნიც ჭამას შეეხებიან, ბავშვი ყველაზედ ადრე ეცნობა და ითვისებს. წამოშვერილის ტუჩებით, გაბრწყინებულის თვალებით იგი ხარბად აღევნებს საჭმლის მომზადებას“.

„საგნების სიმძიმის გაცნობის სურვილი ჩემ ბავშვს მე-43 კვირაზედ შევატყე. ამ დროს საგნის ძირს ჩამოვარდნამ დიდი განცვიფრება გამოიწვია მასში“.

„მე-47 კვირაზედ ბავშვი აგდებს ძირს ძალად რომელსამე საგანს და თვალს აღევნებს იმის ჩამოვარდნას. ერთხელ 8 ჯელ ზედი-ზედ დააგდო იატაკზედ წიგნი და გასაოცარის ცნობის მოყვარეობით აღევნებდა თვალს მის ყოველსავე ჩამოვარდნას“.

მე-11 თვეზედ შემდეგი ცდა მოახდინა: კოვზი დაარტყა თეფშს, უცაბედად მეო-

რე ხელით შეეხო თეფშს და დაახშო ხმა. ამ გარემოებამ იგი ძალიან განაცვიფრა. ეხლა მეორე ხელში დაიჭირა კოვზი, და-არტყა ისევ თეფშს და ისევ დაახშო ხმა. საღამოთი ეს ცდა ისევ გაიმეორა დიდის აღტაცებით“.

ღიად, ბავშვი ხშირად აკეთებს ცდებს, იკვლევს სრულიად უმნიშვნელო ფაქტსაც კი. ყველამ ვიცით, რა განცვიფრებაში მოდის ბავშვი, ყოველივე ახალის მოვლენის დანახვაზედ; განცვიფრების პირველ მომენტის შემდეგ იგი დაჟინებით იკვლევს ახალს მოვლენას და სცდილობს გაიგოს იგი. ყოველსავე ახალ ფაქტს იგი იქამდინ იკვლევს, ვიდრე მისთვის „ჩვეულებრივად“ არ შეიქმნება, ე. ი. ვიდრე მის გაგების სისტემაში არ შევა. აი რათ იკვლევს ბავშვი ისე დაჟინებით ერთსა და იმავე ფაქტს. ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ იმ მუშაობას, რომელიც ამ ჟამათ ხდება ბავშვის მთელ ორგანიზმში. გაცნობა სულ უბრალო, მაგრამ ბავშვისთვის ახალის მოვლენისა, არამც თუ უვითარებს გრძნობის ორგანოებს, არამედ აჩვევს ფაქტების შეგნებას. ყოველივე ახალი ფაქტის გაცნობა უვითარებს ბავშვს აზროვნებას. ბავშვი აწესრიგებს და აერთებს მოვლენებს, პოულობს მათ შორის კავშირს, მაშასადამე ლოლიკურად აზროვნობს. აი აქ იყრება მკვიდრი საძირკველი ლოლიკურ აზროვნობისა. ამ დროს ბავშვი იღვიძებს დაჟინებითი მოთხოვნილება ყველა მოვლენის გაგებისა. ამბობენ, რომ ამ ხანში ბავშვს აინტერესებს მხოლოდ ის,

რასაც იგი პირის-პირ ხედება ცხოვრებაში. მე კი ვიტყვოდი, კი არ აინტერესებს, არამედ არ შეუძლიან იცხოვროს, თუ მათთან კავშირი არ ექნება. როგორ ეწაფება ბავშვი ყველა ახალს, რამდენ კითხვებს დაგვაყრის ხოლმე ჩვენ ბავშვი 5—6 წლისა. ამისთანა დაქინებითი მოთხოვნილება ყველა ახალ მოვლენის გამოკვლევისა დიდი ხანი არა გრძელდება. 9—10 წლის ბავშვი ყველა იმას, რაც წინა დროს ცხოველ ინტერესს იწვევდა, ეხლა დამშვიდებული უცქერის. ეს ცხადია. 4—5 წლამდინ ბავშვმა გამოიკვლია და შეიგნო ის მოვლენა, რაც მას გარს ეხვია. ეხლა კი მის ყურადღებას იპყრობენ იმისთანა ფაქტები, რომლებსაც მართო თვითონ, უფროსების დაუხმარებლად, ვერ გამოიკვლევს და ვერ შეიგნებს. აბა შეხედეთ, როგორ ეფოთინება ბავშვი საათს. ეს მისთვის რაღაც გამოურკვეველია და მის ცოცხალ გონებას ვერ მოუხარშავს.

დაუმატეთ ახლა ის მოსამართი სათამაშოები და მოლაპარაკე ტიკინები, რომლებსაც ბავშვს აძლევენ და მაშინ ცხადია დაინახავთ, რამდენ კითხვებს გამოიწვევენ ისინი ბავშვში, რომლებზედაც თვით ფაქტიც ვერ მისცემს პასუხს.

მრავალის კითხვით მოდის ჩვენთან, უფროსებთან ბავშვი. ჩვენ კი რა პასუხს ვაძლევთ? „გაიზრდები და გაიგებო“. ან უფრო უკეთესი: „იქ, პაწიავე, ერთგვარი ზამბარაკია, რომელიც ატრიალებს გორგოლაჭებს“. ეს ბავშვისთვის პასუხი არ არის. თუ იგი მოგვმართავს ჩვენ კითხვით, მაშასადამე იმედოვნებს, რომ ჩვენგან მიიღებს დამაკმაყოფილებელს, ნათელ პასუხს, როგორც ნათელია თვით ფაქტი; ბავშვი მოითხოვს ჩვენგან ფაქტიურ პასუხს, რადგანაც ამ დროს იგი მართო ფაქტებით აზროვნობს; ჩვენ კი ან სრულ-

ლიად არ უპასუხებთ - მას, ან ვაძლევთ პასუხს სიმბოლოს სახით, რომელიც ვერ ერთდება ბავშვის გონებაში გამოორკვეულ განსაზღვრულ ფაქტთან. ბავშვი მიდის ჩვენგან დაუკმაყოფილებელი და სკდილობს თვითონვე იპოვოს პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც მას აწუხებენ და მოსვენებას არ აძლევენ.

იგი სრულიად ლოლიკურად ამტკრევს ავტომობილს ან მოლაპარაკე ტიკინს და სკდილობს შიგნით იპოვნოს ის, რაც იწვევს სათამაშოში მოძრაობას და ხმაურობას. რასაკვირველია, პატარა-პატარა აზარმაცებიც გორგოლაჭები მას ვერაფერს აუხსნიან. მიუხედავად აკრძალვისა, მიუხედავად მოსალოდნელ დასჯისა, ბავშვები მაინც ამტკრევენ სათამაშოებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩაიხედონ შიგნით და გაიგონ რა ხდება იქ. ყველა ბავშვი ნორმალურად განვითარებული ყველაფრის გაგების მისწრაფებით დაამტკრევს სათამაშოებს. აღნიშნული მომენტი ბავშვის ცხოვრებაში ფრიალ საგულისხმოა: ბავშვი დღითი-დღე ახალ-ახალ მოვლენებს ხედება, უფროსებში ვერა ხედავს საჭირო შევლას და ცხადია, რომ იგი ჰკარგავს ინტერესს ახალ ფაქტების გაგებისადმი. რისთვის გამოიკვლიოს, თუ ეს გამოკვლევანი იწვევენ მასში უსიამოვნო გრძობას და უკმაყოფილებას. ამასთან ერთად ფერხდება გრძობათა ორგანოების განვითარება და დაკვირვება და ის ლოლიკური მსჯელობა, რომელიც საჭიროა ბავშვის საერთო განვითარებისთვის. თუ ამასთანავე გარემო ცხოვრება ღარიბია ბავშვის გონებისათვის მიუწოდომელ კონკრეტულ ფაქტებით, და თუ ბავშვს, როგორც ეს ხშირად ხდება იცავენ და აშორებენ ამისთანა ფაქტებს, მაშინ ცხადია, განუვითარებელი ბავშვი გამოვა. რასაკვირველია,

ამისთანა ბავშვი წაკითხულს ძნელად გაიგებს, რადგანაც გაგებისათვის საჭიროა წარმოდგენა წაკითხულისა, ამ უკანასკნელისთვის კი თავის მხრივ საჭიროა კონკრეტული ფაქტები, ნაკვეთები, რომლებიც შეადგენენ საღ ოცნების საძირკველს. აგრეთვე ამოცანებსაც ვერ მოერევა ამისთანა ბავშვი: ამოცანების გაკეთებისათვის საჭიროა აზროვნება, ე. ი. ლოდიკური მსჯელობა, ფიქრი; ეს კი ბავშვს ვერ განუფიქრებია. ცხადია, ამ შემთხვევაში ბავშვი უფროსების დახმარებას საჭიროებს.

მშობლები და მასწავლებლები მოვალენი არიან თვალი ადევნონ იმას, რაც ბავშვს აინტერესებს, რაც მის ფიქრს, გონებას სტანჯავს, აწუხებს. სრულ ჭეშმარიტებას ამბობს გამოჩენილი პედაგოგი ლაი: „საბრალოა, როცა ბავშვებს, ამ პატარა გულ-მოდგინე გამომკვლევლებს ჰყავთ იმისთანა ძიებები და დედები, რომლებიც ბავშვის კითხვებს სთელიან თავიანთ მყუდროების დამარღვევლად და ვერ აძლევენ სერიოზულ პასუხს“.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის აზრი მარტივი და ელემენტალურია; იგი თავის კითხვებით თხოულობს არა ღრმა, თეორიულ ახსნას, არამედ იმისთანა ფაქტებს, რომლების შეფარდებაც გასაგებად ხდის მოვლენას. როდესაც საჭიროა ბავშვის აზროვნების განვითარება, მაშინ მას ამაზადებენ სკოლისათვის. რადგანაც ჩვენი საშუალო სკოლები ახალ შემსვლელთაგან თხოულობენ რამდენსამე ცნობას საღეთოსჯულში, ანგარიშში და სამშობლო ენაში, ამიტომაც ბავშვს შინ ასწავლიან კითხვას, წერას, ანგარიშს და წაკითხულის დახსომებას.

ბავშვისთვის ფაქტის გარედ, საგნის გარედ სწავლა არ არის; ბავშვისთვის არ არსებობს 2+3; არის მხოლოდ: 2 კა-

კალს+3 კაკალი, 2 ვაშლს+3 ვაშლი და სხვა. ეს არის ბუნებრივი, ნორმალური გზა გარემო ცხოვრების გაცნობისა. თვით ბავშვიც ამ გზას ადგია უფროსების ჩარევამდინ მის სწავლაში. ბავშვი ჯერ იღებს საგნურ წარმოდგენას პირად, კონკრეტულ ფაქტზედ, მერე კი აერთებს მას სიტყვასთან ე. ი. ამ საგნის სიმბოლოსთან. ჩვენ კი სულ უკუღმართად ვასწავლით: ჩვენ ბავშვს ვაძლევთ ჯერ სიტყვას ე. ი. სიმბოლოს, მერე კი ბავშვის კითხვაზედ, თუ ეს რასა ნიშნავს, ჩვენ სიტყვით უხსნით მას, ე. ი. არა ვქმნით საგნურ წარმოდგენას. პირიქით, ჩვენ ძალას ვატანთ ბავშვს ჩვენი სიტყვების მიხედვით წარმოდგინოს საგანი და შეუერთოს სიტყვას (სახელს), ამ ოცნებით წარმოდგენას.

ცხადია, აქ ლაპარაკიც არ შეიძლება დაკვირვების, აზროვნების განვითარებაზედ.

აქ შეიძლება გვიპასუხონ, რომ ანგარიშს მიზნათ აქვს აზროვნების განვითარება. შემცდარი აზრია. ჩვენ ვიცით, რომ კარგი მოწაფეები ამოცანის გაკეთების დროს თავდაპირველად განსაზღვრავენ ხოლმე რომელ ტიპს ეკუთვნის გასაკეთებლად მიცემული ამოცანა და იგონებენ, როგორ კეთდებიან ამ ტიპის ამოცანები.

უკანასკნელ დროს ზოგიერთი მშობლები, რომლებსაც ესმით კონკრეტულ ფაქტის მნიშვნელობა ბავშვის განვითარებაში, სცდილობენ მიაქციონ ყურადღება ამ მხარეს; უკითხავენ ბავშვებს იმისთანა წიგნებს, რომლებშიაც აღწერილია მოვლენანი კონკრეტულ ცხოვრებისა და შესაფერ საუბარსაც სწევენ ბავშვებთან. ამ გვარ მეთოდის შედეგი ფრიად სამწუხაროა. აბა დააკვირდით ამნაირად აღზრ-

დილს ბავშვებს. მათ არ შეუძლიანთ გადმოგვცენ ის ცდა, რომელიც ნახეს, თუ ამ ცდის აღწერილობას არ მივცემთ. შეიყვანეთ ესეთი ბავშვი საბუნების-მეტყველო კლასში, დაუახლოვეთ იგი ფაქტს და მაშინ აშკარად გამოჩნდება სრული სიმახინჯე შინაურ აღზრდისა და სწავლისა. სკოლა მოვალეა შეავსოს და შეასწოროს ყველა ზემო აღნიშნული ნაკლულე-ვანებანი შინაურ აღზრდისა.

ყველა საგნებიდან მხოლოდ ბუნების-მეტყველებას აქვს საქმე ფაქტთან. ბუნების-მეტყველების მიზანი არის ცხოვრების კონკრეტულ ფაქტების შესწავლა. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენ საშუალო სკოლის პროგრამას, დავინახავთ რა უმნიშვნელოა, პატარა ადგილი აქვს დათმობილი ბუნების-მეტყველებას სხვა საგნებთან შედარებით.

რასაკვირველია, თუ ბუნების-მეტყველებას ისე შევხვდებით, როგორც იმისთანა საგანს, რომელიც აცნობს ბავშვებს, რომ პეპელა ჭიისაგან ჩნდება, რომ თევზი ლაყუჩებით სუნთქავს და სხვა, მაშინ განსაზღვრული საათები ამ საგნისათვის საკმარისია. მაშინ ზომ თავისს თავად იბადება კითხვა, მაშ რომელმა საგანმა უნდა განუვითაროს ბავშვებს დაკვირვება და ცოდნა ფაქტების ნამდვილი დაფასებისა?

ყველა ეს გვადიდლებს უცქიროთ ბუნების-მეტყველებას როგორც ერთს უმთავრეს საგანთაგანს სწავლისას და აღზრდისას.

ჩვენ სკოლებში (მცირედი გამოწაკლი-სით) ბუნების-მეტყველება აძლევს მოზარდთაობას მხოლოდ ცნობებს, აზროვნების განვითარება კი არსებულ პირობებში მას არ ძალუძს.

მაშ როგორ უნდა დავაყენოთ ბუნების-მეტყველება სკოლებში, რომ იმან ალასრულოს თავისი დანიშნულება? პასუხიც ნათელია, ვით დღე. მოსწავლეებს საქმე უნდა ჰქონდეთ ფაქტთან და არა სიმბოლოსთან სიტყვების და სურათების სახით, ე. ი. ყველა ფაქტები, მათ შორის ურთიერთ დამოკიდებულება ბავშვებს მარტო კი არ უნდა უჩვენოთ, არამედ ხელში უნდა გადავცეთ მათ.

ეს შესაძლებელია მხოლოდ ექსკურსიების და ყველასთვის სავალდებულო პრაქტიკულის მუშაობის დახმარებით.

საკიროა სრული გარდაქმნა სამოსწავლო გეგმისა, საჭიროა სრული განახლება ბუნების-მეტყველების პროგრამისა ყველა იმ სკოლებში, რომლებსაც მიზნათ საერთო განათლება დაუსახავთ. ყველა სკოლების ყველა კლასებში ბუნების-მეტყველება მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყოს მათემატიკურ და ჰუმანიტარულ საგნებთან. როგორც შეუძლებელია მათემატიკა ამოცანების გაუკეთებლად, ისე შეუძლებელია ბუნების-მეტყველება ყველასთვის არა სავალდებულო პრაქტიკულ მუშაობით. (რუსულიდან, შემოკლებით).

კატო ბაქ— ძე.



თავ. კრიგოლ ორბელიანი

და

რომანტიული მიმართულება ქართულს ჰოეზიაში.

(გუძღვნი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. კ. ნ. აფხაზს)

(გაგრძელება)

სრც ერთი სალიტერატურო მიმართულება არ უოფილა ისეთი ღრმა შინაარსიანი და არც ერთი მათგანი ისე სავსებით არ შეხებია ადამიანს და ცხოვრებას, როგორც რომანტიზმი... ეს იმის გამო მობდა, რომ რომანტიზმი წარმოადგენდა კარგად შემუშავებულს სოფლმხედველობას... განმასხვავებელი თვისებანი რომანტიულ სოფლმხედველობისა შემდეგნი არიან...

ა. უკიდურესი სუბიექტივობა, ანუ შინაგან მსოფლიოს მადლა დააყენება, პირად გრძობათა უადრესი დაფასება... პირფრება, მისი შინაგანი მსოფლიო, მისი ფანტაზია და ჟინიანობა — უოველივე ეს რომანტიკოსთა მიერ სათაუფანო კულტად იქმნა აღსარებული... თვისს შინაგანს მსოფლიოს რომანტიკოსი გარემორტემულს ქვეყანაზე მადლა აყენებდა... სინამდვილე მაგრე რიგად არ აინტერესებდა. თვისს პირადს წარმოდგენას და შთაბეჭდილებას მეტად აფასებდა, ვიდრე ხამდვილს ცხოვრებას... გულგატეხილობამ სოციალური უსწორმასწორობის მიერ წარმომობილმა და უნდობლობამ ადამიანისადმი იჭამდის მიიუვანა საქმე, რომ რომანტიკოსმა მოიკლა თვისს შორის საზოგადოებრივი აღდოები და მიეცა თავისს შინაგან მსოფლიოს, ჩაიკეტა თვისის ფანტაზიის სამოფლობელოში. რომანტიკოსებს ჰქონდათ სინამდვილის შესახებ უფრო ჰოეტური წარმოდგენა, გარემორტემულს ქვეყანას თვისი „მე“-ს თვალსაზრისით უცქეროდნენ და სწამდათ მხოლოდ თავისი „მე“... ამის მეოხებით შეიცვალა აზრი ჰოეტის შე-

სახებაც. ჰოეტი ნასწავლი პირი კი არაა, როგორც ცრუ კლასიკოსნი ამბობდნენ, ის არის „თავისუფალი ჰოეზია, ბუნების ნაჭია, ზეგარდმო მადლით ცხებაა. ის სადმერთო პირია, ღვთის მიერ აღრჩეული, ხაღხის წინამძღვარი, მისი უვავილი, მისი საუკეთესო წარმომადგენელი... ილია ჭავჭავაძეც ხომ რამდენადმე ამისთანა შეხედულების იყო ჰოეტის შესახებ:

„მე ცა მნიშნავს...

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,

რომ წარუძღვე წინა ერსა...

დიდის ღმერთის საკურთხევის

მისთვის ღვივის ცეცხლი გულში...

ჩვენ გამოუშვით ამ ლექსილამ ის ადგილე-ბი, რომელნიც მოწმობენ, რომ იღ. ჭავჭავაძემ დაუკავშირა ჰოეტის დანიშნულება სინამდვილის სამსახურს... მისი ჰოეტი უფრო რომანტიული-რეალურია... ის ამიტომ ამბობს, რომ მას სურს ხაღხის წყლული მიიჩნდეს თავისად და მის ტანჯვით ეწვოდეს გული. რომანტიული სკოლის მისწრაფება იყო დაემუარებინა ცხოვრების და ჰოეზიის ერთობა, შეეტანა რეალურს ცხოვრებაში უმადლესი იდეალი და ისე წარემართა აღზრდა და განათლება, რომ ცხოვრება და ხელოვნება გაერთებულიყო სარწმუნოების საფარს ქვეშ. რომანტიზმს აქვს ჰოეზიის სხვა და სხვა ფორმის სიმდიდრე, რომელთ მეოხებით ის უფრო ვრცლად არკვევს თავის პირფრებას... ჰოეტურს ნასწამობთა შექმნის დროს რომანტიკოსი — ჰოეტები ადგენენ თავისუფლების

გზას. ისინი ცრუ კლასიკური მიმართულების შემაიწროებელს ჩანს არ ემორჩილებოდნენ...

ბ) გონებას ისინი დაბლა აყენებდნენ თანტაზიანზე. ფანტაზიის თავის მტემული რომანტიკოსები თავის ნაწარმოებთათვის იღებდნენ გამოურკვეველს, ბუნდოვანს (მისტიკურს) აღნიშვნებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რომანტიკოსებს ძლიერ უეგარდათ წარსულნი დრონი და შორეული ქვეყნები, საშუალო საუკუნეები და აღმოსავლეთი, განსაკუთრებით ინდოეთი—რომანტიკოსთა უუკადღებესი იპურბოდა.

გ) სარწმუნოებრივი და პოლიტიკური შეხედულებანი. სარწმუნოების საკითხებში რომანტიკოსები იფუნენ მისტიკოსები, რომელნიც ძლიერ მაღლა აყენებდნენ ღვთაებასთან პირადს დამოკიდებულებას, მოკლებულს ღოღმატებს და წეს-რიგს... ამის შეხებით ისინი მტრულად უცქერდნენ „გონების ეპოქას“ (ენციკლოპედიასაც) და მის წარმომადგენლებს უწოდებდნენ კაცობრიობის საშინელს მტრებს... რომანტიკოსები ქებას უძღვნიდნენ კათოლიკურს სარწმუნოებას, ინკვიზიციას, ზავს, უოველსავე ამაზე დამუყარა ის პოლიტიკური რეაქცია, რომელმაც წარმოშობა თავისი უფლებების მღვენილი მეტტერნიხი და მისთანანი. რომანტიკოსების პოლიტიკური რწმენა არ იყო არც რესპუბლიკური და არც მონარქიული. რომანტიკოსებისთვის სულ ერთი იყო, სახელმწიფოთა გამგეობის რომელი ფორმაც უნდა ეოფილიყო...

რეალურს, გარეგანს ცხოვრებას აღმატრად უცქერდნენ... ისინი პოლიტიკის გარეშე იდგნენ... ბევრი მათგანი (ვიქტორ ჰიუგო) ჭეშანიური აზრების თავდაღებული მოძღვრები იფუნენ.

დ) რომანტიკოსებს მეტად უეგარდათ ეოველივე შშობლიურ-ეროვნული, ნაციონალური. რომანტიკოსთა ეპოქაში შეგროვებულ იქნა

მრავალი სახალხო ლექსი, სიმღერა, ზღაპარი ლეგენდა და სხვა... თავისნიცემა ეროვნულ თავისებურებათა, ეროვნული განვითარებისთვის მუდმივი ზრუნვა, ეროვნული ჩაგვრის და დევნის გმობა და უარყოფა—რომანტიკოსების მოძღვრება იყო... ძლიერ განვითარდა გერმანიაში რომანტიკული მიმართულება. ეს ქვეყანა მეზვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის პირველს ნახევრამდის მეტად სატირალს მდგომარეობაში იყო... მდაბალი ხალხი დანაკრული იყო და სახელმწიფოთს მართვა-გამგეობაში არავითარს მონაწილეობას არ იღებდა... ქალაქები და სოფლები სატირალს სახანაობას წარმოადგენდა... განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა გერმანიას ოცდაათის წლის ომმა (1618—1648), რომელიც ასტუდა სარწმუნოების ნიადაგზე... ქალაქები და სოფლები ახოვრებული იყო, და ცხოვრების ძარღვი თითქოს შესწიდა. მეცნიერება დაცვა... სარწმუნოების წარმომადგენლები (პროტესტანტები და კათოლიკები) სღვენიდნენ ეგვალს, ვინც სხვაგვარ მსჯელობდა სარწმუნოებრივ და საეკლესიო საკითხთა შესახებ... მაგრამ ხალხის გულში იმაღებოდა ობოლი ნაპერწკალი მომავალის გამოღვიძებისა და წელში გასწორებისა... ეს ნაპერწკალი თანდათან ძლიერდებოდა; მეთვრამეტე საუკუნეში გერმანიის ხალხმა მართლაც გამოიღვიძა. მან თავისს პოეტურს ნაწარმოებებში გამოხატა თავისი გულის ნადები, აზრი, სულის კვეთება, ხმა ამოიღო თავისთა უფლებათა დაცვის შესახებ... ამას ზედ დართო მთელის გერმანიის ერის ეროვნული გრძობის გაძლიერებაც ნაპალონის შემოსევის შეხებით... გერმანიის რომანტიკოსნი თავის წარმოებათა შინაარსს საშუალო საუკუნეთა ცხოვრებიდამ იღებდნენ... მაშინ, იმ დროს, მათის აზრით, ეროვნული ცხოვრება იყო წმინდა, შეუბღაღავი, ნამღვილ ეროვნული... ზოგერთი მეცნიერები ცუდის აზრის არიან რომანტიზმის შესახებ. გერ-

ნერი ამბობს: რომანტიკოსი რეაქციონერია ანათლებით და სწავლა-მოდღერებით. იმას კელი ენატრება იმის გამო, რომ შხა-მხა-ეული, კარ-ჩაკეტილი და ხელსახლეები ფორები უკვე მკვდარის წარსულისა უფრო წარმკაცად და პეტურ ელფერის შქონედ ეჩვენება, სანამ ახლად ფეხ ადგმული „ახალი“, რომელსაც არ შეუძლია მისცეს სადმე უშემქო ფანტაზიას დასაურდნობადა ხელსახლები და მტკიცე წერტილები».

რუკეს აზრით, რომანტიკოსი, შეიარაღებული ჩვენის განათლების საშუალებით, ამხედრებულია განათლების ეპოქის წიხადმდე და უარ ჰყოფს მეცნიერებას, ხელოვნებას, საზნებო მოძღვრებას და სახელმწიფოებრივობაში ჰუმანიზმს. ერთის რომანტიკოსის ეიხენლარტის სიტყვით რომანტიზმი დარღია დაკარგული სამშობლოსათვის ე. ი. დარდი წარმოშობილი კათოლიკურ ეკლესიის გავლენის შესუსტების გამო... ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რომანტიკოსები თავისს ნაწარმოებთათვის შინაარსს საშუალო საუკუნეთა ცხოვრებიდან იღებდნენ: მაშინ ქრისტიანობა ერთებდა თავისს დროის ქვეშ ეკლესიას, სახელმწიფოს, ხალხს, მეცნიერებას, ხელოვნებას. ისინი არა თუ სანატრელ სავნად სახვდნენ სიბავშვებს, გულწრფელობას და უმარწვილურს სიმარტივეს საშუალო საუკუნეებისას, არამედ მადლა აყენებდნენ ამ საუკუნეთა ხელოვნებას, საწმუნებების სახელით ამს უცხადებდნენ გონებას“.

თუმცა ასეთი უარყოფითი ეპიტეტებით ამკობენ რომანტიზმის ზოგიერთი მეცნიერი, მაგრამ ამის და მიუხედავად, არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ იმ დიადს გაუფენას, რომელიც მან მოახდინა ევროპის მთელს ცხოვრებაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნია ის გარემოება, რომ რომანტიკოსებმა დაამყარეს სოციალ-გიაში პიროვნებისადმი პატივისცემა; მეტი

უურადლების მიქცევა ინდივიდუალურ (პიროვნულ) განვითარებაზე. მეცნიერებაში მათ შექმნეს ენის ისტორიული შესწავლა,—მითების, უფლების შეგნება, აგრეთვე განმტკიცეს ხალხურ პეტური სიძველეთადში სიუვარული... ხელოვნებაში და განსაკუთრებით პოეზიაში მოახდინეს ნამდვილი ცვლილება. დაარსდა კულტი მადლის, თავისუფალის ხელოვნებისა...

რომანტიზმი პროფესორის ი. ი. სამოტინის აზრით (იხ. მისი წიგნი: Роман-тизмъ... 1913 г. Изд. Вольфа т. II). თავისი არსებით გარკვევით გამოხატული იდეალისტური სოფლმხედველობა... მისი საგანია ადამაღმოს ადამიანის სულიერი ბუნება, გარემომრტემული ქვეყნის ნივთებზე მადლა დაყენის. ჩვენს სიტყვებს შეადგენს სული და რატერია (ნივთიერება) დაუსრულბელი და დასრულბადი (канечное), რეალური და იდეალური—ი იხ ორი თეფში სასწორისა, რომელთაც ხან ერთია დაბლა და ხან მეორე... არიან ისეთი ეპოქანი, როდესაც ხან ნივთიერი, ხორციელი მოთხვნილება ბატონობენ და სულიერს მოთხვნილებებს დაბლა აყენებენ—და ხან სულიერი მოთხვნილებანი მადლა სდგანან ხორციელს მოთხვნილებებზე...

რომანტიული იდეალიზმი მთლად უმორჩილებს სულს ნივთიერებას, მატერიას, სულს მადლა აყენებს მარზე... რომანტიკოსები მოძღვრებდნენ პიროვნების პატივისცემას, დიადს უფლებებს ანიჭებდნენ ნაცის, ერს... კერძო პირნი და ნაციანი, უკეთუ თავისუფლად ავითარებენ თავის ნიჭთა, ემსახურებიან პროგრესს (წინსვლას, წინსრობლას), რომელსაც საერთო საკაცობრივო მნიშვნელობა აქვს. მასწავლამე, რომანტიული იდეალიზმი ემსახურებოდა: პიროვნულს, ეროვნულს და საერთო საკაცობრივო განვითარების საკითხებს. რომანტიზმმა დაამყარა პიროვნების კულტი...

ფილოსოფოსნი ფიხტე და ფეიერბახი ისტორიულს პრინციპს, ისტორიულს განვითარებას უტყქიან ინდივიდუალისტურის თავსუსხრისით, რომლის მთავარს აზრს შეადგენს—პიროვნების თავისუფლების საზღვართა გაფართოება... შეთქმულსავე საუკუნოდად დაწესებული—პიროვნება ადამიანისა თანდათან გზას იკვლევს თავისუფლებისაკენ საშუალო საუკუნოებში. ადამიანის პიროვნება დამკვიდრებული იყო ავტორიტეტების წინაშე, რომელთაც ერწმუნებოდა უკრიტიკოდ, ბრძოლად, უხმოდ... ჯერ კიდევ იტალიაში ჩაიდგა საძირკველი ჰუმანიზმისა... დიდებული პეტრარკა (1304—1374) ეძიებდა ადამიანს, კაცს... იუჯი შენ ადამიანი და იცან შენს მოუფასში ადამიანივე—აი რა იყო მისი მოძღვრება... თვითშემეცნება, თავისთავის ცნობა—ადამიანის უმთავრესი მოვალეობაა. ჭეშმარიტად კეთილშობილი კაცი მხოლოდ ის კი არაა, ვინც დიდი გვარისაა, არამედ ის, ვინც თვით აღზრდის შესახებ ზრუნავს და პირადად შრომობს... პეტრარკას აზრები, მისი დიადი მოძღვრება გადმოეცა შემდეგს საუკუნოებს. თვით რუსისონ მოძღვრება ბუნებასთან ახლოყოფის, პიროვნების დრმა პატრიარქის, საზოგადოებრივი თანასწორობის და ძმობის შესახებ—პეტრარკას მოძღვრებას მოგვაგონებს... რუსონო მალა აყენებს გონებაზე ზნეობას, გრძობას, ფანტაზიას... რომელსაც გონების ბატონობა დაეცა შეთვრამეტე საუკუნის გასულს, რომანტიზმთან ერთად დაიწყო გრძობის ბატონობა. მაშინ იწყება რომანტიკოს პოეტების მიერ აწმუფის ათვალწუნება, ბუნდოვანი სურვილი უმადლესის სიმშვენიერისა, იდეალურის ბედნიერებისა... („სული ჩემი შენს იქითა ეძიებს საღვურს, ზენაარსჭ

სამყოფს, რომ დაშთოს აქ (შიწაზე) ამოღება“ ნიკ. ბარათაშვილი)... გარეშემორტეული სოფლის იქით ბედნიერების ძებნა შეიქმნა ხელოვნების, მეცნიერების და ფილოსოფიის საგნად (გერდერი, გეტე, კანტი, ფიხტი, ბაირონი, შატობრიანი, სტალი, ჟორჟ-ზანდი და სხვა) მეცნიერებე საუკუნეში მთელი რომოდდა ათის წლის განმავლობაში რომანტიზმი ბატონობდა მოაზრე და მგრძობელი საზოგადოების გონებაზე. პიროვნების დიდი მნიშვნელობა მშვენიერად განმარტა ფილოსოფოსმა ფიხტიმ, რომელიც ამბობს: ადამიანის „შე“ დამოუკიდებელია. თავის-თავად არსებობს. „შე“ შემომქმელია და ბატონი მსოფლიოსი. ბუნება ადამიანის სულის ნაწარმოებია... საგნები არსებობს ამისთვის, რომ ამთ შესახებ ვაზროვნობთ. „არაფერია“—ამბობს ფიხტი—, პირადი „შე“-ს გარდა, და ეს „შე“—ყოველივეა და ყველაფერი, რაც არსებობს, არის „შე“... ადამიანის „შე“ გადმერთა ფეიერბახმა, რომელიც ამბობს: „ადამიანს არ შეუძლია წარმოიდგინოს, მოიფიქროს, შეიგნოს, ირწმუნოს, ისურვოს, შეიყვაროს და იცნას რომელიმე სხვა არსება აბსოლიუტურად (დამოუკიდებლად), ღვთაებრივად, გარდა ადამიანისა“... ცხადია, რომ პიროვნების კულტი, ადამიანობა, შეადგენს მეცნიერებე საუკუნის ისტორიის ქვა-კუთხედს. ყველაფერი კეთდება ადამიანობისა და პიროვნებისათვის; სადაც კი რომელიმე დოგმა, რწმენა დამხობილ იქმნა, იქ მის მაგივრად სთავაზობლად ცნობილ იქმნა ადამიანი და მისი უფლებანი...

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება).

წერილი

გაბრიელ ეპისკოპოსისა გიორგი მუხრან-ბატონთან.

მოწყალეო ბატონო

კნიაზო გიორგი!*)

შენი წერილი კვ-სა ოკტომბრიდან მეგვიან მივიღე, რადგან შეცდომით ადრესი გურიის ეპისკოპოსთან დაგეწერა, მაგრამ პირი მისი კარგა ხანია წამიკითხა თ-ღვრ. დადიანმა.

ამ შენმა წერილმა კარგი ქართული ენით დაწერილმა, გაამტყუნა ზოგიერთი შენნი ბროშურის წამკითხველნი, რომელნიც ამბობდენ: „უთუოდ მან თვითონაც კარგათ არ იცისო ის უბედური ქართული ენა, რომელსაც სხვათა შორის უწინასწარმეტყველა მოსპობა და განქარვება“. მე კი აქვე ბოდიში უნდა მოვიხადო, როეს ჩემი პასუხი არ არის ისეთი კარგი ენით დაწერილი, როგორც შენი წერილი. ამასაც დაეუმატებ: პასუხის წერას შეგუდები არა უსარგებლო ცილობისა და ამოთავის მოყვარეობისა გამო, არამედ იმ განზრახვით, რომ იქნება ამ ჩვენი ურთიერთ შორის ბაასით ჭეშმარიტება აიხსნას უმჯობესად. მე მაქვს სახეშვიის ვწერ ამ წერილს. ვიცი წინათვე, რომ ის, რომელსაც ამ წერილსა ვწერ მაღლაღ

*) ეს ალბათ ის გიორგი მუხრან-ბატონი თუ არას, რომელსაც აკაკი უძღუნის ლექსს „ენების განსამართლება“ ჩემი ნაწერება წიგნი მეორე, გვერდი 78. წერილი უნდა ეკუთვნოდეს იმ დროს როდესაც გაბრიელი სმუგრუდოდან ახალი გადმოყვანილი იყო იმერეთის ეპისკოპოსათ.

გადამწერი.

განათლებული პირია და საწყენად არ მიიღებს ჩემს წერილს, თუმცა იგი არ ეთანხმება მის აზრებს.

მაღალს და ვრცელს მნიშვნელობას აღვევ ენას, როდესაც იტყვი „ენა კაცისთვის და, მეტადრე, საზოგადოთ ხალხისთვის ის არის, რაც სული ხორცისათვის“. სხვა ვისმესთან, არა ისე განათლებულთან და ლოლიკის მცოდნესთან რომ მქონდეს ბაასი აქ მე ამ სახით ვუპასუხებდი: „თუ ენას ასე დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტესად ძნელია და შეუძლებელი არის ხალხისათვის მისი მოსპობა; მით უმეტესად უნდა ეცადოს ხალხმა მისი შეკეთება, გავრცელება გადიდრება, დამარხვა და არა დაკარგვა და აქვე მოვიყვანდი საღმთო წიგნისაგან ამ სიტყვებს: „რა სარგებელ არს შეიძინოს კაცმა სოფელი ყოველ და სული მისი იზღვიოს; ანუ რა მისცეს კაცმა ნაცვლად სულისა მისისა?“ მაგრამ ვიცი, რომ ამისთანა პასუხი მე შენთან არ გამივა, შენ მაშინვე სიტყვას გამიწყვეტ და მიპასუხებ: თუ კი ბუნებითი წესი და კანონი არის, რომ მცირე ხალხის ენა მოისპოს და დიდი ხალხის გავრცელდეს, რაც გინდა იწუხოს და იზრუნოს პირველმა, ბუნება მისს წესს ვერ გადავა. მართლა, თუ ის აზრი, რომელსაც შენ ამტკიცებ ბროშურაში ბუნების კანონი არის, უსარგებლო იქნება ყოველი წინააღმდეგი ზრუნვა და ლაპარაკი. ბუნების წესი, ვით თვით ღმერ-

თის წესი სრულებით ჩვენდა დაუკითხავად მოქმედებს. მისთვის სულ ერთია მოგვწონს თუ არა მისი კანონი. მაგრამ რით ამტკიცებ შენ, რომ ის მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარება) არის ბუნებით წესი? ამას შენ ბროშურაში ამტკიცებ მარტო ლოდიკური 'თეორიით' (теорією). მართალია ღრმად მოსაზრებელი და ლონივრათ გამოთქმული თეორიით, მაგრამ მაინც თეორიით. იმ შენი თეორიის თავსაკიდური აზრი ეს არის: სახელმწიფო არის და უნდა იყოს ერთი ორგანიზმი (одно органическое целое); ერთ ორგანიზმს ერთი სული უნდა ჰქონდეს, ენა სულია ორგანიზმისა; მაშასადამე ერთი ენა უნდა იყოს სახელმწიფოში. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო არ იქნება მაგარი და მკვიდრი.

ეს აზრი თეორეტიკულია. შედარებით ანუ დამსგავსებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ სახელმწიფო ორგანიზმი არის, მაგრამ ასო ასოთ არ მიიღება ეს დამსგავსება. მართალია, სახელმწიფო არის შეერთება მრავალთა განყოფილთა ორგანიზმთა, ესე იგი ადამიანთა, რაც გინდა მკიდროთ და მაგრად იყონ იგინი შეერთებულნი, ასო ასოთ ერთს ორგანიზმს ვერ შეადგენენ. პრაქტიკა, გამოცდილება, ამტკიცებს თუ არა ამ შენს თეორიას?.. შენ ჩემზე უკეთ იცი, რომ თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებიდან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა, ესე იგი, ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება. მართალია, შენ წიგნში კი მოიყვან რომელთამე ფაქტებთა დასამტკიცებლად შენი თეორიისა (იმათ განვიხილავ ქვემოთ). მაგრამ ბროშურაში ფაქტები არ მოგყავს. მხოლოდ ამბობ: ისტორიული განხილვა მეორე ნაწილში იქნებაო. თეორია, რაც გინდა ღრმა და

საფუძვლიანი იყოს, ვერასოდეს ვერ ახსნის მრავალ ფეროვანსა, მრავალ კერძოსა, დაუცხრომელად მოძრავსა, მუდამ მცვალებადსა კაცობრივსა ისტორიულსა ცხოვრებასა.

ახლა გადავალ იმ ფაქტების განხილვასაზედა, რომელთა შენ მოიყვან წიგნში, მაგრამ წინა პირველად ჩემი მხრით მოვიყვან აქ ერთ შესანიშნავს, საზოგადო ფაქტს: დედამიწის ზურგზედ დასაბამიდან ქვეყნისა ვიდრე აქამომდე და ეხლაც ჩვენს ღროებაში არ ყოფილა და არ არის ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელსა შიგან ყოველნი მცხოვრებნი ლაპარაკობდნენ ერთი ენით. ყოველ დიდ-დიდ სახელმწიფოში ყოველთვის და ყოველგან გარდა ერთი უმთავრესი სამმართველო ენისა ყოფილან სხვა წვრილ-წვრილი ენები; გარნა ეს გარემოება არაფერს არ უშლიდა და არც ახლა უშლის, ე. ი. ამ გარემოებას სახელმწიფო არსად არ დაურღვევია, არც დაუსუსტებია. შენს წიგნში მოყვანილი ფაქტები, ჩემი შეხედვით არ ამტკიცებენ შენი ბროშურის თეორიას, არამედ იმის წინააღმდეგს. შევიცარიას უჩვენებ და იტყვი, რომ აქ სამი ენა არისო და ამისთვის ერთი მკვიდრი სახელმწიფო არ არისო. შევიცარიას დიად მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო არის, ანუ ფედერაციას და რესპუბლიკას შენ სახელმწიფოთ არა სთვლი? ნუ თუ მარტო მონარხია არის მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო და რესპუბლიკა არა? ვგონებ შევიცარიისთანა განათლებული, მაგარი ერთობით და თანხმობით სავსე სახელმწიფო არც კი არის ევროპაში. მართალია ავსტრია, რომელსაც შენ მოიყვან შემდგომ შევიცარიისა მაგალითად, თითქოს შენს აზრს ამართლებს. ავსტრიაში სამი თესლი ანუ ენაა: ნემეცური, მაღიარული, სლავიანური ერთ-

მანეთში უთანხმოდ და სიძულილით სცხოვრობენ, მაგრამ აქ ენების განსხვავება არაფერ შუაში არ არის, არამედ სხვანი ისტორიულნი მიზეზნი და გარემოებანი. ზემო ხსენებულნი სამნი თესლნი მახლობელ დროში შეადგენენ სამთა მძლავრთა სახელმწიფოთა, მერმე ხელოვნებით და არა ბუნების წესით იქმნენ შეერთებულნი ერთ ხელმწიფის ქვეშე. საუბედუროდ ბათლა მართებლობა სწორი სამართლით (равно-правно) არ ეპყრობა ყოველ თესლებს; ნემცები და მადიარები ავიწროებენ ჩეხებს და სხვა სლავიანებთა; ბოლოს ერთმანეთშიც აქვთ შური და ცდილობენ მოიპოვონ უპირატესობა. (გეგემონია). ამ მიზეზებით და არა ენის განსხვავებით არის ავსტრიაში არეულობა და შფოთი. ისტორია მართალია, ახსენებს მრავალთა თესლთა და ენებთა, რომელნი თითქმის განქარდნენ ისტორიული ასპარეზიდგან, მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? ძალადობა, ბტრებისაგან შევიწროება, იძულება, ამოწყვეტა! თუ ამ სახით ენის მოსპობას უწოდებთ თქვენ ისტორიულ კანონად და წესად, მაშინ წინააღმდეგს ვერაფერ დაგიმტკიცებს. ამ სახით მოისპო გალლების თესლი და ენა, რომელთაც შენ ახსენებ წიგნში; გალლები ნახევარი ამოწყვეტეს და დაფანტეს რომაელებმა, ნახევარი ფრანგებმა, მაგრამ ანბობენ, რომ ფრანციაში ე. ი. ნორმანდიის პროვინციაში ეხლაც არიან დანარჩი მათის თესლისა კელტები, რომელთაც ენაც აქვთ შენახული მათი ძველიო. რადგანაც ფრანციას შეეხო სიტყვა, აჰა ერთი შესანიშნავი ჩვენი საგნის ასახსნელად ფაქტი: სუყველანი ამბობენ, რომ ფრანციისთანა ერთგვაროვანი და ენოვანი სახელმწიფო არ არისო ევროპაში, მაგრამ აქაც სამხრეთის მხრით ისპანიის საზღვრებთან ახლაც სცხოვრო-

ბენ ერთი ძველი იმერთის დანარჩენი ხალხი სახელად ბასკი, რომელიც ახლაც თავის ძველს ენას ხმარობს ისე, რომ სასამართლოებში მათ ფრანციული მეტარკმენე უნდება. გაშინჯე, რომ ევროპის პირველმა ენამ ვერ მოსპო ბასკების ველური ენა, რომელსაც ხმარობს ერთი მუჟა ხალხი ორი ათასის წლის განმავლობაში!

რასაც შენ ამბობ მეორე ნაწილში შენი ბროშურისა, იმაზედ რომ მცირე ხალხისთვის მიუცილებელი საჭიროება და სარგებლობა არისო შეერთება დიდ ხალხთან, მისი ენის სწავლა, მისი ენით მიღება განათლებისა, — ეს ყოველი დიახ პატიოსანი და ჭეშმარიტია თუ გინდა ბუნების წესიც და კანონი არის. ბუნებაში ყოველიფერი სუსტი და მცირე ეძიებს შეერთებას და განძლიერებას ულონიერესის და უძლიერესის შემწეობითა. სხვა საბუთი და დამტკიცება რომ არ იყოს ამა აზრისა მართო ჩვენ ქართველთა მაგალითი და გარემოება ცხად ყოფს ამას. ჩვენი ხალხი და ქვეყანა რომ არ შესულიყო ძლიერის რუსეთის ხელმწიფის ხელში, ახლა ჩვენ შთანთქმული ვიქნებოდით მამადიანების სიბნელეშიდ, ამის წინააღმდეგს ვინ იტყვის, გარდა ჭკუით დაბნელებულისა? და თუ მართლა ბუნებას ესეთი წესი და კანონი აქვს, ღვთისაგან მიცემული, რომ მცირე ხალხის ენა და თესლი უთუოდ უნდა შთანთქმულ იქნეს დიდი ხალხისაგან, კურთხეულ არს დიდი და მოწყალე ღმერთი, რომელმან არ დაანება ჩვენი ტომი შთანთქმად თათრებთა და ყიზილბაშებთა, წყეულთა და შეჩვენებულთა (იმათ ეგოდენ სტანჯეს, აწვალეს და განწყვენეს ჩვენი უბედურნი მამები, რომ შემენდობა მათი დაწყევლა)! დეე, ისევ შთავინთქათ ვრცელ რუსეთის ზღვაში!.. მაგრამ არა! შეერთება (слияние)

სხვა არის და შთანთქმა სხვა, ყოველი-ფრით შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დიდთან: სულით, გულით, აზრით, ინტერესებით; მაგრამ მისი მოსპობა არ შეიძლება და არც არაფერს დააშავებს, ანუ დაუშლის ენა ამ ერთობას. შენ ამბობ, რომ მცირე ხალხი თავისი ღარიბის ენის საშუალებით ვერ მიიღებს ცივილიზაციასო. განა არ შეიძლება, რომ დიდი ხალხის ენით მიიღოს კაცმა სწავლა და განათლება და მისი ენაც არ დაივიწყოს? რა დაგიშავა შენ ქართული ენის ცოდნამ? დიდი განათლება მაინც მიგიღია რუსულ, ფრანგულ და სხვა ენების საშუალებით და შენი ენაც არ დაგიკარგავს. ამ სახითავე იქცევიან ყოველნი პირნი დიდი განათლების მეძიებელნი, ხალხის ხალხთან ერთობა (слияніе) მართო ენით არ მოხდება და არც დაბრკოლდება. ამას გვიმტკიცებს ისტორია ცხადათ. ენაზედ უდიდესნი არიან სხვანი კავშირნი, რომელნიც შეაერთებენ უფრო მაგრათ ხალხთა და ტომთა. შინაგანი კაცის და ხალხის გრძნობა, აზრი, ხასიათი ენაზე უდიდესნი არიან; ენა არის მხოლოდ მათი გამოთქმეოი, გარეგანი სახე. თუ სიყვარული, ნდობა, ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებს კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენა იქვერაფერს იქმს. და სუყველა ამაზე ერთი უდიდესი ბურჯი გაუწყვეტელი კავშირისა ხალხთა შორის, ჩემის აზრით არის სჯულის აღსარება. თუ ერთი სჯული და აღსარება აქვთ ორ შეერთებულ ხალხს, ამაზე უმტკიცესი კავშირი სხვა აღარ იქნება მათ შორის. შენი ბროშურის აზრს, თუ უკაცრავათ არ ვიქნები ამის თქმით, ის ავნებს, რომ იგი არის გამოთქმული კატეგორიულად (категорически) ანუ აქსიომის მსგავსად (какъ аксіома) ე. ი. არა აქვს განსაზღვრება. აქსიომები მართო

მატემატიკაში არიან მისაღებნი. ისტორიაში და ფილოსოფიაში ძნელად მოიპოვებიან ისინი. მართალია პირველად მცირე ხალხები სხვა და სხვა ნაირნი არიან. მათშიც დიდი განსხვავება არის. ჩვენც, ქართველნი და სომეხნი მცირე ხალხნი ვართ ერთი მხრით; მეორე მხრით აფხაზნი, ოსნი, ლეკნი, ანუ ვთქვათ, რუსეთში მორდვა, ჩერემისი და სხვანი,—მცირე ხალხნი არიან, მაგრამ ნუ თუ ორივე ამ ღრუბა (группа) ხალხზე ერთი და იგივე ითქმის შესახებ მათი ენისა. მეორე ღრუბის ენები არიან უკიდურესად მართლა ღარიბნი, მათი ენით არც ერთი განყენებული (отвлеченная) აზრი არ გამოითქმის. ანბანი და მწიგნობრობა მათ არა აქვთ, ლიტერატურა მით უმეტესად; თითქმის მამოჩვენო ხეირიანად ვერ გადითარგმნება აფხაზურ ენაზე, ისტორიული თავის ცნობა (историческое самосознание) მათ არ აქვთ. ერთი სიტყვით არც ერთი ელემენტი არა აქვს მათ ენას მყოფობისა ანუ არსებისა. ამისთანა ხალხებზე მართო რომ გეთქვა ის აზრი შენი მაშინ, არ გაუძნელდებოდა კიდევ კაცს გონების*) მიღება მისი, მაგრამ ქართულს, სომხურს და ამათ მსგავსთა ენათა ზედაცა თუ გაავრცელეთ ის აზრი, მაშინ არავინ არ შეიწყნარებს მას. ქართველის და სომხების ენები, თუმც მცირე ხალხის ენანი არიან, მაგრამ არა ღარიბნი; ამ ენებს აქვს მწიგნობრობა, ლიტერატურა, საღმთო წერილი და მრავალნი წმ. მამათა წერილნი ნათარგმნი; ამ ორ ენაზე ყოველნი მეცნიერება და აზრი გამოითქმის, მათ აქვთ ორი ათასი წლის მეტი ისტორია, ისინი იყვნენ ოდესმე თვით მღგო-

*) აღბაჟ უნდა იყოს „კაცის გონებას“. **გაღამ.**

მარენი სახელმწიფონი, ერთი სიტყვით, აქვთ მათ ყოველნი ელემენტი არსებისა და სიცოცხლისა, ამისთვის მათი განქარება ძნელად საფიქრებელია, შეუძლებელია. მეორე განსაზღვრება ის უნდა მიგვცა შენი აზრისთვის, რომ შესაძლებელია და მრავალ გზის მოშთარა მცირე ხალხის ენის შეერთება, ანუ უმჯობესად, გადასვლა მისი ერთ გვაროვანის, მაგრამ განსაზღვრებულის დიდი ხალხის ენასთან, მაგალითებრ, მალოროსიული ენის დიდი რუსეთის ენასთან, მეგრული ენის ქართულთან და სხვა. მაგრამ ეს იქნება ენის გადაკეთება და გაკეთებაც და არა განქარება. თვით პოლშური, ბოლგარული, ჩეხული, გალიჩანური და სხვანი სლავიანების ენები, რომ გადაკეთდენ რუსულ ენათ, ესეც გასაკვირებელი არ იქნება, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამისთანა მოვლენაც ძვირათ მოხდება. უფრო შესაძლებელია და ხშირათ იმისი წინააღმდეგი მომხდარა: ე. ი. ერთი ძირი დედენისა მრავალ შტოებათ განყოფილა. გარნა ორი სრულიად სხვა და სხვა გვარის ენა შეერთდეს, ანუ მცირე ხალხის სრულიად სხვა გვარის ენა, რომ თავისთავად, გარეშე ყოვლის იძულებისა განქარდეს და მის მაგიერათ სრულიად სხვა გვარის ენა რომ მიიღოს, რაც გინდ მცირე იყოს ხალხი, ეს შეუძლებელია. მომეტებული ცენტრალიზაცია, როგორც ყოველგან მავნებელია, ისე ენებშიც. მომეტებული დეცენტრალიზაციაც არ არის კარგი, მაგრა ისევე ეს სჯობია პირველს ე. ი. ცენტრალიზაციას, ამისთვის მე ვგონებ მავნებელი იქნება ისიც, რომ ენები მცირე ხალხისათვის სულ განქარდეს და დიდი ხალხების დარჩეს. მესამე განსაზღვრება ის უნდა მიგვცა შენი აზრისთვის, რომ მცირე ხალხში ყოველნი და-

წინავებულნი პირნი: თავად-აზნაურნი, სამღვდლონი ხშირად ივიწყებენ თავის ენას და დიდი ხალხის ენას მიიღებენ და არა მთელი ხალხი მასით (массою), ან რა სახით შეიძლება ეს? ავიღოთ ერთი სოფელი მაგალითებრ, დილომი, ან კულაში იმერეთში. აქ გლეხი კაცი და ქალი დაიბადება; ატარებს სიცოცხლეს თავის ოჯახში თავის ენით, ათასში ერთხელ ვერ გაიგონებს სხვა ენას; რა სახით დაივიწყებს ის თავის ენას? შკოლები მოაშლენ ენებს მის ენას? შკოლა სოფლისა ვერასოდეს ვერ იმოქმედებს ისე, რომ თავისი ენა დაავიწყოს კაცს. სხვა არის, როდესაც დიმიანიაში, აკადემიაში, უნივერსიტეტში ისწავლის კაცი, მაშინ ხშირად დაივიწყებს თავის ენას, მაგრამ ამისთანა მაღალნი სასწავლებელნი არასოდეს არ ყოფილა მთელი ხალხისათვის გახსნილნი, არამედ ათასში ერთისათვის.

მე მგონია, რომ რადგანაც შენ იურისტი ხარ და გონება ყოველთვის გართული გაქვს დიდ-დიდ სამოქალაქო საქმეებში, ამისთვის ნამეტანი ფიცხელი იდეალი (идеаль) შეგიყენებია სახელმწიფოს მკვიდრობაზე და სიმაგრეზე. ამ შემთხვევაში შენზედაც ითქმის ის ანდაზა, რომელსაც ამბობენ შენებრ ფიცხელ იურისტებზე: *pereat mundus fiat justitia* (ქვეყანა დაიქცეს, ოღონდ სამართალი კი ასრულდეს). ქვეყანა თუ დაიქცა სამართალი ვისთვის-ღა იქნება საჭირო? შენც ერთი მხრით ასე ამბობ: სუყველა მცირე ენები განქარდეს, მხოლოდ სახელმწიფო გამაგრდესო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამით სახელმწიფო არ გამაგრდება. თუ კიდევ უკაცრავათ არ ვიქნები ამის კითხვაზე, წაგიკითხავს თუ არა უცხო ფილოსოფოსის დეონ სტიურტ მილოის (Джонъ-Стюартъ

Милля) თხზულება თავისუფლებაზედ (о свободѣ) მესამე თავი, სადაც ის უცხოთ ამტკიცებს, რომ ინდივიდუალობა (индивидуальность) ე. ი. ყოფილი საკუთარი განმასხვავებელი თვისება, ხასიათი საჭირონი არიან ყოველი კაცის (მაშასადამე ხალხისთვისაც) კეთილ მდგომარეობისათვის და ბედნიერებისათვის. ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა, მაშასადამე ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის. თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხს არგებს, არც დიდი ხალხისთვის, რომლის ენას მცირე ხალხი მიიღებს, არის სასურველი. მცირე ხალხი, რომ შეერთდება დიდ ხალხთან, რამე მცირე მაინც თავის საკუთარი კარგი ელემენტი უნდა შეიტანოს და დაუმატოს დიდ ხალხს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ ხალხს უსარგებლო ტვირთი დაედება კისერზე, როგორც რომ კარგ მუშა, მშრომელს ოჯახს ეშვილოს უღონო, ზარმაცი კაცი, არაფერს სარგებლობას არ მისცემს გარდა იმისა, რომ ოჯახის ნაოფლარ პურს შესჭამს. მცირე ხალხი, მოკლებული თავისი ენისა იქნება მოკლებული ყოველი ინდივიდუალური ხასიათითა და თვისებითა და უსარგებლო იქნება თავისთვისაც და სხვისთვისაც, როგორითაც კერძო პირი, არა მექანი პირადი თვით მდგომარეობისა (личная

самостоятельность), ვერაფერს კეთილს და სასარგებლო საქმეს ვერ იქმს.

ამ ჩვენი ურთიერთ შორის მიწერ-მოწერას ვგონებ შენ არ აძლევ არავითარსა პოლიტიკურს მნიშვნელობასა, ვითარცა მეც არ ვხედავ მას შინა სხვა არაფერს, მხოლოდ ერთ სამეცნიერო ისტორიულ საგანზე ბაასსა. ახლა ისეთი დრო დადგა, რომ თვით უბრალო მეგობრულ ლაპარაკში ეძიებენ ზოგიერთნი პირნი პოლიტიკურ განზრახვას, ამისთვის დავთვალე საჭიროდ ამის თქმა.

ბოლოს ერთ ბოდიშს კიდევ მოვიხდი, გრძელი წერილით თავი მოგაწყინე, მაგრამ ისეთ საგანზედ ვლაპარაკობ, რომელიც შენ გიყვარს და რომელზე ბაასი არ მოგწყინდება, ამისთვის გავებდე გრძელი წიგნის მოწერა. უკაცრავათ ვარ აგრეთვე, რომ ცუდი ხელით დაწერილი არის ეს ჩემი წიგნი. *)

შენი ერთგული, კეთილის და სიმართლის მსურველი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა.

*) ეს წერილი გამოვიგზავნა ექიმმა ვესევი ლოსაბერიძემ; მისი სიტყვით ეს წერილი ჰქონია ვიდაც აგიაშვილს, რომლისგანაც შეუძენია იასონ ლორთქიფანიძეს. კარგს ინებებს ეს უკანასკნელი, რომ გაბრიელის წერილის ორიგინალს გამოუგზავნიდეს ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების წიგნთსაცავს.

რედ.



სინათლე და ელექტრონი

მეცნიერება ამ უამად დაკვირვებისა და უარსებულ ცდების დამოწმების შემდეგ ერთს, მეტად გასაცარ დასკვნამდის მივიდა. სინათლე, ეს უდიდესი შემთქმედებითი ძალა ბუნებისა, თურმე ე. წ. ელექტროანდამატურ ღელვის კერძო მოკლეა უოფილა.

ერთის შეხედვით ეს მოსაზრება მეტად ახიკებულად გეჩვენებათ. განა რა უნდა ჰქონდეს საერთო ბუნების გამაცოცხლებელს და გამახლისებელს შიის სხივს ელექტრონის ნაკადის გარშემო წარმოშობილს მოკლეანსთან! განა წარმოსდგენია, რომ ეს დიადი ბუნების მაცოცხლებელი სინათლე რისიმე კერძო მოკლეა იუყვს?!

დიდებულ მგოსანს ჰქეტეს ბრახსა ჰგვრიდა ის გარემოება, რომ მეცნიერები იმის გამოსაკვებად თუ რას წარმოადგენს სინათლე, ყველა ღონესა ღონობდნენ, ატარებდნენ სხივს ზაწია ნაზალებსა და ზრისმებში. ჰქეტეს ყველა ეს ბუნების დაძალება მიანდა, მაშინ, როდესაც მის აზრით ამ გვარი საიდუმლოებანი ბუნებისა ადამიანის გონების ძალას ადემატება. „საიდუმლოებით არის მოცული კაშკაში სინათლით გაცისკროვნებული ბუნება, ამბობს ფაუსტი, და არავის არ შეუძლიან მას ზირობადე ასადოს, რასაც თვით ბუნება არ გამოაშკარავებს, შენ ვერავითარ ხერხითა და მანქანებით ვერ გამოჰკლეჯ მას“.

ეს სიტყვები მშვენივრად გვისახავენ იმ მსოფლმხედველობას, რომელიც დიდის ხნის განმავლობაში ჰბატონობდა ადამიანთა გონებას. იგი წითელ ზოლად გასდევს მთელ საშუალო საუკუნეთა მეცნიერებას. ცდის უმნიშვნელოდ მიხევა, ბუნების მოკლეანთა ახსნაზედ ფიქრი მხოლოდ მშრალ, განუენებულ აზროვნების საშუალებით მაშინ საერთო სენი იყო და მე-

ცხრამეტე საუკუნეშიაც-გი იპოვა ამ მსოფლმხედველობამ თავისი მოსაზრლე—ჰქეტე. ცდის მნიშვნელობის უარყოფასთან ერთად მეცნიერების ერთს შემათყურებულ მიზეზად უნდა ჩაითვადოს ავტორიტეტის ბრმა თავუანისცემა. მთელ საშუალო საუკუნეთა განმავლობაში მეცნიერების ამ გვარ შეუცოდაჲ ჟურუად ითვლებოდა საბერძენეთის კამოჩენილი ფილოსოფოსი არისტოტელი. უკანასკნელის ავტორიტეტი სულს უხუთავდა ბუნების მეტყველებას.

მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნეში მეცნიერებმა უკუაგდეს სხოლასტიურ მსჯელობის გზახეულები, ზურგი შეაქციეს თეოლოგიასა და ასტროლოგიას და თვით ბუნებას მიჰმართეს. მათი გონება წინასწარ აზრითა და ცრუმორწმუნებით არ იყო მოშხამული. ამიტომაც აქ ჩაისახა ბრწეინვალე ხანა მეცნიერების განვითარებისა, იმ მეცნიერებისა, რომელიც ესლა კაცობრიობის ძალასა და სიამაყეს შეადგენს. დიდებული კოპერნიკი და გალილეი ის ადამიანები არიან, რომელნიც იმასაც კი არ შეუშინდნენ, რომ დედამიწა მრავალ საუკუნეთაგან აშენებულ საძირკველიდან აწიათ და საშუაროში თითის ტარივით აეშრიალებინათ. ესენი ის ზირველი მეცნიერები არიან, რომელთა ჭიკჭიკსაც მთელი თანამედროვე მეცნიერების ჰარმონია მოჰყვა.

მაგრამ ნუ გვინათ, რომ საშუალო საუკუნეებში გამეფებულ წყვიდად არც ერთი სხივი არ არღვევდა. არა! აქ ვხედავთ მ:დალ, დამოუკიდებელ გონების ჰატრონთ, რომელნიც ბუნების კანონთა ძიებაში ცდას მეტად სხატიო ადგილს უთმობდნენ. ამ გვარ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის როყერ ბეკონი (1264-94) და ცოტა გვიან ლეონარდო და ვინჩი, ეს

მართლაც გასაცნობ, მრავალფეროვან ნიჭის
 პატრონი აღმდანი. ლეონარდო და ვინჩის სა-
 ზოგადოება უფრო რეგორე გამოჩენილს მხ-
 ტვარს იცნობს, მაგრამ იგი უფრო გამოჩენი-
 ლი შეცნეირია. მაშინ, როდესაც ჰეტე შეცნეირ-
 მეტე საუკუნეში გაიძახიდა — „წამებულე ბუ-
 ნება დამუხჯდა“-ო, ლეონარდო სინეგლითა
 და ცრუმორწმუნეობით მოცულ მიდამოდან
 მარტოდ ჰქლადებდა: „ცდა შეცნეირებისა და
 ხელფენების მობეღია“, „ცდა—ბუნებასა
 და კაცთ შორის შუამავალი“, „სიბრძნე—
 ღვიძლი შვილია ცდის“, „ცდა არსოდეს
 არ გვარუებს, გვარუებს მხოლოდ ჩვენი
 აზრფენება, რომელიც ცდისგან ხშირად გა-
 მოკლის იმას, რასაც იგი ვერ მოგვცემს“. ამ
 აზრთა თანამოზიარობაზედ არც ერთი თანა-
 შედრფვე შეცნეირი უარს არ იტუვის!

ქვევით დავინახავთ, რომ აზრი სინათლისა
 და ელექტროანდამატურ მოფლენათა ერთგვა-
 რობაზედ მხოლოდ მაშინ დამყარდა, როდესაც
 იგი ცდით იქმნა შემოწმებულე.



მოფლენათა ორგვარი დარგი შეადგენს ჩვენს
 მსჯელობის საგანს: პირველი — სინათლე, იმის-
 და მიუხედავად თუ რა არის მისი გამოცემეში
 მზე, ვარსკვლავი თუ რამე ხელფენური სანა-
 თი და შეორე—ელექტრონის ნაკადის მუდმი-
 ვი თანუფლილი რაღაც. ჩვენა გვსურს მო-
 კლედ გამოვარკვეოთ არა მარტო ის თუ რა
 გზით დაუახლოვდეს ერთმანეთს სინათლე და
 ელექტროანდამატური მოფლენანი, არაშედ ისიც
 თუ როგორ დაამტკიცეს მათი იგივეობა.

ამისთვის მოკლედ გავითვალისწინოთ სი-
 ნათლისა და ელექტრონის საარსო მხარეები
 და შემდეგ ვცნადოთ შემავრთებელი ძარღვი
 ვუზოვოთ მათ.

მაგრამ აქ საჭიროა პატარა შენიშვნა.

ყველას ეცოდინება, რომ ელექტრონის ნა-
 კადს ბევრნაირი თვისება აქვს. სხვათა შორის

მას შეუძლიან ლითონის მაგთული გააკარვა-
 რის; მას შეუძლიან ნაპერწკალი გაჩინოს.
 ორსავე შემთხვევაში ჩვენ გვეძლევა სინათლე.
 ამ თავითვე ვთხოვთ მკითხველს ყურადღება
 მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ეს ერთობა
 არ არის ჩვენი საუბარის საგანი. ეს მოფლენა
 მხოლოდ იმის მხვეწებულეა, რომ ბუნებაში
 არსებულ ენერჯიის სხვა და სხვა დარგთა
 შორის შეტად მჭიდრო კავშირია; რომ ერთი
 დარგი ენერჯიის გარდაქმნების შეორე დარ-
 გად. ამ შემთხვევაში ელექტრონული ენერჯია
 გარდაქმნის სითბოდ და შეორე სინათლედ. ეს
 არ არის ჩვენი ყურადღების საგანი.

1.

ჯერ ისევ შევიდმეტე საუკუნეში ჰიუკენს-
 მა გამოსთქვა ის მოსაზრება, რომ სინათლე
 შედგია ე. წ. ეთერის ღვფის მაკვარ-მოძ-
 რაობისა. ეს აზრი არ დადასტურა გამოჩენილმა
 ნიუტონმა და ნცვლად თავისი „გამომდინა-
 რეობის თეორია“ წამოაყენა. ნიუტონის აზ-
 რით სინათლის სხივი წარმოადგებს „მოსინა-
 თო მატერიის“ პაწაწინა ნაწილთა ნიაღვარს.
 ეს ნაწილები ჰმორღებიან მანათობელს სხეულს
 და წარმოუდგენელის სისწრაფით არეს ევი-
 ნებიან. მთელ ორ საუკუნის განმავლობაში გა-
 შმაგებულე ბრძოლა იყო შეცნეირებაში ამ ორ
 თეორიის მომხრეთა შორის. დამარცხებულე
 ბრძოლიდან ნიუტონი გამოვიდა. იუნჯისა და
 ფრენელის შრომათა წყალობით „ღვფის
 თეორია“ საბოლოოდ დამკვიდრდა შეცნეირე-
 ბაში და ამ რიგად შეცნეირულად იქმნა აღსა-
 რებულე ის პრინციპი, რომ სინათლე მოფლე-
 ნა და არა მატერია, რომ იგი იბადება მხო-
 ლოდ მაშინ, როდესაც ერთგვარი სუბსტან-
 ცია—ე. წ. ეთერი*) დელავს, როდესაც მი-
 სი ნაწილები ირევენან.

*) ეთერი წარმოადგენს ჰიპოტეტიურს ნივთიე-
 რებას. განუზომელი სითხე და შეტად დიდი სიმ-

თუ ზემო ნათქვამს კარგად დაუგვირდებით, დავინახავთ, რომ ორსავე თეორიაში ენერჯიის სხეულიდან სხეულამდის მოძრაობაზედ არის დაპირაკი. მხოლოდ განსხვავება მათი იმაში გამოიხატება, რომ ერთიცა და მეორეც ენერჯიის გადაცემის სხვა და სხვა საშუალებების არსებობას ამტკიცებს. ნიუტონის წარმოდგენით ყოველი მანათობელი სხეული ტუვიის მტეორცნელსა ჭკავს, მხოლოდ, რასაკვირველია, იმ განსხვავებით, რომ მის „ტუვიებს“ სიკვდილისა და განადგურების ნაცვლად სინათლე და სითბო სდევს თანა. შედეგი ამ ტუორცნისა დამოკიდებულია იმაზედ, თუ რა გვარია თვით ის სხეული ან მისი ზედა ჰირი, რომელსაც ესხლება ეს ნატეორცნი. ხან უკანა ბრუნდება ეს „ტუვია“ (უაჟტევა სინათლისა), ხან მთელს სხეულს გაატანს, გამსჭვალავს ხოლმე (გამჭვირვალობა), ხან კი შიგვე რჩება. ამ რიგად თვით მატერიას გადააქვს თავის მსვლელობის დროს ენერჯია.

ბუნებაში არსებობს კიდევ მეორე საშუალება ენერჯიის გადაცემისა. ენერჯიის მოძრაობა ერთის სხეულიდან მეორემდის ჰხდება მათ შორის მყოფ არეს საშუალებით. ამ შემთხვევაშია ენერჯიის გადაცემისათვის საჭიროა მატერიის მოძრაობა, მაგრამ მოძრაობა სუფს სხვა გვარი. ამ მოძრაობის დროს მატერიის ნაწილები მხოლოდ ირყევიან ერთს ადგილზედ და მხოლოდ თავის მდგომარეობას (რყევას) გადასცემენ მეზობელ ნაწილს. ამგვარად ნაწილები ერთს ადგილას რჩებიან და მათი მდგომარეობა კი მიმდინარეობს, ვიდრემდის უკანასკნელი ნაწილი სავსებით არ გაიშორებს ჰირველის მოძრაობას. ამას მოსდევს ენერჯიის ერთის სხეულიდან მეორემდის გადასვლა. ამ დებუ-

კვირია მისი უმთავრესი თვისებანი. მთელი სამყარო, ყოველი ფიზიკური სხეული გაყლენთილია ამ ეთერთ. აღამიანის გრძნობას მისი განცდა არ ძალუძს.

ლებს დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებაში და მის ნათელ-საყოფად ერთს უბრალო მაგალითის მოვიყვან. წარმოვიდგინოთ, რომ საჭიროა რამე ტვირთის ერთის ადგილიდან მეორეზედ გადატანა. ვსთქვათ შენობის აგების დროს კალატოზს მუშამ აგური უნდა მიაწოდოს. მუშას შეუძლიან თვითონ ავიდეს კალატოზთან და აგურიც თან აიტანოს. მაგრამ აგურის მიწოდება ამ რიგადაც შეიძლება: დაჯუენთ დედამიწიდან კალატოზამდის მუშების რიგი. ჰირველი მუშა აგურს მეორეს გადასცემს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს და ბოლოს აგური თავის დანიშნულებას მიადწევს. მუშები თავის ადგილიდან არ იძვრიან, მხოლოდ ყოველი მათგანი ჰირველის მოქმედებას იმეორებს და ამას კი შედეგად ტვირთის ადგილიდან ადგილზედ გადატანა მოსდევს.

მასსადამე ენერჯიის მოძრაობის ეს გვარი იმიო დახასიათდება, რომ რამე მიზეზი შეარყევს შუა მდებარე არეს ნაწილს, ეს უკანასკნელი თავის მოქმედებას გადასცემს მეზობელ ნაწილს, დაირდევს არეს სიმშვიდე, ყველა ნაწილები რყევას იწეებენ და ეს ტალღა რყევისა მეორე სხეულამდის მიადწევს. ამ გვარ მოძრაობის შედეგია მაგ. წყლის ზედაპირის დეფუა, ხმაურობა და, როგორც ბოლოს დამტკიცდა, სინათლც.

ამ თუ იმ მეცნიერულ თეორიის დირებულობა ერთგვარ საზომით განიზომება. რაც უფრო ნათლად, მარტივად ჰხსნის და უკავშირებს ერთმანეთს ბუნების მოკლენებს, რაც უფრო მრავალია ამ მოკლენათა რიცხვი, მით მნიშვნელოვანია მეცნიერული თეორია. თუ ამ თვალსაზრისით გავსინჯავთ ორსავე თეორიას, დავინახავთ, რომ „გამომდინარეობის თეორია“ ისე მარტივად ვერა ჰხსნის სინათლის მოკლენებს, როგორც „დეფუის თეორია“. გარდა ამისა არსებობს ბუნებაში რამდენიმე მოკლენა, რომელთა ახსნის საშუალებას ან ოდ-

ნავ, ან სულ არ გვადევს „გამომდინარეობის თეორია“. ესეც არა კმარა. ნამდვილ შეცნიერულ თეორიას წინასწარმეტყველების უნარიც უნდა ჰქონდეს. ამ მხრივაც სუსტი გამოდგანოტონის თეორია. თუმცა ჰიუგენსის თეორია უფრო ღრმა და მწიფობრი იყო, მაგრამ „გამომდინარეობის თეორიას“, მიუხედავად მისი ბუნდოანობისა და სისუსტისა, დიდებულ ნიუტონის ავტორიტეტი უმაგრებდა ზურგსა და ამიტომ იგი თითქმის შეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე იყო გამეფებული მეცნიერულ აზროვნებაში. საბუნდოოდ ამ გამარჯვებას ავტორიტეტისა და დიდი დღე არ აქვს ხალხი. ნიუტონის თეორიასაც ასე დემარტა. „გამომდინარეობის თეორია“ დიდის ხნის განმავლობაში წარმოადგენდა იმ მოჯა-

დოებულს წრეს, რომლითაც გენიოსის ძალა-აზროვნებას შემოფარგლავს ხალხი. ამ წრის გარდგევისათვის საჭირო იყო დიდი ნიჭი და მეცნიერული უნარი. ერთიცა და მეორეც ჰიუგენსსა და მის მიმდევრებს საკმაოდ გააჩნდათ.

1800 წელს ტომას იონგმა ისევე განახლდა კამათი ძველ საკითხის შესახებ და მართლაც ნიჭიერად დაარღვია ძველი თეორია. იგი თავის მსჯელობას ჰიუგენსის დეჟვის თეორიაზედ ამყარებდა. იონგის აზრის გასაკებად საჭიროა დეჟვის სახსრო თვისებათა გათვალისწინება.

3. ქარუმიძე.

(შემდეგი იქნება)

უკანასკნელი მეგობარი

ერთი მუსიკა მესმოდა ქვეყნად, [მხოლოდ ერთი მუსიკა. ის შენი ხმის წკრიალი იყო. შენ შემომწყერ და გამიბედითდა ფსალმუნება.

* *

ოცნების წალკოტში ჩემთვის ორი ნარგიზი ჰყვოდა, [მხოლოდ ორი ის შენი თვალეზი იყვნენ. ნარგიზი. შენ უარ მყავ და აღმესპო ოცვნა ნეტარი.

* *

სასოების ტაძარში ერთი ხატი მყავდა დასვენებული. [ერთად ერთი ხატი. ის შენი სახება იყო. შენ გამიგულისდი და დაცალიერდა ჩემი ტაძარი.

* *

ერთი მეგობარილა დამრჩა ქვეყნად. [უკანასკნელი მეგობარი. ის მარტოობაა. ვაგლახ, იმ პირტუქს ვერსად ვეროდეს ვერ გავექცევი.

დ. თურდოსპირელი.

მიყვარს მთვარე

მიყვარს მთვარე, როცა ცაზედ
ტოკავს, სცურავს ვითა გედი,
ღრუბლებს რისხვით გადაჰყურებს
ვარსკვლავებით შენაჭელი.

მიყვარს მთვარე, როცა მძლავრათ
აპობს ღრუბლებს, ფანტავს წყვილადს,
და ამ რიგათ გზასა იკვლევს
მომავლისკენ, ნათელს, ღიადს.

მიყვარს მთვარე, როცა მალლით
დაკაშკაშებს დაბლა არეს,

და ნათლითა გაბადრული
გულში იკრავს ობოლ მხარეს.

მიყვარს მთვარე, როცა უხვათ
სხივებს ესერის ტურფა იას,
გულს უკოცნის, ელიმება ---
სააშიყო, გულ-მკერდ ღიას.

ამ ხანებში მეც ვნეტარობ
ჩანგს ხელს ვავლებ ობლათ გდებულს,
სიცოცხლის ფრთებს გამოვასხავ
საოცნებოთ აჟღერებულს.

ლ. ძიძიგური.

ჩემი სიბლერა

ზამთარია... ცივა... ჰყინავს... ჩამქვარია ვარდის გული,
ულაღატა ტკბილმა სატრფომ, --- შორს გაუსხლტა გაზაფხული!..
ღარღვრულა ნაზი მდელი, მონარნარე, ღვთაებრივი;
არ ანათებს პირ-მშვენიერს, მობჰყვრიალე დილის სხივი...
შებუთულა ცელქი წყარო, მას ყინული გადაჰკვრია;
არ ამშვენებს მისს ნაპირებს; არც ზამბახი, აღარც ია!..

* *

... შეშფოთდება დედამიწა, გაიმარჯვებს გაზაფხული.
და მოკვდება შორს ზამთარი, ცის კუნძულზედ ჩამარხული. .
გაიღვიძებს თვით ბუნებაც, გაცელქდება დილის ქარი;
აყვავდება მაშინ ვარდიც, დღეს ყინულში ჩამომხმარი...
გაჰკვეთს მაშინ ბორკილებსაც, სამუდამოდ ცელქი წყარო,
და მდელისაც დაუდგება, დრო ძვირფასი, სანეტარო!..
ხოლო, გული ეს საბრალო, --- მწვავე ისრით დაკოდლი, ---
ვერ აღსდგება ვერასოდეს მომკვდარი და უხმოდ-ქმნილი...
მას ვერ არგებს გაზაფხული, ვერც ვარდი და ველარც მდელი.
გულსა ველარ მოელზინოს ყვავილების სადღეგრძელო!..

გ. ლეონიძე.

გოლგოთა

შავი, ღუმლის ზეწარი გადაჰკვრია გოლგოთას!..

ჩუხჩუხებს ნაკადი ცრემლთა—და ზვირთებს აგორებს სევდის ზღვა, ზღვა, ბურუსოვანი...

სდუმან საფლავის ლოდნი...

ველი ცხოვრების აღქრებს მოუცავს...

მყუდროების სამოსელი ჩაუცვამს ტყეს, სავანეს მწუხრისას, სადაც ისვენებენ შეყვარებულთა სულები ბინდის ჟამს...

სადაც თეთრი გედი სიზმრებს ეძლევა, ნელი ზეფირი ცხოვრების მწარ, დაუსრულებელ ზღაპარს უთხრობს...

ფოთოლთ შრიალი-კი უგალობს მარადისობის ნანას. საუკუნეებმა გამოსქედეს უტყვი ფიქრი, მათვე შეჰქმნეს ბუმბერაზი მთა იმედებისა... კოშკი სიყვარულისა...

ადამიანის ცრემლებმა შეჰქმნა გოლგოთა.

უკვდავი ღამე სდარაჯობს მას. დროთა ბრუნვა უცნობ ფიქრებს ჰხურავს.

შავი, შავი კუნაპეტივით ღამე იყო მაშინ...

აწამეს იგი... ჯვარს აცვეს ღიალი აზრი მომავალისა.

წყველიაღმა შთანთქა მთელი სამყარო.

ზარნაშო გულსაკლავად გაჰკივის ღამის იღუმალობაში. ცეცხლის ეტლით მოჰქრის სიკვდილის დემონი.

ო!.. რა მწარეა ეს ფიალა ღამისა...

მეშინიან ამგვარ ღამისა... ვთრთი... ვკანკალებ ისე, ვით ვერხვის ფოთოლი პირველ შეხების დროს.

ოცნების სიომ მგლოვარ მთა-ბარს გადაურბინა, თრთოლვით ესტუმრა შავ სამარეს და გადაჰკოცნა...

... ადამის ძე სტიროდა...

ქვითინებდა.

ის სტიროდა დაკარგულ იმედს, ცხოვრების ვარსკვლავს სხვა გზით მიმავალს...

* * *

თენდება.

ტუჩები კოცნას ეძებენ.

ღილის მგოსანი კაეშნიანად ჰგალობს სევდიან ჰანგებს. ტბაზე დაუხრიათ დაღალბები ტირიფებს და როგორც მიჯნური მიმკრიალებული ჰკოცნის ლიკლიკა ზვირთებს.

— ვიშ რა კარგია ეს განთიადი...

რა სიამით მევესება გული...

... ღილის ცისკარმა სალამი სტყორცნა ბნელსა სამარეს...

შეინძრა ლოდი.

ოქროს სხივები ციურ მნათობმა დიად საფლავს ზედ დააკვესა.

შეინძრა ლოდი...

აღსდგა მკვდრეთით ქეშმარიტება, სიყვარული და სათნოება...

ჩაჰქრა, ჩაჰქოლდა ჯოჯოხეთი და აღსდგა იგი, ვისაც შავი სამარე მიანიჭეს და ვერ გაიგეს მისი ღიალი მცნება.

— და სოფელმა იგი ვერ იცნო!..

აღსდგა მკვდრეთით უკვდავების ტაძარი...

ისიც, ისიც აღსდგება...

რისკენაც მიიღტვის ტანჯული კაცობრიობა, აღსდგება პირველი სიყვარული. უმანკო ლტოლვილება და თავისუფლება...

* * *

ეს ხომ დაწყველილი ხეა...

ხე ბოროტების...

აი, ამ ხეზედ ჩამოიხრჩო იუდამ თავი...

ის თრთოდა... მას ეწინოდა თავის აწრდილისაც კი...

ეს მოხდა იმ შავ-ბნელ ღამეს..

მაგრამ ეს კვნესა... ეს რაღა არის, რათ მოისმის კვლავად...

ჰო, ვიცნობ ამ ხმას, ამ სულის ქვითინს...

ეს ხმა არის, ხმა ჩაგრულთ ბანაკიდან...

— ოხ! ბოროტებავ, ბოროტებავ!..

* * *

და სტიროდა მაგდალინელი...

სტიროდა დიდებულ მოძღვარს დაკარგულს... ცრემლით ნამავდა ცივ სამარის ქვას. ეძიებდა მას... ეძიებდა!..

„აპატრე, უფალო, რამეთუ არ იციან რასა იქმან“ — აღმოხთა მას... ეს

სიმბოლოა ამაყი სულის სიღიადისა და ღმობიერებისა.

გოლგოთა კი კვლავად მღუმარებდა. ცრემლის ზღვა შეჰქმნა და წარმოშვა დედამიწაზე...

აღიმართა კოშკი შავ ფიქრებისა. კაე-შანისა.

საუკუნეებმა ხავსი ვერ მოჰკიდეს მას. დრომ წარმოშვა შავი ცრემლი...

აზრი დიადი აღმოცენდა ქვეყნის ზღვა გულში. და აღსდგა იგი... აღსდგა იგი ქეშმარიტება... აღამიანმა ისმინა იგი და ამბორი ჰყო პირველ ვარსკვლავს, მერცხლად გადიქცა...

ღამე... ღამე იყო მაშინ...

შავი ზეწარი წამოეხურა მაღალ მოას... მღუმარეთ დასცქერის საფლავის ლოდს... მღუმარეთ.

მაგრამ შეინძრა ლოდი და პირველი საიმედო სხივი გასრიალდა ქვეყნის ზღვა-გულზე...

— ვიშ რა კარგია გაზაფხული... რა კარგია ეს ღღე... მეც მინდა გავიხარო, მაგრამ შემოდგომაა, შემოდგომა ჩემს არსებაში ჩასახული... გაიძარცვა... ფოთლები სცვივიან, სცვივიან...

გარეთ კი გაზაფხულია...

ვიშ!.. გაზაფხული.

ს. ტაიფუნი.



მ ვ უ ხ რ ი

ცაზედ გაჰქრა სხივი მზისა,
 მზის წიაღზე აწყვეტილი.
 ტბის გულ-მკერდზე ხტუნაობით
 ათამაშდა ცვართა რაჟილი.

შეჰკრთა არე ღიმ-მჩინარი
 ცაზედ ბინდი ახმაურდა...
 შორს გაჰყვივის მთის არწივი
 მზეს სინათლე ისევ ჰსურდა!..
 ცის დიანა, ცის ქალწული
 ცით დაეშო... მიწად ჰკრთება,

და ნაფანტი მისი ბინდი
 ცოდვილ მიწას ეფინება...

ჩემს ტაძარში ჰფრინავს სული,
 სამსხვერპლოზე ალი ჰქრება,
 მზეც შეჰსცურდა... და ოცნებაც
 ამაყ ქურუმს მესალმება...

მე ვსაუბრობ მუზის ღმერთთან
 ცეცხლით ჰკვდება ჩემი წყლოლი.
 შორს მეძახის სიზმრის მეფე
 და იქითკენ ჰფრინავს სული!..

გ. ლეონიძე.

შენი თვალები

შენი თვალები!..

იგინი მაგონებენ ტბას გრძნებით მოვლენ-
 მავს... შიგ ზურმუხტ ლალ-გიშრის მსგავ-
 სად ციმციმებენ ეშხის ჭავლები.

წარბ-წამწამთა დასი ლერწმის ტყესა-
 ვით გარს შემოჰტყუია... მეშვიდე ცად
 სფეროსის სიმფონია ისეთი მზიბლავი არაა,
 როგორც მათი ნაზი შრიალი.

პლატონის მშვენიერების ზღვა ისე არ
 აჯადოებს, ისე არ იტაცებს ოცნებას,
 როგორც შენი თვალები.

შენი თვალები ტბაა ტრფობის, ტბაა
 სიეშხის... შენს თვალებში ვსჭვრეტ ჩემი
 ცხოვრების გარიჟრაჟსა... შენს თვალებში
 ღაღღასავით დასრიალებენ ჩემი ცხოვრე-
 ბის ჩიტუნიები.

ახ, რომ იაზობდე ჩემს მენავეობას -
 სპეროზის სიამაყით აღივსებოდი...


ახ, შენს ზვირთებში რომ შემეუსრული-
 ყო ჩემი ნავი, პირ-მოლიმარი დავილუბე-
 ბოდი...

რა მანაღვლებდა?..

მშვენიერების ფსკერში სამარადისო საფ-
 ლავს ვჰპოვებდი... ჩემს მკერდზე განუ-
 წყვეტლივ იმჩქეფრებდა ტრფობის ტბის
 ზვირთი...

შენი თვალები ტბაა გრძნების, ტბაა
 სიეშხის... სულის დგმაო, სულის დგმაო,
 სულის დგმაო, შენი თვალები!.. შენი
 თვალები!..

დ. თურდოსპირელი.



გაზაფხულის დილის ცრემლი

(ეტიუდი)

გაზაფხულის დილაა.

ვიშ, რა მშვენიერია ბუნება! როგორ ჰხარობს იგი! ფრინველთ გააქვთ ჭიკ-ჭიკ-ყრიაშული; ყვავილნიც გადაფურჩქნილან. დილის ნამი მათ გულმკერდზედ ციალებს, ნორჩი ბალახი დილის სიოზე საამურად ბიბინებს.

პატარა, კოხტა ქვითკირის სახლი მხიარულად გამოაჰყურებს გაზაფხულის დილას, გაზაფხულის დილითვე დამშვენებული.

მაიამ, გამოალო კარი თავის სახლისა და გადმოხედა ბაღს.

„ვიშ რა მშვენიერი დილაა!“ — წამოიძახა სიხარულით აღგზნებულმა მაიამ და მხიარული ცქრიალით გამოირბინა ბაღში. ჩაუქროლა მორცხვ გულდია ვარდს და თავის გულმკერდს შეადარა მისი ალის ფერი ფურცელთა კონა.

ხარობდა დილა, ხარობდა მაიაც, ისიც ისეთივე ნორჩი იყო ვით, ვარდი, რომელიც მორცხვად ჰხრიდა ახლად გადაშლილ ალისფერ მკერდს და ცდილობდა დაემალა ფოთოლთ სამოსელში. ხარობდა მაია; ხარობდა, თვითონაც ხომ ესეთივე სიცოცხლით სავსე იყო ვით ეს დილა, თვითონაც ხომ ესეთივე ნორჩი და სრულიად ახალგაზრდა იყო, ვით ეს ჭმუნვის გამქარვებელი დილა.

მაია შედგა, რაღაც მოაგონდა, შედრკა, დაფიქრდა და შემდეგ ისევე ცელქი ცოგლივით გაცქრიალდა ბაღის მეორე ბოლოსკენ და შეჩერდა ბებერ კაკალ ქვეშ.

მართლა, დღეს ხომ უნდა პავლე მოსულიყო, პირობა მისცა, კაკალ ქვეშ ვიქნებო. იქნებ მისთვის არის ასე მხიარულად? სწორედ, სწორედ დღეს უნდა მოსულიყო პავლე, მისი სულდგმა პავლე.

პავლე იყო ახალგაზრდა განათლებული თუში, რომელიც ასე ძალიან დაუმეგობრდა მაიას. იგი თუში იყო და მაიაც მით ამაყობდა; ამაყი, ამაყი მთების შვილია, დიადია ვით იგი მთანი და მეც, მეც მისი გულის მეგობარი ვარო, ჰფიქრობდა მაია. ჯერ აი, ორი კვირა არცკი იქნებოდა, რაც პავლე მას დაუმეგობრდა და მაიას გულში უკვე მოესწრო სიყვარულის გრძობას დაბუდებ-დასადგურება. ეხლა მას მისთვის ტანჯვა სიცოცხლის სიტკბოება ეგონა, მისთვის სიკვდილი სიცოცხლედ მიაჩნდა.

ამ ფიქრებში იყო მაია, რომ ბაღის კარებში შემოვიდა და მიუახლოვდა მას, წარმოსადეგი ახალგაზრდა, ახლად წვერულვამ აშლილი.

მაია დაფიქრებულიყო. ვერა ხედავდა თავის პავლეს: იგი გაეტაცა ღრმა ფიქრებს, გულ-მკერდი მისი ადიოდ-ჩადიოდა, წრფელად ჰფეთქავდა. დიდხანს უცქირა პავლემ, ველარ გაუძლო სიჩუმეს და სიყვარულით აღგზნებულმა შესძახა: „მაია ჩემო ღვთაებაო“, და მიაჩქარა მისკენ.

მაია შეკრთა, სახე აელეწა, თვალგება სიხარულისგან ციალი უწყეს, მიეგება თავის პავლეს და ვით შემკრთალი შველი მის ფართე მკერდს მიეყრდნო.

— პავლე, ჩემო პავლე, ჩემი ხარ სამუ-

დაძმობ, ჩემი ხარ პავლე, სიცოცხლე და ტკბილი ბედნიერება—სიყვარულით ჩასჩურჩულდება პავლეს ყურში.

— ერთმანეთისა ვართ სამუდამოთ, ერთმანეთის—აძლევედა პასუხს თავის მხრით პავლე.

დიდხანს იყვნენ ასე გადახვეულნი, ჯერ სულს ვერც ერთი ვერ იბრუნებდა. ორთავე ერთსა და იმავე გრძობას გაეტაცა, ორთავეს ერთი და იგივე ცეცხლის ალი სწავდა, ცეცხლი მწვავე და ტკბილი სიყვარულისა, ორთავე ერთ არსებათ გადაექცია ამ გრძობის ცეცხლს, ერთისა და იმავე მისწრაფებით ლა იყვნენ აღგზნებულნი.

იბაასეს დიდხანს კაკლის ქვეშ, ბუნებაც მათ დაჰხაროდა, ბუნებაც ჩართულიყო ამ ორის ბედნიერებაში; აგერ ბულბული შორით უმღერს სიყვარულის ჰანგებს, აგერ პეპელა თავს დაჰფარფატებს და ვითა ფერია თავსა ევლება.

— როდის, როდის ვიქნებით სამუდამოთ ერთმანეთისა.

— მალე ჩემო ტრფიალო, მალე ჩემო ღვთაებავ.

— ოხ! რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი, — ჩურჩულდება მაია.

— როგორც იცი ჩემო ღვთაება მაია. — დაიწყო საქმეზე ლაპარაკი პავლემ, — მე დღეს მივდივარ მთებში, თუშეთში, უნდა უთხრა სახლში, რომ ცოლს ვირთავ, ავიღებ შინიღვან ნებას, ე. ი. თუშებისგან და მერე ჩემი იქნები, ჩემო ოცნებავ, — და აღგზნებული სიყვარულით დაეკონა მაიას გაელვარებულ ტუჩებს. ეხლა კი ეძნელებოდა წასვლა, ეძნელებოდა მაიას თავის დანებება, მაიაც ეკროდა მის მკერდს.

პავლე გამოირკვა, გადაჰკოცნა, ჩაატკბერდა წრფელ თვალებში და მტკიცე ნაბიჯით გასწია კარისკენ.

მაიამ დაინახა, როგორ გავიდა კარს

პავლე, გული თითქოს ჩასწყდა, რაღაც იგრძნო, მაგრამ მალე გადიქარვა და სიხარულით აღგზნებულმა და ბედნიერმა ხოტბით წარმოსთქვა: „რა ბედნიერი ვარო“, და გამოცქვრილა და სახლისკენ.

ვარდი თანაგრძობის ნიშნად თავს უქნევდა, ზამბახ იაც უცინოდნენ, ყველა თავისავით ბედნიერი ეგონა, ყველგან მხოლოდ სილამაზე სიმშვენიერეს ხედავდა. კარებში მოხუცი დედა შეხვდა. მაიამ გაუღიმა, აკოცა ნაოჭიან შუბლზე და ჩადახა ყურში: „რა ბედნიერი ვარ დედი, რა ბედნიერი“ — ო და შეცქვრილა ღია კარებში.

მშვენიერი წყნარი საღამოა, გრილ სიოს გამოჰღვიძებია და მხიარულ ტკბილ სისინით დანავარდობს არე მიდამოზე; მის ფრთებზე ვერხვის ფოთოლნი თრთიან.

დაფიქრებული მაია ზის სახლის აივანზედ, გადაჰყურებს მწვანეთ აქუჩურებულ მთებს. იგი წაუღია ღრმა ფიქრებს. გიშრის თმა ჩამოშლია და შემოჰხვევია მის ბროლის ყელს, გული წყნარად უცემს, ხელნი გულს დაუკრეფია და გაჰყურებს მთებს. ვინ იცის სად დაჰფრინავს მისი გონება, ვინ იცის რა ფიქრები უტრიალებენ თავში.

კარებიდგან გამოვიდა დედა და რა იხილა დაფიქრებული შვილი, არ უნდოდა ხელი შეეშალა, მაგრამ დახედა წერილს, რომელიც ეხლა ამოუტანეს და გამოეხმაურა.

— შვილო, წერილია, ეხლა ამოიტანეს „ფოშტიდან“.

მაიამ გამოართვა წერილი, გახსნა საჩქაროდ და გადაათვალიერა, მაგრამ აი რა ეწერა პირველ სტრიქონებში.

მაიავ, ჩემო ღვთაებავ, სულის დგმავ მაია!

რომ იცოდე რა სულიერ ტანჯვას გან-
 კიდე, რომ იცოდე როგორ ვიტანჯვი,
 არ ვიცი რა რიგ შეგატყობინო, მაგრამ
 ზათ გტანჯო ლოდინით, აი რა პასუხი
 ჰომცეს, „თუშმა ბარის ქალი არ უნდა
 შეირთოსო“...

— ვაიმე დედავ, — წამოიღულღულა მა-
 იამ და გულ-შემოყრილი მიესვენა სკამის
 ზურგს.

გაზაფხულის დილაა.

აი ეხლა სულ სხვა გაზაფხულის დილაა.

ჩიტებს ისეთივე ჟივილ-ხივილი გააქვთ
 როგორც ამ წინა გაზაფხულზედ. ფრთებ-
 ში გამოსწორებული პეპელანი დასციგლი-
 გებენ ყვავილთ. ყველასა ჰღვიძავს, ყველა
 ჰხარობს, მაგრამ მაია, მაია აღარ ეგებე-
 ბა იმ სიხარულით ამ გაზაფხულის დილას.
 აღარ გაიღო მისი ოთახის კარი ისე სწრა-
 ფად; იგი ფერ მკრთალი ზეზეა, მაგრამ
 ბალში გამოსვლას ვერ, ვერა ჰბედავს, წა-
 დილი აქვს, მაგრამ ძალა არ შესწევს...

ბოლოს ვერ გასძლო ოთახში და გა-
 მოვიდა ბალში, გამოვიდა ფერ მკრთალი,
 ღონე მიხდილი, თვალეზ ჩაცვივნილი.

ნუ თუ ეხლაც ის მაიაა, ის მაია, რომე-
 ლიც ამ ადრეულ გაზაფხულზედ სიცოც-
 ხლით სავსე იყო? დიახ, დიახ ის მაია, იმ
 შემთხვევამ მიიყვანა ამ დღემდე.

დაჯდა სკამზედ, დაჯდა და სინანულის
 თვალით მიაღწა-მოაგლო აყვავებული ბუ-
 ნება, თითქოს ენანებოდა განვლილი

დღენი სიხარულისა, დღენი მხიარულ სი-
 ცოცხლისა, განვლილი უმწიკვლო ტკიბ-
 ლი ოცნებანი, ენანებოდა, ენანებოდა
 წმიდა გულით.

ავერ ის კაკალი, ავერ ვარდი, ოხ რა
 ტკიბლ ოცნებას უყენებდა თვალწინ ყვე-
 ლა ეს, მაგრამ რა, არა სასიხარულო და-
 სკვნა იყო ამ მოგონებისა.

დაინახა ყველაფერი და თვალწინ წარ-
 მოუდგა ის ტკიბილი წუთი, როდესაც იმ
 კაკლის ქვეშ ჰავლეს მკერდს ეყრდნობო-
 და და როდესაც მის თვალეზში ტკიბლ
 სიყვარულის ჰანგებს ჰკითხულობდა, დიახ,
 ტკიბილი იყო ის წუთები, მაგრამ „მიყვარ-
 ხარ მაია, მაგრამ ნებას არ იძლევიან,
 თუშმა ბარის ქალი არ უნდა შეირთოსო“
 ესეც ნათლად წარმოუდგა თვალწინ.

მოაგონდა ყოველივე, მოაგონდა და
 ცრემლებმა დაპალუპით დაუწყეს დენა
 მკრთალ ლოყებზედ. სდიოდა ცრემლი,
 მაგრამ სპეტაკი უმწიკვლო, ისეთი, ვით
 ცრემლი გაზაფხულის ზამზახისა.

„თუშმა არ უნდა შეირთოს ბარის ქა-
 ლიო“ გაუეღვა კიდევ და ცრემლი მძიმე,
 ცრემლი დამარხულ ბედნიერებისა დაეკი-
 და მკრთალ ლოყაზედ...

ბუნება კი, ბუნება ჰხარობდა, ბუნება
 ჰყვოდა, შეჰხაროდა გაზაფხულის დილას.

ყველა ჰხარობდა დილას, მაგრამ მაია
 კი ამ დილას სიხარულისას, უყურებდა
 უმწიკვლო ცრემლებით...

ნ. კეცხოველი.




სახალხო განათლების მოღვაწენი

1

გიგო შარაშიძე

გიგო (გიორგი) დავითის ძე შარაშიძე დაიბადა სოფ. საყვავის ტყეში (აღმოსავ-



გიგო შარაშიძე.

ლეთ გურიაში) 1848 წელს. ქართული წერა-კითხვა მან შინ ისწავლა. 12 წლის გიგო ქუთაისს წაიყვანა იაკობ მარმა, ცნობილ აკადემიკოსის ნიკოლოზ მარის მამამ, რომელსაც იჯარით აღებული ჰქონდა ახლანდელი სამეურნეო სასწავლებლის ბაღი („ფერმა“) — იქ გიგომ რუსული წერა-კითხვაც შეისწავლა და აღეძრა განათლების სურვილი. ქუთაისში მან სულ

6—7 თვე დაჰყო. შემდეგ ის მიაბარეს ოზურგეთის საეროზო სასწავლებელში. ის იყო სასწავლებელი უნდა გაეთავებინა, რომ გიგო სახადით მძიმე ავად გახდა და იძულებული შეიქნა სწავლა შეეწყვიტა.

სოფლის მასწავლებლობა გიგომ დაიწყო სოფ. ძიმიტში (გურიაში) 1869 წ. ძიმიტის სკოლაში მასწავლებლობის დროს მან გაიცნო ვანსვენებული პ. უმიკაშვილი, რომელიც ესტუმრა იქაურ მკვიდრს, ქართველ პირველ მესტამბეს, ექვთიმე ხელაძეს. პეტრე ძალიან დააინტერესა ახალგაზდა მასწავლებლის სკოლამ, დაუახლოვდა გიგოს და არც თფილისს წასვლის შემდეგ შეუწყვეტია მასთან კავშირი. იგი უგზავნიდა გიგოს თბილისიდან გაზეთებს, ქართულ წიგნებს და თანამშრომლადაც გაიხიდა თავისი „სასოფლო გაზეთისა“.

1871 წელს ქუთაისში დაარსდა სახალხო სკოლების დირექცია და დირექტორათ დანიშნულ იქმნა ვ. ნ. ტროიე, რომელსაც ძალიან მოეწონა გიგოს მოწაფეები და განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრო მას. ტროიეს დიდი გავლენა ჰქონდა მასწავლებლებზე. მაშინდელი დირექცია, რომელიც არაფრით არა ჰგავდა ახლანდელ ბიუროკრატიულ დირექციებს, ნამდვილი სკოლა იყო მასწავლებელთათვის. ტროიემ გიგო სხვებზე უფრო დაიახლოვა. აწვდიდა მას პედაგოგიურ შინაარსის წიგნებს, ხშირად ნახულობდა მის სკოლას, დიდხანს რჩებოდა მასთან, ამხნე-

ვებდა და ხელმძღვანელობას უწევდა სწავლების საქმეში.

ტროიემ გააცნო გიგო თავის ყოფილ მოწაფეს; ოზურგეთის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებელს იოსებ თაყაიშვილს, რომლის დახმარებით რამდენისამე წლის განმავლობაში მეცადინეობდა გიგო საზოგადო განვითარებისა და პედაგოგიურ ცოდნის შესაძენათ.

ღირექტორი ტროიე ყოველ წელიწადს მართავდა მასწავლებელთა კრებებს, სადაც სოფლის მასწავლებლები ეცნობოდნენ სხვა და სხვა საგნის მეთოდს, აძლევენ სანიმუშო გაკვეთილებს და შემდეგ არჩევენ მათ. გიგო ამ კრებებზე მხურვალე მონაწილეობას იღებდა. დღესაც ბევრს ახსოვს მის მიერ იმ დროს მიცემული სამაგალითო გაკვეთილები.

ძიმიტის სკოლაში გიგომ ხუთ წელს იმასწავლებლა. 1874 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა თავის სამშობლო სოფელში, ბახვიში, თავის ხარჯით გახსნა სკოლა, რომლის მასწავლებლათ ტროიეს რჩევით მიიწვია გ. შარაშიძე. სრული ოცდათორმეტი წელიწადი იმასწავლებლა გიგომ ამ სოფელში და დაუფასებელი სამსახური გაუწია როგორც სკოლას, ისე მთელ სოფელსაც. სანამ მეუღლენი გიგო და ნინო შარაშიძეები მასწავლებლობდნენ, ბახვის სკოლის საქმე საუცხოოთ მიდიოდა. ეს სკოლა საუკეთესოთ ითვლებოდა მთელ გურიაში. 1875 წლის გაზვთ „დროება“-ში ვკითხულობთ: „ეს სკოლა ითვლება საუკეთესო სასწავლებლათ ყველა სოფლის და, მე მგონია, სამაზრო სკოლებშიაც. შენობა ორ სართულიანია და იტევს 138 მოწაფეს ერთ გონიერ მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რომელიც ახალი მეთოდის საშუალებით ასწავლის“...

ამ სკოლაში სამსახურის დროს გიგოს და მის მეუღლეს ბევრი უსიამოვნება შეხვედრიათ თავის პირდაპირ უფროსებთან სწავლების ასე თუ ისე დაყენებისათვის. გამწვავებული ბრძოლა ჰქონდათ მათ ქუთ. გუბ. სახალხო სკოლების მაშინდელ ღირექტორთან, ცნობილი მუნჯური მეთოდის ავტორთან, ლევიცკისთან. გიგო და ნინო მუნჯური მეთოდით სწავლების წინააღმდეგი იყვნენ და ლევიცკის წიგნის მაგიერ ხმარობდნენ იაკობ გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო“-ს და უშინსკის „დეტსკი მირ“-ს, ამ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილება მოსდიოდათ მასწავლებლებს ფ. ლევიცკისთან. ეს უცნაური პედაგოგი ისე დაბრმავებული იყო თავის მეთოდით, რომ ფიქრობდა, იმ სკოლაში რუსულის წარმატებით სწავლება შეუძლებელია, სადაც ჩემი მეთოდი და წიგნი არ იხმარებო. იმ დროს ბახვის სკოლა იმდენათ მრავალრიცხოვანი და თან დაწინაურებული სკოლა იყო გურიაში, რომ მზრუნველი და მისი თანაშემწენიც ინტერესით ადევნებდნენ თვალს ამ სკოლის მდგომარეობას. როცა ლევიცკიმ მოინდომა ჩაეგონებია მზრუნველი, რომ ბახვის სკოლაში რუსული ენა ცუდათაა დაყენებული და თან სწავლების საქმეც უკან იწვესო, მზრუნველმა (იანოვსკიმ) ამ სკოლის სარევიზიოთ გამოგზავნა თავისი თანაშემწე ზავადსკი. ზავადსკი დაწვრილებით გაეცნო სკოლას. გამოსცადა ყველა განყოფილების ბავშვები საანბანო კლასიდან დაწყებული უკანასკნელ, მეხუთე განყოფილებამდე. რევიზიის დროს მას თან ახლდა ლევიცკიც, რომელსაც თავი მოჰქონდა ქართულის ცოდნით. საანბანო კლასში რევიზორმა ლევიცკის სთხოვა ბავშვების გამოცდა. დაიწყო ლევიცკიმ გამოცდა, მაგრამ ბავშვებს ვერაფერი გააგებია. მაშინ მასწავ-

ლებელმა სთხოვა ზავადსკის, ჩემს მოსწავლეებს მე გამოვცდი, ღირექტორმა კი მოისმინოს და გამოცდის შედეგი მოგახსენოს. ზავადსკი მაშინვე მიხვდა, თუ როგორი ქართულის მცოდნე ბძანდებოდა ლევიცი და ირონიით უთხრა: „ფილიპე ზაქარიას ძე, სწორეთ ასე აჯობესო“.

რამდენსამე საათს დაჰყო ზავადსკიმ სკოლაში და ძალიან კარგი შთაბეჭდილება გამოიტანა. წასვლისას თან წაიღო გიგოს მოსწავლეების რამდენიმე რვეული, რომელიც ძლიერ მოეწონა როგორც შინაარსიანი ნამუშავრით, ისე სისუფთავით. ამ რვეუზიის შემდეგ გადარჩნენ ბახვის სკოლის მასწავლებლები ლევიციის მიერ დევნას.

ეპისკოპოსი გაბრიელის ხარჯით სკოლამ შეიძინა საკუთარი მამული, სადაც გიგომ მშვენიერი ბალი გააშენა და დაარსა სამაგალითო საფუტკრე ახალი სისტემის სკებით. მეფუტკრეობა მან სკოლაშიაც შემოიღო და ბავშვებს ასწავლიდა თეორიულად და პრაქტიკულად.

გიგოს ამ დარგებში მუშაობას მალე მიაქციეს ყურადღება და მისი შუამდგომლობით ბახვის სასწავლებელთან გახსნეს სამეურნეო განყოფილება.

ბახვის სასწავლებელს ბევრ გამოფენაში მიუღია მონაწილეობა და ყველგან ქების ფურცლებით, დიპლომებით და მედლებით აჯილდოებდნენ მას.

გიგოს გაბრიელის დიდი ნდობა ჰქონდა დამსახურებული. სოფ. ბახვში გაბრიელმა გახსნა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, რომლის ორგანიზაცია და საქმის გაძღოლა გიგოს დააკისრა. ამხანაგობის საქმე გიგომ ჩინებულად დააყენა და 18 წელიწადს ემსახურა მას სრულიად უსასყიდლოთ.

სკოლასთან არსებობდა მეტეოროლო-

გიური სადგური, რომლის მეთვალყურეთ გიგო იყო. ამ მოღვაწეობისათვის პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის კონფერენციამ გიგო „ნიკოლოზის მთავარი ფიზიკური ობსერვატორიის“ კორესპონდენტათ დაამტკიცა.

თავის მეუღლესთან ერთად გიგოს დიდი სამსახური მიუძღვის ხალხში რაციონალური მეაბრეშუმეობის გავრცელებაში.

1886 წელს გიგო შარაშიძის თაოსნობით და ხელმძღვანელობით ბახვის საზოგადოება შეუდგა მდინარე ნატანებიდან სარწყავი არხის გამოყვანას. გიგოს შუამდგომლობით გაბრიელმა ამ საქმისთვის 700 მანეთი შესწირა. საქმე ჩინებულათ დაბოლოვდა და ბახვის მწირი ადგილები მოირწყა და განოყიერდა.

გიგოს ზრუნვა მოწაფეებზე მარტო სასწავლებლის კედლებით არ ისაზღვრებოდა. ბახვის სკოლაში სწავლა-დამთავრებულ ნიჭიერ მოწაფეებს გზას უკვლევდა, ხშირად თვითონვე ამზადებდა უსასყიდლოთ და სწავლის გაგრძობაში შველოდა.

საყურადღებოა აგრეთვე გიგო შარაშიძის ლიტერატურული მოღვაწეობა. მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალ „Кавк. Сельское Хоз.“-ში და „მეურნეში“. უმეტეს ნაწილად სოფლის სამეურნეო ჭირ-ვარამზე სწერდა, აგრეთვე მეფუტკრეობის დარგიდან. თანამშრომლობდა „Вѣстникъ кавк. шелков. станціи“ და სხვებში. გარდა ამისა გიგო სთარგმნიდა და აბეჭდვინებდა ჰოპულარულ სამეცნიერო წიგნაკებს.

სოფელში სამსახურის დროს რამდენადაც ცოდნა და გამოცდილება შესწევდა, გიგო სააქიმო დახმარებასაც აძლევდა გლეხებს. ერთხელ ცოფიანმა მგელმა სამი კაცი საშიშრათ დაკბინა. მაშინ ცოფის აცრის შესახებ ჩვენში არაფერი იცოდნენ.

გიგოს თაოსნობით დაკბენილები ადესაში ვაგზავნეს და სამივე იქ მოარჩინეს. ხშირად მომხდარა, რომ გადამდები სნეულეებით მიცვალებული, ზოგიერთი გამბედავი გლეხის დახმარებით, გიგოს დაუმარხავს უმღვდლოთ, რომელსაც დასწრება ვერ გაუბედავს. როცა სოფელში რამე გადამდები ავადმყოფობა გაჩნდებოდა, გიგოს მიმართავდნენ, ავადმყოფი მინახეო.

1905 წელს ერთი წელიწადი იმსახურა მასწავლებლად ახალციხის სამოქალაქო სასწავლებელთან არსებულ „დამატებითი კლასებში“, შემდეგ მის მეუღლესთან ერთად მასწავლებლობდა ქიათურის საქალო სასწავლებელში 1911 წლამდე. სულ მასწავლებლობდა 41 წელიწადი.

ამდენი ხნის მოჭირნახულეს, ჩნ წლის მოხუცს, დღესაც არ გაუგდია ხელიდან კალამი. იგი დღესაც ერთგულად თანამშრომლობს მისი ძმის, ალექსანდრე შარაშიძის, რედაქტორობით არსებულ „სასოფლო გაზეთში“.

ამ საპატიო პირთ ჰყავთ ოთხი შვილი: ორი ვაჟი და ორი ქალი, რომელთაც ეტყობათ კიდევ წერის უნარი და საზოგადო საქმისადმი გულშემატკივრობა. უექველია, ესენიც თავის წვლილს შეიტანენ ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში და იქნებიან სასარგებლო წევრნი საზოგადოებისა.

ნარინი.

საჭიროა მასწავლებელთა კავშირების დაარსება

მასწავლებელთა კავშირების აუცილებელი საჭიროება და მათი დიადი მნიშვნელობა სკოლის განახლების საქმეში დღეს ყველასათვის ცხადზედ უცხადესია: მასწავლებელთა ნივთიერი, სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, სკოლის ორგანიზაციის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, სკოლაში ცხოველყოფილი სულის შთაბერვა და სხვა... მხოლოდ მასწავლებელთა კავშირებს შეუძლია; არსებული სკოლის დეფექტების მოპოება, სკოლის ირგვლივ გამეფებული ბოროტების და ყოველ გვარი უსამართლობის წინააღმდეგ გალაშქრება მხოლოდ მასწავლებელთა კოლექტიურ, შეერთებულს ძალას შეუძლია. თუ ეს ძალა დაქსაქსულია, დაფანტულია, თუ მასწავლებელთა სამოქმედოთ არ არის შემუშავებული საერთო გეგმა, რომლის სისრულეში მოყვანას თვალყურს ადევნებს თვით მასწავლებელთა კავშირებისა და ასოცია-

ციების ბიუროები, — მაშინ შეუძლებელია ფიქრი თვით სკოლის განახლებაზე, მის თავისუფალ მოქმედებაზე, მასწავლებელთა ნივთიერი, სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. არამც თუ ისეთს სახელმწიფოში, სადაც ხალხის ბედობის გადამწყვეტი ჯერ კიდევ ბიუროკრატია და მისი წარმომადგენლებია, არამედ კონსტიტუციონალურ, რესპუბლიკანურ სახელმწიფოებშიაც შეუძლებელია სკოლის მიერ თავისი ნამდვილი დანიშნულების აღსრულება და მიზნების განხორციელება; თუ მასწავლებელთა კოლექტიური ძალა არ მოქმედობს, თუ მასწავლებელთა კავშირები, კლუბები, წირებები, და ასოციაციები არ მოქმედობენ... თუ დასავლეთი ევროპის ზოგიერთი თავისუფალი სახელმწიფოების სკოლის ტიპი და მისი ორგანიზაცია ჩვენთვის დღეს მისაბამაგალითს შეადგენს, ეს უნდა მიეწეროს

მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებელთა კავშირების მოქმედებას. დიახ, მასწავლებელი დიდებული ძალაა, თუ მისი მოქმედება საზოგადო ასპარეზზე შეკავშირებულია მასწავლებელთა კოლექტიური ძალის საშუალებით შედგენილს სამოქმედო გეგმასთან, და ამავე დროს უძლეური არსებაა, თუ იგი განკერძოებით მოქმედობს, თუ მისი ეს მოქმედება არაა შეფარებული კავშირის ან სხვა რაიმე ორგანიზაციის მიერ აღსარებულ და დადასტურებულ გეგმასთან... ასეთი მასწავლებელი ძალა უნებურად უვარდება ხელში ბიუროკრატიის წუწკს მოხელეებს და მათი კარნახით იწყებს მოქმედებას: ლალატობს პრინციპს, ენას, მეთოდს, სინიდიხს. მას არ აშინებს არც მასწავლებელთა საზოგადო იერიში. მის წინააღმდეგ, არც სასამართლო, ვინაიდან კარვად იცის, რომ მის მოძმეთა უმრავლესობა იმავე მდგომარეობაშია, იმავე გზაზე სდგას... სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სამოსწავლო მთავრობა ყოველთვის მეცადინობს ხელი შეუშალოს მასწავლებელთა საზოგადოების დაარსებას, რავეარი სახისაც არ უნდა იყოს ეს საზოგადოება, არსებულის დარღვევას კი სკდილობს და სკდილობს ისევე მასწავლებელთა საშუალებით და დახმარებით...

1904 და 1905 წლებში ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირი, რომლის ძალამ თითქმის 1908 წლამდე გასტანა, დღეს აღარ არსებობს, დღეს მისი რიხიანი ხმა აღარ ისმის, დღეს მისი სახსენებელიც აღარ არის. მერე ვინ მოსპო იგი? ისევე მასწავლებლებმა.

1906 წლიდან დირექციის წვრილი მოხელეები შეუდგნენ არსებული კავშირის დარღვევას. ხოლო ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყვნენ შინაური

მტრები. ასეთებიც იპოვნეს და ციხე შიგნიდან გატყდა. დაიქსაქსა მასწავლებელთა ძალები. ამით ისარგებლეს ბიუროკრატიის წვრილმა მოხელეებმა და წინდაწინვე შემუშავებულ სამოქმედო გეგმა სავსებით გაატარეს; მოსპვეს ფაქტიურად 1881 წლის სამოსწავლო გეგმა, შემოადებინეს სკოლებში რუსული ენის სწავლება პირველი განყოფილებიდანვე... როცა პრესაში ჯანგაში ასტეხეს, სამოსწავლო მთავრობამ მერე და უფრო მოხერხებული პოლიტიკა იხმარა, მან დასტოვა თითქო ძალაში 1881 წლის სამოსწავლო გეგმა: ნება დართო პირველი წლის პირველ ნახევარს რუსულს ნუ ასწავლითო და ამავე დროს გამოსცა ყველა სკოლის სახელმძღვანელოთ შედგენილი გაკვეთილების გაწესრიგება, რომლითაც რუსული ენის გაკვეთილების რიცხვი გაორკეცებულია, ხატვა სასწავლო საგნებიდან გამორიცხულია, ქართულს ორჯელ ნაკლები გაკვეთილები აქვს დათმობილი, ვიდრე რუსულს. ამნაირად 1881 წლის გეგმა ფაქტიურად მაინც მოსპობილი დარჩა...

ამ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი პირველ-დაწყებითი სკოლები... და მასწავლებლები, ბედით კმაყოფილი სიჩუმის სუღარაში გახვეულან: საჭიროთ არა სთვლიან ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებაში საზოგადოებრივ აზრს... პენსია, კასსა, ნამსახური წლების ჩათვლა, დირექციისაგან კარგი ატესტაციის მიღება, მისი ყურადღების დამსახურება, — აი რა შეადგენს დღეს მათს ერთად-ერთს საზრუნავსაგანს.

აი სწორეთ დღეს არის საჭირო შეგნებულთა შეკავშირება, რაიმე ლეგალური მასწავლებელთა საზოგადოების დაარსება, რათა შესაძლებელი იქნეს შეკრება, კრებებზე სკოლის საკითხების განხილვა და

გადაჭრა. მხოლოდ კოლექტიურს ძალას შეუძლია ფარდა ახადოს იმ ქვეშ-ქვეშე მოქმედ მასწავლებელთ, რომლებიც მთავრობასაც ატყუილებენ და საზოგადოებასაც... პრესას იმდენი ძალა არა აქვს, რამდენიც მასწავლებელთა კავშირებს, თვით პრესას იმდენი არ შეუძლია, რამდენიც მასწავლებელთა კოლექტიურს, შეერთებულ ძალით მოქმედებას... დიახ საჭიროა კავშირების დაარსება... კავშირები სხვა და სხვა სახელწოდებით... უცოდებლად უნდა დაარსდეს ქუთაისის და თბილისის გუბერნიაში და ბათუმის ოლქში. საქმის ორგანიზაცია უნდა იკისრონ ქალაქის მასწავლებლებმა, შეადგინონ წესდება, აღძრან შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს და წესდების დამტკიცების შემდეგ მოიწოდონ მასწავლებლები წევრებათ პრესის საშუალებით. ამ ჟამად რუსეთში არსებობს გარდა მასწავლებელთა ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოებათა, რომელთა რიცხვი უდრის — თითქმის 80-ს, შემდეგი პედაგოგიური წრეები და საზოგადოებები:

1. პედაგოგიური წრე ქ. ასტრახანში. წესდება დამტკიცებულია 14 ივლ. 1902.
2. ღვინის პედაგოგიური წრე. წესდება დამტკ. 6 ნოემ. 1904 წ.
3. შუისკის პედაგოგიური წრე. წესდება დამტკ. 1902 წ.
4. მალმიჟის პედაგოგიური საზოგადოება.
5. იარანსკის პედაგოგიური წრე. წესდება დამტკ. 17 მაისს 1906 წ.
6. პედაგოგიური წრე ქალ. ეკატერინოვსკაში. წესდება დამტკ. 18 აპრილს 1904 წ.
7. ყაზანის პედაგოგიური წრე (1899 წ.)
8. პედაგოგიური საზოგადოება ყაზანის უნივერსიტეტთან.
9. კიევის პედაგოგიური საზოგადოება

კ. დ. უშინსკის სახელობის (13 თებერ. 1907 წ.).

10. კურსკის პედაგოგიური საზოგადოება. (22 დეკ. 1906 წ.)

11. ნოვგოროდის პედაგოგიური საზოგადოება.

12. კირილოვის (ნოვგ. გუბ.) პედაგოგიური წრე.

13. ქალ. ორიოლის პედაგოგიური საზოგადოება (1902 წ.)

14. კრასნოუფიმიის სამრეწველო სკოლასთან არსებული პედაგოგიური საზოგადოება (1902 წ.)

15. სამარის პედაგოგიური წრე. (27 მაისს 1902 წ.)

16. სიმბირსკის პედაგოგიური წრე. (1902 წ.)

17. კერჩენსკის პედაგოგიური წრე. (1900 წ.)

18. ნოვოტორჟსკის პედაგოგიური წრე (15 იან. 1907 წ.)

19. ტომსკის პედაგოგიური საზოგადოება.

20. მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული პედ. საზოგადოება. (წესდება დამტკიც. 1898 წ. 14 იან. საზოგადოებას უფლება აქვს გახსნას ფულიალური განყოფილებები, რომლებიც მოქმედებენ განსაკუთრებულად შედგენილ ინსტრუქციის ფარგლებში...

ყველა ზემო ჩამოთვლილ საზოგადოებათაგან უფრო მეტი ნაყოფი გამოიღო მოსკოვის საზოგადოებამ, რომელმაც დაარსა ქალთა უმაღლესი სისტემატიური კურსები, აქვს სასკოლო მუზეუმი, მათავს ექსკურსიებს, სოფლის მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსებს და სხვ...

შემდეგ ნომერში მოთავსებული იქნება სანიმუშო, სამაგალითო წესდება, რომლითაც შეუძლიათ იხელმძღვანელონ ინიციატორებს.

გ. ოზჩელი.

სახალხო მასწავლებელს

„ენა არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია,—ის არის თვით სიცოცხლე; როცა ხალხის ენა ჰქრება—ჰქრება ხალხიც. წაართვით ხალხს ყველაფერი—და ის ყველაფრის დაბრუნებას შესძლებს, მაგრამ თუ ენა წაართვით—ის თავის დღეში ვერ შექმნის მას. მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც“—ო,

ამბობს რუსის გამოჩენილი მასწავლებელი უშინსკი. ეს აზრი საღი გონებისა და გაუხარწელი სულის მქონე ადამიანისათვის ჭეშმარიტებაა. სწორედ ამით აიხსნება ის საზოგადო მოვლენა, რომ გაბატონებულ, ერს დამონებული ერის გასაქარწყლებლად უმთავრესი იერიში „ენა“ და „სკოლა“-ზე მიუტანია ყოველთვის და თუ ერს ისინი დაუკარგავს—სახეც გაჰქრობია, გადაგვარებულა, მომკვდარა... ამასვე მოწმობს ევროპის პატარა ერების საშუალო საუკუნოების ისტორია, ბევრი დღესაც დამონებულ ერთა ცხოვრება და თვით ჩვენი—ქართველი ერის—მდგომარეობა.

უღმობელმა ცხოვრებამ, მკაცრმა და ბნელმა ძალებმა და უვიცობა-უმეცრებამ დღეს ჩვენი ერი დაავადა, დაასწულა და სიკვდილის კარს მიაყენა. ცხადია, როდესაც მთელი ორგანიზმი კვდება—კვდება მისი შემადგენელი ნაწილებიც. მაშასადამე, ყოველი ჩვენთაგანის აზრი, მოქმედება და ენერჯია უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ ჩვენი ერი არ დაეცეს, არ გაჰქრეს, თუ თითოეულ ჩვენთაგანს არ სურს თავისი თავის სიკვდილი, თავისი თავის არარად ქცევა. საქმის ვითარება—კი ამ ვალს უფრო მძიმედ, ვიდრე სხვისაგან, მოითხოვს სახალხო მასწავლებლისაგან, რადგანაც მის ხელშია ერთად-ერთი უმ-

ტყუანი იარაღი ერის კეთილდღეობისა—სახალხო სკოლა. თუ სურს მასწავლებელს—სკოლა ალადგენს ჩვენს დაცემულს ერს, თუ სურს მასწავლებელს—სკოლა გახრწნის, დაავადებს ერის თითოეულს წევრს და თანდათან დასცემს, ვაჰქრობს მთელს ერთეულს.

აი ასეთი დიდი მოვალეობა აწევს სახალხო მასწავლებელს. მაგრამ დღეს ის ისეთს მდგომარეობას განიცდის, რომ შეუძლებელია მან ეს ვალი მოიხადოს. აუცილებლად საჭიროა ამაღლდეს მასწავლებლის განვითარება, ზნეობრივობა, ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. მხოლოდ მაშინ შესძლებს ის თავის მოვალეობის პირნათლად შესრულებას: აღუზარდოს ერს ყოველმხრივად განვითარებული აწმყო, რომელსაც ჩაუქსოვოს სულში სპეტაკი და მტკიცე სიყვარული ერისა და სამშობლოსადმი, რადგანაც მხოლოდ ასეთს სწავლა-აღზრდას შეუძლია მოგვცეს განვითარებული, გონიერი, ხალხისა და სამშობლოს ერთგული ადამიანი. ისიც კარგად ვიცით, რომ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ამ უფლებებს თავის ნებით სახალხო მასწავლებლებს არადროს არ მიანიჭებენ, პირიქით, როგორც ვხედავთ, მკირედზედაც ყოველნაირად ბრძოლას უცხადებენ. აშკარაა, რომ სახალხო მასწავლებელი ხსნას სხვისგან ვერ იხილავს; თუ თვითონ არ უშველის თავის თავს სხვისი იმედი ფუჭია.

სად ეძიოს სახალხო მასწავლებელმა ეს შველა? როგორ მოიპოვოს იგი?

მძიმე უღელი, მწარე ხვედრი, უუფლებობა და უპიროვნება მარტო ქართველი მასწავლებლის ბედი არ ყოფილა. ასეთი მდგომარეობა, განიცადა თითქმის ყველა

ერის, ყველა სახელმწიფოს მასწავლებელმა. ავიღოთ მაგალითად საფრანგეთის მასწავლებლის ცხოვრების მოკლე ისტორია.

სწორედ ჩვენი სახალხო მასწავლებლის ბედს განიკვირებდა საფრანგეთის მასწავლებელი, როდესაც მან გაჰოიღვიძა და ადგომა დააპირა. ეს იყო მეოთხმოცე წლებში. პირველად დაარსდა 15—20 ჟაკისაგან პატარა წრე, რომელმაც წინდახედულად განიხილა და განმარტა თავის მოქმედების სახე, გზა და მიზანი. მაშინ, საფრანგეთის სასწავლო უწყებები მჭიდროდ იყო გადახლართული სხვა დაწესებულებებთან, რაც ძლიერ ბორკავდა ამ წრის მუშაობას. მაგრამ საქმის სიყვარულმა და იდეით გატაცებამ ყველაფერს სძლია და ამ პატარა წრის ირგვლივ იწყო თავის მოყრა სახელმწიფოს მთელმა მასწავლებლობამ: ყველა კუთხეში დაარსდა წრეები, წევრები იხდიდნენ საწევრო ფულებს, აარსებდნენ შემნახველ და საპენსიო კასებს, სცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს, რომლის საშუალებით თანდათან უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. მხნე მუშაობამ წრეებს საფუძველი გაუმადრა და საერთო მიზანმა ერთმანეთთან დააკავშირა: 1887 წელს ამ წრეებიდან აღორძინდა „**საფრანგეთის მასწავლებელთა სინდიკატი**“, რომელიც წარმოადგენდა დიდს ძალას და თავგანწირვით იბრძოდა მიზნის განსახორციელებლად. „სინდიკატმა“ დღევიზათ დაისახა: „**მასწავლებლის უმთავრესი მნიშვნელობა სასკოლო საკითხების გადაწყვეტა და მისი ნივთიერი უზრუნველყოფა**“. „სინდიკატის“ დაარსებას დიდი მნიშვნელობა მიეცა, მისმა მუშაობამ დიდი ნაყოფი მოიტანა: სკოლის ბედ-იღბალი თანდათან მასზე გადავიდა და მთავრობას საშუალება მოესპო თავის პოლიტიკის განსახორციელებლად სკოლები ეხმარა.

სწავლა-განათლების მინისტრმა ამას დიდი ყურადღება მიაქცია და გამოსცა „**ცირკულიარი**“, რომლის ძალით სასტიკად აიკრძალა მასწავლებელთა პროფესიონალური თუ ფედერატიული კავშირები. ამის მიხედვით მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო „სინდიკატი“-ს წინააღმდეგ. 1892 წელს დეპარტამენტის პრეფექტმა საშინელი ომი გამოუტახა სახალხო მასწავლებლებს: ყველგან სდევნიდნენ მათ... მაგრამ მასწავლებლების თვალწინ გადაშლილი იყო ყველა ის უკუღმართობა და უკანონობა, რომლითაც მთავრობა მათ ეპყრობოდა და ეს სურათი ნათლად უკარნახებდა მათ ხმის ამალლებას, გამხნელებას და. წინსვლას მიზნის განსახორციელებლად. მართალია, ბევრი ეცემოდა ამ ბრძოლაში, ბევრმა ვერ შესძლო ბოლომდის უღლის გაწევა, მაგრამ ბევრი ახალი ძალა ემატებოდა მათ და მუშაობაც სასურველი გზით მიდიოდა. მთავრობა თუ რეპრესიებს უმატებდა — მასწავლებლები ენერგიას უმატებდნენ და მტკიცე ნაბიჯით წინ მიდიოდნენ. მაგრამ 1897 წელს, როდესაც მინისტრად რამბო იყო, მთავრობამ საგრძნობლად შეაფერხა „სინდიკატის“ მოქმედება, ხოლო მისი უკანასკნელი დამარცხება მოხდა 1907 წელს, კლემანსოს სამინისტროს წყალობით იგრძნო „სინდიკატმა“, რომ ის დაეცემოდა და ამდენი ხნის შრომა ფუჭად ჩაუვლიდა და სხვა გზას მიმართა.

ამ დროს საფრანგეთში არსებობდა „პარიზის მუშათა ბირჟა“, რომელიც იბრძოდა პოლიტიკური თავისუფლებისთვის. აი ამ „ბირჟამ“ შეუერთა „სინდიკატი“ თავის 40 ათასი წევრით და ამნაირად ბრძოლა განათლებისათვის და ბრძოლა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად გაერთიანდა. საქმის ასეთმა მსვლე

ლობამ სასკოლო მთავრობა მოსტეხა, მოარბილა; სწავლა-განათლების სამინისტრო ძალაუნებურად იძულებული შეიქნა მასწავლებელთა კანონიერი მოთხოვნილებისათვის ანგარიში გაეწია და ეს რამდენიმე წელიწადია, რაც საფრანგეთის სახალხო სკოლებში განახლება ხდება: ჯეროვანი ყურადღება ექცევა სწავლა-აღზრდის საკითხებს და მასწავლებელთა მდგომარეობის პირობათა გაუმჯობესობას.

ასეთია პატარა ისტორია საფრანგეთის სახალხო მასწავლებელთა მოძრაობისა. ეს აღწერილობა გვაჩვენებს, რომ სწავლა-აღზრდის საქმე აწუხებდა მხოლოდ მასწავლებელს, მხოლოდ ის შრომობდა, იბრძოდა და იტანჯებოდა სკოლისა და თავის უფლებათა აღსადგენათ.

აი გზა, საშუალება და მაგალითი, რომ

მელსაც უნდა თანათან დაადგეს ჩვენი სახალხო მასწავლებელი. შრომა, ენერგია, საერთო მიზნით გატაცება, მედგარი იერიში ყოველივე დაბრკოლების წინააღმდეგ, მისი ინტერესების დამცველი ჟურნალ-გაზეთების დაახლოვება—ყოველივე ეს აუცილებელ საჭიროებას უნდა წარმოადგენდეს სახალხო მასწავლებლისათვის, თუ სურს მას თავი დააღწიოს სამარცხვინო მდგომარეობას და მოიხადოს წმინდა, დიდი ვალი ერისა და სამშობლოს წინაშე.

ამით ვათავებ ამ მცირე წერილს და ვუსურვებ ჩვენს სახალხო მასწავლებელს თვითმოქმედების უნარს, შეგნებას და მხნეობას, რომ მალე ამოეღოს ხმა თავის უფლებების მოსაპოვებლად.

გ. ა—ნი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

მრი წლის წინად ერთ-ერთ ჩვენ ქართულ გამცემებაში ფრიად სამწუხარო მოვლენა აღნიშნა: ორმა ქართველმა სოფლის მასწავლებელმა არზა შიართვა ერთ სახალხო სკოლის ინსპექტორს და მოითხოვეს მათ მიერ რწმუნებულ სკოლებიდან იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გაძევება. მასწავლებელთა არზა „გასპარჩანტ-კრუშსკებს“ რომ ჩაყარდნოდათ ხელში, ძველა, სიამოვნებით მიიღებდნენ, რუსიფიკატორ „ქართველ“ მასწავლებლებს მადლობით დააჯილდოვებდნენ და სიამოვნებით გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს მათ სკოლებიდან გაძევებდნენ: მაგრამ არზა ისეთმა ინსპექტორმა მიიღო, (კარპოვმა), რომელიც აღზრდის საქმეს შოვინისტების შეხედულების გარეშე აყენებდა და გამარჯვებულ პოლიტიკას ქართულ სკოლაში სად ჰედა-

ტოგიურ პრინციპების დალატად აღიარებდა. ინსპექტორმა ეს უგვანო შეიღბი ჩვენი ერისა შემდეგი სიტყვებით გამოისტუმრა: „ეს არზა უკან წაიღეთ და თუ ძლიან გეზარებათ თქვენი აღმზრდელის სახელმძღვანელოები, თქვენითხვნაც არ არის საჭირო: მით გაძევებას საქართველოს სკოლებიდან მალე მოესწრაფით“. — იაკობ გოგებაშვილი მიიღვალა, ჩვენი სკოლების ცხაკრებაში მშობლიური ენის განსადევნად განშეორდა იანოვსკ-გოსტორგოვის ხანა. ვის არ ახსოვს ამ 1 წლის წინად, „კრუშსკ-გასპარჩანტ-ლევიცკების“ კომპანია ჩვენი სკოლებიდან მშობლიური ენის განსადევნად დაწეუბული, რომელიც მათი დამარცხებით გათავდა. ამ კომპანიას თან დაერთო ჩვენი სკოლებიდან იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების თანდათან გაძევება. კარ-

პოეტი ქართველთა ერების აღზრდაში თუ საღ
 ჰელაგოგიურ პრინციპებს ემყარებოდა, „კას-
 შარანც—კრუხსკები“ ამავე საქმეში ჭეშმის-
 რიტ რუსულ ჰოლიტიკას დაეუბრდნენ და უო-
 ველი დონე იღონეს ამოეფხვრათ ქართველში
 ყოველივე მშობლიური. გაიმართა ჩუმი ბრძო-
 ლა გოგებაშვილის ჰელაგოგიური პრინციპების
 წინააღმდეგ. აშკარად — „კასშარანც—კრუხ-
 სკები“ არ გამოსულან ჩვენი სკოლებიდან
 გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გაძეგების
 მქადაგებლად. ფარულად კი ამ ნიადაგზე ბევ-
 რის გაკეთება მოასწრეს. სარწმუნო წყარო-
 ებიდან მიღებული ცნობები თვალწინა მაქვს,
 რომელნიც უტუყარად დალაღებენ, თუ ქუთაი-
 სის გუბერნიის ნახევარ სახალხო სკოლებიდან
 არა — მესამედიდან მანც გოგებაშვილის სახელ-
 მძღვანელოები ამ უამად განდევნილია და მათ
 ნაცვლად რუს—სომეხ ავტორების სახელმძღვა-
 ნელოებია შემოღებული. ამ განზრახვის სის-
 რულეში მოსაყვანად, იმის ცნობაცა მაქვს,
 თუ ზოგიერთი „ქართველი მასწავლებლები“
 დაწინაურების წადილით დაბრმავებულნი, რა
 საძრახის რაღას თამაშობდნენ. სამწუხაროდ
 „მოვინისტების“ იერიშმა გოგებაშვილის სა-
 ხელმძღვანელოების წინააღმდეგ, მხოლოდ მი-
 სი სიკვდილის შემდეგ გასჭრა. ამ კარემოე-
 ბას ს:ჭირთა უველა ქართველი კარგად ჩაუგ-
 ვირდეს.* (ბ. გ.)

ილია ბახტაძე.

„სასოფლო გაზეთის“ უკანასკნელ ნომერ-
 ში შემდეგს მწარე, მაგრამ მართაღს სიტყვებს
 კვითხულობთ ჩვენბური სახალხო მასწავლებ-
 ლების შესახებ. .

*) ვსთხოვთ თანამშრომლებს მოგვაწოდონ უტ-
 ყუარი ცნობები იმის შესახებ, თუ რომელს სკო-
 ლაში არ ხმარობენ ი. გოგებაშვილის სახელმ-
 ძღვანელოებს.

„განათლების“ რედაქცია.

„ჩვენს დროში ხალხის სამსახური გაჭქრა,
 მოისპო და ახლანდელი სოფლის მასწავლებ-
 ლები საკუთარი ინტერესების მიხედავად გახდნენ
 „ჩინოვნიკური“ სახე და სულეი შეითვისეს
 და თავისი წმინდა საქმე, წმინდა მიზანი, სა-
 შუალებად გაიხადეს, ხოლო პირადი კეთილ-
 დეობა მიზნად დაისახეს. უწინდელი მასწავ-
 ლებელი მჭიდროდ იყო ხალხთან დაკავშირე-
 ბული, უპირველეს ყოვლისა სოფლის ნდობი-
 სს და პატივისცემის დამსახურებას სცდილობ-
 და, ხალხთან ერთად იცინოდა და ხალხთან
 ერთად სტიროდა; დღევანდელი კი დაშორდა
 გლეხ-კაცობას, ვეღარ მოუნახავს საერთო ნია-
 დაგი და არც ეძებს მას, სრულიად არა ჭივი-
 ქრობს მის მოთხოვნილებათა, მის ჭირ-ვარა-
 მის და სხუელების ცანობას და შესწავლას.
 მოხელის სულმა ანუ, უკედ რომ ვთქვათ,
 მოხელის უსულობამ, გაიდგა ფესვი ჩვენს სო-
 ფლის მასწავლებლებში და მისი საზრუნავი
 ის 4—5 კაკვეთილია მხოლოდ, რომელიც
 მან „სამსახურის მოვალეობისამებრ“ უნდა
 მისცეს მოწაფეებს. გათავდა კაკვეთილები
 და შესწუდა მასწავლებლის ხალხთან ურთიერ-
 თობაც. ჩვენი დროის სოფლის მასწავლებელი
 იმდენად ბეტი შეიქნა, რომ ვეღარ ამჩნევს
 ერთს ფრიად საგულისხმიეროს და სასიხარუ-
 ლო კარემოებას, ვერ ჰხედავს, რომ ხალხმა
 გაასწრო მას, უკან დასტოვა იგი და არაფერ
 დონეს დონობს, დაეწიოს ცხოვრებას და
 კვლავ ადიდებინოს დატყუული სახელი. ხალ-
 ხიც კრძნობს ამას, ატუობს, რომ მისი „მა-
 სწავლებელი“ მას ვეღარაფერს ასწავლის,
 ჰხედავს, რომ გულ-ანრუებულია მასზე და
 საკუთარ კარიერაზე ფიქრობს მხოლოდ, და
 თანდათანობით ჰშორდება და ზურგს აქცევს
 მას. თუ ასე გაგრძელდა, შორს არ არის ის
 დრო, როდესაც მასწავლებელსა და ხალხს
 შორის გაუვალეი ზღვარი დაიდება და დღევან-
 დელი ურთიერთისადმი გულ-გრილობა ყოვ-
 ლად საშიშარ და დამღუპველ ურთიერთის

მძულვარებად გადაიქცევა. მაშინ გვიანდა იქნება თითზე კბენანი.

საქმეს დროზე უნდა შეეღას.

უმაღლესი დაწესებითი სკოლა სამტრედიაში. დიდი ხანია არაა, რაც აქ დაარსდა უმაღლესი დაწესებითი სასწავლებელი, რომლის ინსპექტორათ არის ბ-ნი ნ. ჩიკვაძე. იმ თავითვე ხალხი დიდის თანაგრძნობით შეეკება მის დაარსებას და თითქმის ყველამ შეიყვანა თავისი შვილები, მაგრამ ყველას მოეხსენება რა ეკონომიურ კრიზისს განიცდის გლეხ-კაცობა, ნამეტურ წელს, რადგან მოსავალი გასულ წელს ნაკლები მოვიდა. და რადგან სწავლის ფული ამ სასწავლებელში წლიურათ 30 და 45 მ. აღის, გლეხები იძულებული გახდნენ გამოეყვანათ ბავშვები სკოლიდან. ამას გარდა, ჩვენ ვერ გავიგია. ზემოხსენებულ სასწავლებელში ქართული ენის სწავლება სავალდებულო საგნათ რათ არ არის აღსარებული ისე, როგორც სხვა უცხო ენები: ნემოფური, ფრანგული და სხვა. ვინც შეიტანს წლიურათ 12 მანეთს, მხოლოდ მას ასწავლიან. გვიკვირს ნუთუ ჩვენ სკოლის დაარსებას მიტომ შეუხარდით, რომ იქიდან ჩვენი სამშობლო ენა გაუდევნათ?.. რასაც ასწავლიან (კვირაში ორი გაკვეთილი აქვს დამთბილი ქართული ენის) იმასაც ვერ ასწავლიან ხეირიანათ და ამას შემდეგ რის იმედი უნდა გვქონდეს? — ბ ნი ინსპექტორი ჩიკვაძე მოვალეა ამას უურადლება მიაქციოს და წესიერ კალაპოტში ჩააყენოს ქართული ენის სწავლება. ამას მოითხოვს ზნეობრივი მოვალეობა, თავის სამშობლოს სიყვარული და სხვა...

ნუ ვიგდებთ აბუჩათ ჩვენს ენას, შევიგნოთ, რომ სამშობლო ენის დაცვა, როგორც სკოლებში, ისე ყოველგან, ჩვენი საქმეა. (იმერეთი). **სან-კანი.**

მასწავლებელთა საყურადღებოთ. არა ერთხელ ყოფილა გაზეთის ფურცელზე განმარტებული ის ცუდი გავლენა, როგორც მოახდინა ყოფილმა ინსპ. გასპარანცმა მასწავლებლებზე გურიაში. მიუხედავად ამისა მე კიდევ მსურს შევეხო ზოგიერთ მასწავლებლებს ერთს ცუდ მხარეს. ზოგიერთ მასწავლებლებს შეცდამით გაუგიათ წინადადება: „რუსული ენის სწავლება პირველ განუ. უნდა დაიწყოს მხოლოდ ანკარში“. ეს ვაჟბატონები დექსიკური გაკვეთილების მაგივრათ, რომლებსაც მხოლოდ რამდენსავე გაკვეთილებს უთმობენ, იწყებენ პირდაპირ რუსულ წერა კითხვას (русскому азбуку). ამ გვარ მასწავლებლებს კიდევ რომ მისცე შენიშვნა, დაიწყებენ მტკიცებას, რომ ასე უნდაო და გეტყვიან: „მე არ მინდა, ჩემი ბავშვები ჩამოვარჩინო „სხვა სკოლის ბავშვებსო“. აქ ცხადია, რომ იმ „სხვა სკოლებშიც“ ასე იწყებენ რუსულ ენის სწავლას. შეხედებით ისეთ მაცალითს, რომ ბავშვები წაიკითხვენ „сито“-ს (შეხანიკურათ, რასაკვირველია,) და ამავე დროს, რომ მისცე რამდენიმე კითხვა დექსიკურ განყოფილებიდან, ერთ ზანუსაც ვერ მოგცემენ კარგათ. საჭიროა ამ ცუდ და არა ზედაკოტიურ მოვლენას ჯეროვან უურადლებას მიაქცივდნენ ბ-ნი ზედამხედველები, როგორც ცოტად, თუ ბევრად გამოცდილი ზედგოგები. („ბათ. გაზეთი“)



სიტყვა ოსტატის მოვალეობაზე, თქმული ქუთაისის საოსტატო
სემინარიის მოწაფეთა მიძახთ

ჩვენში გავრცელებულია ერთგვარი ცალმხრივი შეხედულება ოსტატის მოვალეობაზე. ბევრნი ფიქრობენ, ვითომ სრულიად საკმარისი იყოს, მასწავლებელმა შეასწავლოს თავის შეგირდს მხოლოდ მეცნიერება, ან რაიმე ხელობა და ამავე დროს არ ავარჯიშოს მისი სული და გული ქრისტიანულ აზროვნებაში და არ შეაჩვიოს იგი კეთილ საქმიანობას. მაგალითად, თუ წერა-კითხვის მასწავლებელმა მხოლოდ წერა-კითხვა შეასწავლა თავის შეგირდს, ან ხურობა—მხოლოდ დურგლობა—ასეთი სწავლა-აღზრდა სრულიად საკმარისად მიაჩნიათ.

ასეთი შეხედულება ოსტატის მოვალეობაზე უსაფუძლო და ყალბია.

ცალმხრივად უნდა ჩაითვალოს მასწავლებლის შრომა, რომელმაც თუ გინდ ზედმიწევნით შეასწავლა წერა-კითხვა მოწაფეს და ამავე დროს არაერთი ქრისტიანული გავლენა არ იქონია მის გრძობა-აზროვნებაზე.

არც ერთ მახვილ ხმაღს არ ძალუძს დაპლევაროს იმდენი სისხლი, რამდენიც პაწია მახვილ კალამს გონებით განვითარებულ, მაგრამ უგულო კაცის ხელში. ისტორია ბევრს ამის მაგალითს მოგვითხრობს. გავიხსენოთ თუ გინდ ტორკვემონდა, რომელმაც ასი ათასი კაცის სიკვდილით დასჯაზე სრულიად აუშფოთებლად ხელი მოაწერა.

მეცნიერება მხოლოდ მაშინ აფაქიზებს ადამიანს, როცა ის «გულსა წმინდასა პბადებს და სულსა წრფელსა განახლებს»; (დავითნი 50, 12). თვინიერ ამისა მეცნიერება იქნება ცალმხრივი.

ხელოსანი ვინმე, ვსთქვათ, დურგალი,

კალატოზი შეგირდის აღზრდაში ასეთსავე მიზანს უნდა დაიდებდეს და არა მარტო ხელობას გადასცემდეს მოწაფეს.

ხშირია, როცა შეგირდს ზედ-მიწევნით შეუსწავლია რომელიმე ხელობა: დურგლობა, კალატოზობა; ხელობასთან ერთად შრომის-მოყვარეობაც შეუთვისებია, საუკეთესო ოსტატის სახელი მოუხვეჭია; როგორც საგანგებო ოსტატს, მას ყველგან იცნობენ, ერთი ქალაქიდან მეორეში ეპატრებიან და ზედმეტადაც აჯილდოებენ; ისიც კვირიდან კვირემდე, თვიდან-თვემდე მუყაითად მუშაობს და საკმაოდ ღებულობს ფულს. მაგრამ, რადგან ხელობის გარდა არაერთი ზნეობრივი აღზრდა არ მიუღია თავის გამზრდელისაგან, მის გონებას არ სცოდნია კეთილი აზროვნება, მის გულს—ქრისტიანული გრძობა, მის ხასიათს ჰკლებია გაწვრთნა-განმტკიცება, ისიც წასულა, ანაღები ფული ხელად გაუფანტავს ღვინოში, ან ქალღალღში და ისე დაუცარიელებია ქისა, რომ ერთი გროშიც არ ჩარჩენია სახლში ბავშვებისათვის პურის მისატანად. თავისი ოჯახი, თავის სუსტი ხასიათის გამო, მშიერი, ტანსა და ფეხსაცმელს მოკლებული დაუგდია; სიხარულისა და მშვიდობის ნაცვლად მწუხარება და შფოთი შეუტანია სახლში. ხოლო მკოდნე და შრომის-მოყვარე კაცის ოჯახი ბედნიერი და ნივთიერად უზრუნველი უნდა ყოფილიყო. და თუ ასეთი კაცი სიიწროესა განიცდის, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ ოსტატში, რომელმაც ხელობასთან ერთად არ გადასცა მას სიმტკიცე ხასიათისა და არ ავარჯიშა იგი ქრისტიანულ საქმიანობასა და ქირანახულობაში.

ვის არა ჰყავს ცული ამხანაგი, ცული ხასიათის ნაცნობი ადამიანი! ცხოვრება ჩვენი ფრიად რთული და მრავალ-ფეროვანია; და ამიტომაც მრავალია „ღვარძლი შორის იფქლსა“. (მათ. 13,25). ხოლო საჭიროა ადამიანი იყვეს იმდენად განვითარებული, რომ განარჩიოს კეთილი ბოროტისაგან და ამასთანავე შესწევდეს ხასიათის სიმტკიცე, ბოროტს გვერდი აუაროს და კეთილს მიეთვისოს. ხოლო კეთილის უკეთურისაგან გამოცნობა, მოზარდთა ხასიათის კეთილ-საქმიანობაში განმტკიცება ოსტატის საქმეა. და აი ამაზე უნდა იყვეს მიქცეული უმეტესად ყურადღება ყოველი ოსტატისა, მიუხედავად იმისა, ასწავლის ის მეცნიერების რაიმე დარგს, თუ რაიმე სხვა ხელობას.

მაგალითისათვის, თუ როგორ უნდა წვრთნიდეს მასწავლებელი შეგირდის შინაგან ბუნებას, შორს არ წავალ. ერთხელ ნეტარ-ხსენებულ იმერეთის ეპისკოპოსს ვაბრიელს, მოგზაურობის დროს წინ შე-

ეჩნება ახალგაზდა ავაზაკი. სათნოიანმა მოძღვარმა ეს ველური კაცი ხელად მოინადირა; დაიახლოვა იგი, გაუხსნა გული და დაანახა მას ქრისტეს სიყვარული; ავაზაკი მოღბა, გაჰყვა მოძღვარს, რომელმაც მანამ არ დასტოვა იგი, სანამ არ დარწმუნდა, რომ იგი ეხლა სწორედ ჭეშმარიტი ქრისტიანეა. და მართლაც, ყოფილმა ავაზაკმა იმ გვარად შეიძულა წინანდელი თავის დაბნეული ბოროტი ცხოვრება, იმ გვარად განვითარდა გონებით, იმ გვარად შეიყვარა მოძმე და განმტკიცდა ქრისტიანულ საქმიანობაში, რომ სახლობო სკოლაში ოსტატად იყო მოწოდებული პაწია ბავშვების აღსაზრდელად.

და ეგრე, ოსტატი თავდაპირველად უნდა ზრუნავდეს შეგირდის ქრისტიანულ აღზრდაზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიხვეჭს ის სახელს ჭეშმარიტ მასწავლებლისას, რომელიც არის უდიდესი და უძვირფასესი სახელი ყოველთა სახელთა შორის.

მღვდ. გერ. ხაუომია.

ქობულეთის სახალხო სკოლების აწმყო და მოძავალი

სახალხო კავშირის № 1122-ს მითავსებულ წერილში „ქობულეთიდან“ ბ. უსუფ ეფენდი კაიკაციშვილი, ეხება რა ქობულეთის სახალხო სკოლებს, საშინლად გულ მოკლეული რჩება მათი დღევანდელი უმწიკო მდგომარეობით. სხვათა შორის ეფენდი კაიკაციშვილი სწერს: „სამოსწავლო მთავრობამ გახსნა სკოლები სოფელ ქობულეთში. სამებაში და სხვაგან; ქართული ენა უველა სკოლებიდან განდევნეს; უველგან „ჭყურტ ბერძნებს ან რუსებს გვინიშნავენ მასწავლებლათ; ჩვენს თხფანაზე, რომ ჩვენს შვილებს სხვა საკრებთან ერთად სამშობლო ენაც ასწავლენ, იგივე სამოსწავლო მთავრობა ან სრულებით ყურადღებას არ აქ-

ცევს, ან და გვეუბნება: „ქართულის სწავლებისათვის ფულები არ გვაქვსო“ და სხვ. ავტორი თავის წერილს შემდეგი სიტყვებით აბლოკავს: „მიჰხედეთ მუსულმან ძმებს! კიდეც რი წლის განმავლობაში თუ ვერაფერი გააკეთა აქ ქართველმა საზოგადოებამ, მთელ ამ მხარეს დიდი საფრთხე შეიქმნა“.

უველა ამას თუ დაუმატებთ იმასაც, რომ ქობულეთის ჭალებზე ასახლებენ შიდა გუბერნიიდან გადმოსულ რუსებს, თქვენ თავაწინ ერთი შეხედვით გადაიძლება მართლაც ფრიად უნუგეშო მდგომარეობის სურათი და მომავლის პერსპექტივა—კიდეც უარესი. მაგრამ ვინც დაახლოვებით იცნობს ქობულეთის მასშობლიან

ქართველობას და მისს შინაურ მდგომარეობას, იმან სასურველი არ უნდა წარაკვეთოს, უკეთესი მომავლის იმედი არ უნდა დაჰკარგოს. ქობულეთელი ქალი გინდ კაცი არც ერთი არ ჰქავს დაუღვეარ აწუროებს, რომელმაც თავისი ენა, ზნე-ჩვეულება თითქმის სულ დაივიწყა, არც გაღვებულ ინგილას, რომელსაც მარტო მამა-პაპური ზნე-ჩვეულება თუ შეერჩენია, ისიც სანახევროთ. ქობულეთელს საკუთარ თავსავით უყვარს თავისი ენა და ცოცხალი თავით ის არავის გაათვლინებს თუკის ქვეშ ამ წმიდათა-წმიდას. ამის დასმტკიცებლად ისიც ვმარა, რომ ის შორს გაურბის მთავრობის სკოლას, სადაც დედა-ენა არ ისწავლება. ეგრეთ წოდებულ „ჩუროქსუს ნორმალური სასწავლებლის“ გამგე პეტრონნი დღემდე კიდევ იმით იმართლებენ თავს ქართულის არ სწავლებაში, რომ ქართველ მუსულმანთა შვილები, შედარებით სხვა ერგებობათა შვილებთან, ცოტანი დადიან სასწავლებელში, ამიტომ შეუძლებელია, ასეთ სხვა-და-სხვა ერგებობათა სკოლაში, რუსულს გარდა, კიდევ რომელიმე ენა შემოვიდოთ. სხვა ერგებობათ უნდა ვიგულისხმოთ რამდენიმე ქობულეთელი ბერძენი. რუსებს, სოფ. ფიჭვნარში (СМЪКАЛОВА-ში) დასახლებულთ, საკუთარი სკოლა აქვთ. აქ ისინი, რუსეთში მობინადრე გერმანელებსავით საკუთარ კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან. არც თავიანთ ცოდნას (თუ რაიმე ცოდნა აქვთ) უზიარებენ ადგილობრივ მკვიდრთ, არც თითონ იძენენ მათგან რაიმე სასარგებლოს; ერთი სიტყვით მათსა და მამამდიანთა შორის სრული დამოუკიდებლობა სუ ეგვს.

დღეს, მართალია, საერთოდ აქაური სკოლებიდან და კერძოთ „ჩუროქსუს სასწავლებლებიდან“ სრულებით განდევნილია ქართული ენა და უფრო ამის მიზეზით რამდენიმე ასეული ბავშვი კარში რჩება, მაგრამ, როგორც სისამდვილე გვიჩვენებს, დიდხანს ვერ გასტანს ასეთ უკუღმართ კალაპოტში ხელოვ-

ნურათ ჩახხირული სწავლა-აღზრდის საქმე. ქობულეთის სახალხო სკოლა ან სრულებით უნდა მოჰკვდეს, ან სავსებით უნდა ცაცოცხლდეს, განახლდეს, და რომ ის განახლდება, ამაში ეჭვი არ არის. ამ ბოლო დროს ქობულეთის აღმოსავლეთიდან მოაწვინენ კურული გლეხები. ესენი იძენენ დაბის ახლო თავისუფალ ადგილებს, იშენებენ სახლებს მამამდიანთა მახლობლათ და სახლდებიან. ჯერ-ჯერობით ქრისტიან ქართველთა რიცხვი აქ 50 კომლს არ აღემატება, მაგრამ ეს რიცხვი დღითიდღე იზრდება. ორივე საწმინტების ქართველთა შორის კარგი შეზობილური ურთიერთობა არსებობს და როდესაც ეს ასე არის, საჭიროა ორივე საწმინტების ერთმან ხალხმა შეერთებულის ძალით, ენერგიულათ მოითხოვოს სამშობლო ენის აღდგენა იმ სკოლაში, სადაც მისმა შვილებმა უნდა ისწავლან. საჭიროა ამ ხალხმა შეუსვენებლათ იბრძოლოს „პედაგოგიური უკუღმართობის“ წინააღმდეგ მანამდე, სანამ თავისს კანონიერ მოთხოვნილებას არ განახორციელებს. სამოსწავლო მთავრობას არ შეუძლია მცხოვრებთა შეერთებული ძალით კანონიერ მოთხოვნას გვერდი აუქციოს მით უმეტეს მაშინ, როდესაც თითონაც ალბათ ჰქვდავს (თუ განკეობთაღებზე ხელს არ იფარებს), რომ დედა-ენის სკოლიდან განდევნა სკოლას უფსკრულისაკენ მიაქანებს. რასაც დ. ქობულეთის სასწავლებლებზე ვამბობ, იგივე უნდა ითქვას დანარჩენ სოფლების სკოლებზედაც. საჭიროა აქაური სოფლების მეტათ ცნობის მოყვარე მკვიდრთ კარგათ აეხსნას, განემარტოს სამოსწავლო მთავრობის მოსწრაფება, მისი ზოლიტიკის დამღუპელი შედეგი. სასურველია ეს მისისია (ხალხში ეროვნული გრძნობის გაღვივება), სანამ ამ მხარეს ხალხისთვის თავდადებული მასწავლებლები მოკვლინებოდეს, შეგნებულმა მამამდიანებმა იღვან თავის თავზე. აჭარა-ქობულეთის ქართველობა არა ერთსა და ორს

ისტორიულ ქარტეზილს შებრძოლებია შედგრათ და გამარჯვებულად გამოსულა ამ ბრძოლიდან. დღესაც დაუმარცხებელი დარჩება ის, თუ მასში შუაფი ძალები წინანდებურათ შეერთდებიან დღეს ერთგულ ნიადაგზე.

რაც შეეხება დაბა ქობულეთში ქართული სკოლის დაარსებას, რომელსაც ბ. სიტყვა გვიკარნახებს, არ არის ცუდი, მაგრამ ვეჭვობ, რომ ამ განზრახვამ სკოლამ იმდენი სასკებლობა მოუტანოს აქაურ მკვამდიანობას, რამდენ ხარჯსაც მოითხოვს მისი დაარსება და მერმე შენახვა*). მართალია, დ. ქობულეთი

*) ჩვენ ისეთი უტყუარი საბუთები გვაქვს, რომ ქობულეთში ქართული სკოლის დაარსება მეტრისმეტად საჭიროა და უეჭველია კიდევაც დაარსდება.

რედ.

ისეთი ადგილია, სადაც ხშირათ დიდძალი ხალხი იკრიბება ახლო მახლო სოფლებიდან სავაჭროთ თუ ერთმანეთის სანახავათ. მაგრამ ბავშვებს ძალიან გაუჭირდებათ იმავე სოფლებიდან მუდამ დღე აქ სიარული. მეორე მხრით, თითონ სოფლელი მკვამდიანიც ძალიან იშვიათად გზავნის თავისს ჰაწია შეიღს ბაზარში. ის დარწმუნებულია, რომ ბაზარი ბავშვს აფუჭებს, რფენის. ერთი სიტყვით, აქ დაარსებული ქართული სკოლა თუ რაიმე მცირე სასკებლობას მოუტანს ვისმეს, ეს ისევე ამავე ბაზარში მცხოვრებლებს და არა სოფლელებს.

ქიამილ ეფენდი აღმასხანიძე.

ქართველი კათოლიკები (წერილი ბათომიდან)

დიდი ხანია ახალციხის, ახალციხის მაზრის და სხ. ქართველ-კათოლიკები ცდილობენ სომეხ კათოლიკებისგან გამოსვლას და რომის კათოლიკობაზე გადასვლას. ამის შესახებ ბევრჯელ აღძრულა შუამდგომლობა მთავრობისა და აგრეთვე რომის პაპის წინაშეც, მაგრამ ეს საქმე ჯერჯერობით განუხორციელებელი რჩება, 1913 რომის კათოლიკეთა ტირანსპოლის სსსუელიერო ეპარქიის ეპისკოპოსი მოვიდა სსსუელიერო, რომელსაც მთელი კავკასიის კათოლიკებს ეკლესიები აბარია, ეს ეპისკოპოსი მოვიდა საქართველოში იმ მიზნით, რომ ახლათ. ასუნებულა ბათუმის ქართველ-კათოლიკების ეკლესიის უნდა ეკურთხა და კიდევ აკურთხა, მასთანვე იმგზავრა საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში, სოფლებში და დაბებში, ხას და გაეცნო საქართველოს კათოლიკების ვინაობას.

ამ დროს ახალციხის, ახალციხის მაზრის და სხვა ქართველ კათოლიკებმა თხოვნით მიმართეს ეპისკოპოსს რათა შუამდგომლობა აღედგა, რომის პაპის წინაშე, რომ მას მიეცა ნება ქართველ კათოლიკებისთვის გადასული-

ვნენ რომის კათოლიკობაზე და განშორებოდნენ სომეხ კათოლიკობას, სომხის ტიპიკონსა.

ეპისკოპოსმა, რასაკვირველია, ამათი თხოვნა შეიწყნარა და დაჰპირდა ამ საქმის სისრულეში მოეგანას. ამის შემდეგ ბევრმა წელმა განვლო და აგერ კვლავ ამ 1913 წ. ესტუმრა ტირანსპოლის რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსი კესსლერი. ახალციხის, ახალციხის მაზრის და სხვ. ქართველ-კათოლიკებმა 10,000 სულის ხელის მოწერით მიმართეს ამ ეპისკოპოსსაც, რომ რაც შეიძლება მალე გადაეფანათ ქართველ-კათოლიკობა რომის ტიპიკონზე და განეშორებინათ სომეხ კათოლიკობის ტიპიკონს.

დიდი სსსამოცნო საქმეა, მაგრამ... საქმე ის არის, რომ სომხური ქართველ კათოლიკებს ხომ არ ესმით, არც ლათინური იტიახ, მაშასადამე გამოდის, ანდაზისა არ იფეეს ვაის გაფეფრე ვუის შეფეფრეო.

თუ ჩვენ ქართველ-კათოლიკებს გვინდა ჩვენს ეკლესიებში სომხური წირვა-ლოცვა მოისპოს, რადგანაც ჩვენ სომხები არ ვართ

და სომხური არავის ესმის, მაშასადამე ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ქართველ კათოლიკობაზე გადასვლა და თუ ჩვენ ჩვენს თავს ქართველად აღვიარებთ და არა სომეხად ან ფრანგად და თუ გვინდა, ჩვენ ეკლესიებში წირვა-ლოცვაც უკვლამ გაიგოს ნათლად, დიდმა თუ პატარამ; წირვა-ლოცვა უნდა სრულდებოდეს ქართულად, რადგანაც ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ენა ქართულია, სისხლით, ხირობით, აზრით, სულით გულისით... ქართველები ვართ, საქართველოში შობილნი და აღზდილნი, ქართლის ძუძუებით ნაწივნი... დიდი სირცხვილია ჩვენი რომ სტამბოლის ქართველ-კათოლიკეებმა, რომელნიც ისე მცირენი არიან, რომ თითქმის ჩამოითვლებიან, გვაჯობეს ჩვენ. მათ დროზე მოითხოვეს რომის პაპის წინაშე რომ ნება მიეცათ წირვა ლოცვა შეესრულებინათ სამშობლო ენაზე და არა ლათინურად. რომის პაპმაც შეიწყხარა მათი თხოვნა და ნება მისცა იქაურ ქართველ-კათოლიკეებს ქართულად აღსრულონ წირვა ლოცვა ეკლესიებში და მონასტერში.

ამის შესახებ დიდის მადლობის ღირსნი არიან ქართველ-კათოლიკეთა პატრები. ეს პირნი დიდ

სამსახურს უწევენ ახალთაობას, ახალგაზრდა მოსწავლე შეგირდებს და სხვა და სხვა ენებს შორის სამშობლო ქართულ ენასაც კი დიდის სიხარულით ასწავლიან... საქართველოს ქართველ კათოლიკეებო, ახლა შინაგანად გონსტანტინეპოლის ქართველ-კათოლიკეებს და მოკითხოვოთ, რომ ჩვენს ეკლესიებში ღვთის მსახურება (წირვა-ლოცვა) სრულდებოდეს ქართულად და არა სომხურად ან ლათინურად. შუამდგომელობა ავადრათ რომის პაპის წინაშე, რათა მან მოგვეცეს ნება ქართულად წირვა ლოცვის აღსრულებისა და ამის შემდეგ მთავრობასაც დავამტკიცებინოთ, რომ მართლა ქართველ კათოლიკეებიც არიან ქვეყანაზე, იუვენ და იქნებიან...

ჩვენი თანა მძიმე ქართველ მართალ-მადიდებელნი, ჩვენ ქართველ კათოლიკეებს გვეძახიან „ფრანგებს“ და მართლა ქართველ კათოლიკეებს რომ ჰკითხო: ვინ ხარ? გინასუხებენ—„ფრანგი“; ჩვენ სიდაური ფრანგები ვართ, მართლა პარიჟიდან მოვსულვართ თუ საფრანკეთის სხვა კუთხიდან; თუ იქ ვართ დაბადებულნი და აღზრდილნი. ჩვენ ქართველი კათოლიკეები ვართ და არა „ფრანგები“.

პავლე გურგენბეგიშვილი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

(წერილი მეოთხე)

მცენარენი და ცხოველნი

მეცნიერების დღევანდელი თვალსაზრისით. 21 სურათით

შედგენილი ვ. ი. რცხილაძის მიერ

I

ქმ წიგნის ერთს, მართლაც და შეუწყნარებელ, შეცდომაზე, ჩვენ უკვე გვეჩინა მკითხველთან ბასი*)...

*) იხ. ჟურნ. „განათლება“ № 6 ივნისი 1913 წ. გვერდი 470.

რაც შეეხება ენას, უფრო ღრმა რუსულია ქართული ასოებით დაწერილი. დიად, რა ენაზედ არის დაწერილი თუ კინდ მაგალითად შესავალი!? ამის გარეგანად ღიბისტებისთვის მიგვიჩინა, ხოლო დღეს ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ინტერესი მოითხოვს, ბატ. რცხილაძეს ვსთხოვოთ ამ წიგნის მეო-

რედ გამოცემის დროს შესწორებს ზოგიერთ სახელი, სიტყვა და ტერმინი, მაგალითად:

1) უჯრედი **КЛѢТКА**. უნდა იყოს **ბამი** *) მეჩვიდმეტე საუკუნემდე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ მეცნიერებს რა იყო დასაბამი სიცოცხლისა. მხოლოდ 1675 წელს იტალიელმა მეცნიერმა ამარჩელომ და იტალიელმა ნემიმ დაუდეს საკითხს ჯეროვანი საფუძველი და აი როგორ გარდვიგარდმო გადაჭრილი მცენარის ნაჭერი, მიკროსკოპის ქვეშ რო **პირველად** გასინჯეს, ამათ თვალს წარმოუდგა თაველის ფიტივით შემთხვეული ფოსტები, წინდის თვალის ოდენა რაღაც ჭურჭურტანები. მეცნიერებმა იმ წამსვე დაანათეს სახელი **Cellula** (ცელულა). ეს შეუფერებელი სახელი დღემდე დარჩა და დარჩა..

შემდეგში, როდესაც მეცნიერებმა მთელი ორი საუკუნე, ორასი წელიწადი იკვლიეს და იძიეს, აღმოჩნდა რა უჯრა (ცელულა) აქ არაფერ შუაში იყო, ეს მისკროსკოპიული მარტივი სხეული ბუნებისა (ბამი) ეკვლა ცალკე ცალკე ორგანიზმის შეადგენს, ეატის, (აბრეშუმის) ჭიის პარკივით არიან შემოსილნი, რომლებშიაც თავისებური სიცოცხლე სწარმოებს და ვითარდება. როგორც კედელი აშენით აგურებით, ისე ქსელივით აუშენებიათ ამ პარკებს მთელი სხეული მცენარისა და ცხოველისა. ასე გასინჯეთ პარკსა და პარკს შუა დარჩომილი ცარიელი ადგილებიც კი უსაქმოდ არ არიან. დიად ამ პარკუნების თუ ბამების ერთი ერთმანეთთან მიწებებით აშენებულა ბოსტნის პაწია წიწმეტის სხეული და უზარმაზარ მებისაც, წიფელისაც; ღამაზი ჭრელი პეპელასი და ბუმბუკაზ სპილასიც.

რუსის მეცნიერებმაც ამ ასიოდე წლის წინად იღეს ლათინურიდან პირდაპირ გადმოს-

*) უჯრედის (**КЛѢТКА**) ნაცვლად წინეთ მე ვხმარობდი პარკუნა-ს, ბოლოს დოქტორმა ვირსალაძემ მირჩია ბამი და მართლაც საუცხოოა, ზედ გამოპირილი ტერმინია.

თარგმნეს **Cellula, КЛѢТКА, КЛѢТОЧКА**, რადგან უკეთესი არა მოეძებნებოდათ რა. ქაკ. თველებმაც თავი არ შეიწუხეს და ამ ნახევარ საუკუნის წინეთ არც აციეს და არც აცხელეს, ადგენენ და უჯრედი დაანათეს. რათა რომელ მართოლოგიურ საბუთებით? რა მოსაზრებით? აღარ იკითხავდენ... ეგვლამ ვიცით, რომ უჯრას ერთი მხარე სრულებით არა აქვს, ღია არის. ეს შედარება კი სრულებითაც არ ეთანხმება სინამდვილეს, ამ ელემენტარულ ორგანიზმოს ბუნებას. ქართვლებს გვაქვს საუკუნო ზედგამოჭრილი ტერმინი: **ბამი**. აი ეს ტერმინი უქველად უნდა გავამოფოთ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს სიტყვა ბამი ბევრს რასმეს გვეუბნება, მრავალ უპირატესობასთან თან იმასაც გვამცნებს, რომ იგია დასაბამი ყოველისა სიცოცხლისა—ყოველ ცოცხალ არსებას მცენარეს თუ ცხოველს აძლევს დასაბამს. სამაგიეროს აბა რას გვეუბნება დამსხვრეული უჯრედი!? წამსვე ოვადწინ წარმომიდგა უჯრა ყოველ მხრივ ღია, ან მინც ღია და ღია, ჰო და ღია უჯრაში როგორ უნდა გააჩეროთ პრეტოპლაზმის ღორწო, ბირთვები, ბირთვილები ხლოროფილი (მწვანა), მარცვლები სახამებლისა და კიდევ რამდენი რამ... ნუ თუ შესაძლებელია ეგვლას ის პრეტესი სიცოცხლისა, რაღა ბამში სწარმოებს, ღია უჯრაში მოხდეს!? თუ არა და ბამი ხო თითონ თავისთავადც განმარტობით სცხოვრობს, ვითარდება, მრავლდება. მოუიგონოთ მაგალითად ერთ ბამიანი მცენარეანი: **Amoeba proteus, Nostoc, oscillaria, Siphonaea, Botrydium, Caulerpa** და მრავალთა უმრავლესი ბაქტერიები...

საზოგადოთ ტერმინის შექმნისთვის აუცილებლად სჭირთა ორი რამ: 1) უნდა კარგად გვეჩინდეს შესწავლილი ქიმიური, ფიზიკური და ფიზიოლოგიური ბუნება თვით სხეულისა და 2) ზედ მიწევნით უნდა ვიცოდეთ ბუნება ქართულის ენისა—უნდა ვიცოდეთ წმინდა ქარ-

თუღი: ხაღხური და მეცნიერული, ძველი და ახალი. სხვა უზით ფონს ვერ გავაღთ ვერას დრას.

—

2) გუნდი ядро, ეს ტერმინი ქართულს ლიტერატურაში უკვე აწესებდას. ядро (ბოტანიკურად) არის ბირთვი და ядрышко ბირთვილი.

მაშ ასე ბაში, ბირთვი და ბირთვილი.

3) ჩუჩრუტები (სპონგიაში, დრუბელში) იქნება სჯობდეს ჭუჭრუტები, ასეა ქართულად.

4) დედო ჭია солитеръ ეს ტერმინი კიდე საიდან გამოატყვინეთ, ან რა საჭიროება მოითხოვდა ახალი ტერმინის შექმნას, შემდეგას!? Солитеръ-ის ჭქვია მუცლის პრტყელი ჭია და უფრო საღათ პრტყელი ჭია.

5) გაჭიმულ—გაწოწოლოტინავებულნიც (გვ. 23). საშინელეება! იტყოდით: მოგრძო ანუ წოწოლა. თუ არა და სცა ამდენი უცხო ტერმინები შემოკიტინათ, აქაც შეგეძლოთ გეხმარათ ბერძნული: პირამიდა, კონუსი, ანუ შეადარებდით შქრის თავს და სხვ...

6) დამბაღენი სიცოცხლისა. ეს ქართული არ არი. სჯობს ითქვას: დამბაღებელი, შემქმნელი, შემოქმენი სიცოცხლისა.

7) გემატოქსილინი. უნდა იყოს ჰემატოქსილინი. მეცნიერების დედა ენა არის ლათინური ენა და არა რუსული. ჭო და ლათინური Homatoxylini ჭემატოქსილინი იქნება და არა გემატოქსილინი. რად გვიკარგავთ ენის სიმდიდრეს!? რუსებს რა ჭ ანუ Н არა აქვს გეგეც ჩვენი ბრადია?!.. აფსუს...

8) სისხლის თეთრი ბუშთები. არავითარ შემთხვევაში! სისხლი განა ბუშთებს (ბუშტებს) შეიცავს. ბუშტი ხო ჰარკივითაა მაგალითად იტყვიან შარდის ბუშტი, пузырь, мочевоу пузырь. ჭო და ასე,— თქვენ ეტყობა გინდღათ გადატყვინათ бѣлые кровяныя шарики. მაშ ინებეთ: მარცვ-

ლები, ბირთვები, სორსლები, გუნდები და უფუელივე რაიცა ერთი შგრგვალი მცირე იყოს *).

9) გამოყვენავენ. ქართულად ითქმის გამოყოფენავენ.

10) რძით მკვებავნი (Млекопитающія) ეს ტერმინი უნდილია. ამის შესახებ უკვე ითქვა წარსულ წერილში „გუთანია“ რა გავარჩიეთ **).

11) კოფვა. უნდა იყოს გვალვა. რაგორც ღმერთი ერთია და დედა ერთია ასე ლიტერატურული ენა ერთი უნდა იყოს. ნუ რყვნით ენას. ჰრავინციალიზმებს რა ავეყეთ, მაშინ კვლავ უნდა გავუეთ საქართველო რგათ კი არა ბარე ათ ნაწილად. ეს ხო ბეცობა იქნება

12) მინების აფეთქების დრას. ქართულად მინას უძახიან შუშას, ჭიჭას და სხვ. უნდა იყოს ნაღმის ანუ ლალმების აფეთქების დრას. რა სიტყვაც საუკუნეებით გამოყვებულა ქართულში, იმას რა უფულებით განდევნით. ისესხეთ ხოლმე მაშინ რადესაც შინ არ მოგეპოებათ.

13) ცდები опыты. უნდა ითქვას ცდანი (ცდა), თორემ ცდები რა რუსულად ვსთარგმნოთ ошибается გამოვა, მით უფრო რა ქართულში ს უღაზიანობა ეხლად დიდ ცოდნად მაინცათ ქართულის ენისა.

14) ტენის ჭია мокрица. ამას ნამის ჭია ჭქვიან. ასეა უველასკან ხმობილი და ხმარებელი.

15) ჰაერგვარი газъ. ეს ტერმინი გაზი

*) ყველას კი ისა სჯობდა დაგერქმით ქართულადაც ლეიკოციტები. ამათზედ, ამ ჩვენი ჯანმრთელობის დარაჯებზე მე მექნება მკითხველთან ბაასი ჰიგიენის წერილში. დაწვრილებით მოგიხრობთ ლეიკოციტთა ფავოციტიურ მოქმედებას ჩვენს სხეულში მეტადრე მათს ბრძოლას ჰირის ბაქტერიების წინააღმდეგ და სხვ...

**) იხ. „განათლება“ 1913 წ. № 7.

(შგონი ფრანგულია) ისეთი ძვირფასი სიტყვაა, რომ ამის დამახინჯება შამაკვდინებულ ცოდვად უნდა ჩათვალოს ყველას. ვერც ერთს დარკს ვერ დამისახელებთ ბუნების მეცნიერებისას, რომ ეს ტერმინი გაზი ხელის ხელსაგომანებელი არ იყოს. ეს სიტყვა უოვლად უცვლელად უნდა გამოყდეს ქართულს ლიტერატურაში ისე, როგორც მთელს განათლებულ კაცობრიობას აქვს უცვლელად მიღებული.

როგორც ჩვენს ბრძენს წინაპარებს მიუღიათ ბერძნული სიტყვა **ჰაერი**, ისე ჩვენ, ზნეობრივ მოვალენი ვართ ჩვენს მომავალთა წინაშე ეს ფრად საჭირო სიტყვა **გაზი** გავამეფოთ ისე, როგორც ჰაერი გამოყდა ქართულს ენაში. მას ასე ბატონებო, ნუღა აურევთ მონასტერს, წმინდათა-წმინდას. სხვა რამეში შეიძლება ჟინიანობა, რაღაცნ ყველა ბარათს თავისი ფანტაზია სჭიკს, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი სოლიდარობა, დარბაი-სლობა გმართებსთ.

16) ღნება (მუჟაბადი წყაღში) უნდა ითქვას მუჟაბადი განზვადებდა წყაღში. ასე უფრო ქიმიურის არის და ქართულიც *).

17) თოვლქვეშ ფუფუნის არ შეუძლიათ თუგინდ უბრალო მწერებსაც. იქნება გინდო-ღათ ფუთფუთი გეთქვით.

18) სასოობენ (გვ. 56 სტრ. 7 ქვეკვიდ.) რა სიტყვაა, რა ზრით ხმარებული!? არიან ლექსნი: სასო (იმედი), სასოება (იმედნუღობა), სასოებიანი (იმედანი) მერე რას იმედნუღობენ თქვენი ცხოველები?

19) ნიადაგი (ПОЧВА) უნდა ითქვას ზედაგი. დედაშიწის იმ ხაწილს, რომელიც „უძრავად“ ნიადავ ძვეს უხმარად, ეთქმის ნიადაგი. ხოლო სადამდინარე კი გუთანი ჩაწვდება ამ ზედა პირს ჰქვიან ზედაგი.

*) ქიმიის გარჩევის დროს მე უკვე მოგახსენეთ, რომ მუჟაბადს თავი უნდა დავანებოთ, როგორც უზერხულ ტერმინს და უნდა გავამეფოთ ჟანგბადი ეს მშვენიერი აზრიანი ტერმი პროფესორის პეტრიაშვილის მიერ ნაანდერძავი.

ამ ტერმინების შესახებ (ნიადაგი, ზედაგი) ბევრი კვლევა ძიება ჰქონდა ხალხში, ჩვენს ცნობილს მეურნეს და მოღვაწეს ილია წინამძღვარიშვილს. გამოჰკითხა გუთნის-დედებს, მებადეებს, კალატოზებს და სხვათა. ბოლოს თავის გამოცემულ წიგნში (1889 წ. გამოქვეყნა. განათლებულ ქვეყნებში ამისთანა შრომას ჰატივისცემით მიიღებენ ხოლმე და მას მერე ამ დაკანონებულ მცნებას ადგიან. აღარ უხდებათ მეორედ და მესამედ საძიებელ საშუაო. თუ არ ასე, მას როგორ წავა საქმე წინ. ჩვენი ქართული დღეი სულ ანბანში ხო არ უნდა გაუტაროთ!? საზოგადოთ შენიშნულია: ვინც კი ქართულს სამეცნიერო ლიტერატურას შეახებს ხელს, თუ გინდ მბღაჟნავიც იყოს, ყველა დავით აღმაშენებლობას ჩემულობს. ეს კი სულ იმისი ბრადია, რომ კრიტიკა არ გაგვანია. ჩვენში მეტის მეტად უზარებათ, გამძიმებათ კრიტიკის წერა — „ეჰ! აუტკივარი თავი რად ავიტკიო, რათ მოვიძულეო ავტორიო... ჰატარა ოჯახი ვართ (მწერლები) უოველდღე ერთმანეთს ვხუდავთ და რაღაც უხერხულობას გრძნობ კაცი თუ გინდ ცათამდე მართალი იყო... ამისთანა ცრუ აზრი და შეხედულობა სწორედ რა სამშობლოს დაღატად მიმანია, რადგან დიდად ღუზავს ქართულ საქმეს, აფერხებს ქართულ ლიტერატურის ევალუტაციას, განვითარებას, წინსვლას...

მას საუკეთესო პირთებში მე ვუოფილვარ, ექვსი ათას ფუტის სიმადლეზე ვზი ჯავახეთში და ვწერ ამ კრიტიკას. ხოლო ამ ორ წელიწადში ვისი შრომაც გავარჩიე და ვარჩევ, არც არავის ვიცილობ და არც თვალთ მიხაზვანან, ისიც საუჭვოა, რომ რადისმე მათ შევხუდე. მას განვავრძოთ.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.

სწიგნი

ქ. შ. წერა-პითხვის გამავრცელებ.

საზოგადოების მოქმედებისა.

მოკლე მიმოხილვა

სოხუმის განყოფილების მოქმედებისა დღიდან მის დაარსებისა ვიდრე პირველ იანვრამდე 1914 წ. *)

1909 წლის 31 მაისს შესდგა დამფუძნებელი კრება ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების სოხუმის განყოფილებისა, რომელზედაც თანახმად საზოგადოების ინსტრუქციისა არჩეულ იქმნა განყოფილების გამგეობა. ეს წელიწადი მიწერ-მოწერასა და განყოფილების დამტკიცებაში გავიდა, ხოლო განყოფილებამ 1910 წ. პრაქტიკულ მუშაობას ხელი მიჰყო, და 14 იანვარს უკვე გაიმართა პირველი წინაობა ქ. სოხუმში საზოგადოების განყოფილების სასარგებლოდ. აი ამ დღიდან განყოფილებამ სისტემატიურ მუშაობას მიჰყო ხელი. გამგეობის წევრები გაიყვნენ ორ სექციად: სასკოლო და საამშენებლოდ. სასკოლო სექციამ იმავე წელს 8 სექტემბერს გახსნა პირველად ქართული სკოლა აფხაზეთში. ქ. სოხუმში, ბ. საჩინო (იგივე არჩილ) იოსელიანის მიერ ერთის წლით მუქთად დათმობილ შენობაში. ეს დღე მზიანი დღე იყო სოხუმელ ქართველებისათვის: სკოლის კურთხევამ მთელ სოხუმელ ქართველობას მოუყარა თავი... სკოლას დიდ ძალი ბავშვები მოაწყდნენ, ბევრს მათგანს უარიც ეთქვა უადგილობის გამო. მიღებულ იქმნა 48 მოწათე ორივე სქესისა. 1911 წელს მიღებულ იქმნა 60, 1912 წ. კი 63, ხოლო 1912 წელს 92 ბავშვი. ამ ჟამად საგნების სამი მასწავლებელია სკოლაში; ხოლო მეოთხე გალობის მასწავლებელი. გადაწყვეტილია 1914 წლის პირველ სექტემბრიდან მოიწვიონ მეოთხე მასწავლებელიც.

საამშენებლო კომიტეტიც ამავე 1910 წელს შეუდგა საკუთარის შენობის შედენის თავდარიგს, ხოლო 1911 წ. გაზაფხულზე უზარ-მაზარ შენობას საძირკველი

*) რადგანაც დღემდის ტეხნიკურ მოწყობადობის გამო განყოფილებას ვრცელი ბეჭდური ანგარიშები არ მოუპოვებ, ამიტომ ამ მოკლე მიმოხილვას აქვე ვათავსებთ.

ჩაუყარა ქალაქის მიერ მუქთად დათმობილ ადგილზე, რომელსაც ოთხივ მხრივ უვლის ქუჩები. ეს ადგილი ზომით არის $27 \times 48 = 1296$ კვადრატული საყენი. შენობის ორი მესამედი უკვე დამთავრებულია, და მასზე დახარჯულია 1914 წლის 20 მარტამდის 17,304 მანეთი და 59 კაპ.

მოკლე ანგარიში

სოხუმის განუოფილებების შემოსავალ-გასავალის (სკოლის ფონდი) 1914 წ. 1 იანვრამდის.

1909 და 1910 წ. წ.

შემოსავალი:

1. საწევრო გადასახადი	455—00
2. ნინაობა 1910 წელს	354—00
3. 1910 წლის 30 აგვისტოს შემოსავალი	268—14
4. შემოწირულებანი	100—
	<u>1177—14</u>
	<u>—802—98</u>
ნაშთი	374—16

გასავალი:

1. მთავარ გამგეობას % %	90—00
2. ბეჭედი, ზარი და სხვა და სხვა	32—78
3. მასწავლებლის ბინის ქირა	150—
4. სკოლის დგამი (მებელი)	160—
5. სკოლის მოსამსახურეს	55—
6. მასწავლებლებს ჯამაგირი	215—
7. წიგნები, რუქები და სხვ.	60—20
8. ათარას მამულზე დაიხარჯა	40—
	<u>802—98</u>

1911 წელი.

შემოსავალი:

1. წინა წლების ნაშთი	374—16
2. ნინაობა	602—10
3. შემოწირულებანი	175—00
4. სექტემბრის კონცერტი	158—77
5. ქალაქის სუბსიდია	300—00

6. საწევრო გადასახადი	615—50
7. ყულაბებით შეგროვილი	43—18
8. ოთახის ქირა	39—50
	<u>2308—21</u>

გასავალი:

1. მასწავლებელთა ჯამაგირი	1438—33
2. სკოლის მოსამსახურეს	200—00
3. სკოლის დგამი, სურათები, წიგნები, აფიშები და სხვა და სხვა	212—20
4. განათება და გათბობა	185—38
5. მოულოდნელი ხარჯები	40—00
6. წვრილმანი ხარჯები	50—19
7. სკოლის ბინის ქირა	291—65
	<u>2417—75</u>

დეფიციტი: 2417 მ. 75 კ.—2308 მ. 21 კ.=109 მ. 54 კ.

1912 წელი.

შემოსავალი:

1. ნინობა	1048—53
2. მაისის სეირნობა	405—
3. ოთახის ქირა	85—
4. ქალაქის სუბსიდია	300—
5. სექტემბრის კონცერტი	27—92
6. ნოემბრის სეირნობა	173—61
7. ყულაბები	97—43
8. შემოწირულება	120—
9. საწევრო გადასახადი	589—
	<u>2846—49</u>

გასავალი:

1. 1911 წ. დეფიციტი	109—54
2. მასწავლებელთა ჯამაგირები	2206—
3. სახლის ქირა	408—35
4. მოსამსახურეს ჯამაგირი	200—
5. მოულოდნელი ხარჯები	91—20
6. განათება და გათბობა	70—53
7. კანცელიარია	20—11

8. სკოლის დგამი	135—00
9. ბიბლიოთეკა	5—70
10. წვრილმანი ხარჯები	29—82
	<u>3276—25</u>

დეფიციტი: 3276 მ. 25კ.—2846 მ. 49 კ.—429 მ. 76 კ.



სოხუმის განყოფილების მოქმედების 1913 წ. ანგარიში

გამგეობის შედგენილება:

	კრებს დაესწრო
1. * თავმჯდომარე—ანჩაბაძისა, კნ. მარიამ ნიკოლოზის ასული	13
2. მისი ამხანაგი—გაბუნიასი, ელენე სიმონის ასული	3
3. * მდივანი—ჯანაშია, ნ. ს.	14
4. * ხაზინადარი—გოგრიჩიძისა, ოლლა დიმიტრის ასული	9
წევრები:	
1. * თურქიასი, ნინო ალექსანდრეს ასული	9
2. კაჭარაევასი, ნადეჟდა პავლეს ასული	2
3. * ლოლუასი, სალომე თეიმურაზის ასული	10
4. შერვაშიძისა, კნ. მარიამ დავითის ასული	2
5. ანუა, ტიმოთე ივანეს ძე	3
6. გრიგოლია, ალექსანდრე ლუკას ძე	4
7. * თავდგირიძე, თავ. ნიკო ყარამანის ძე	4
8. * თურქია, გახუ პეტრეს ძე	11
9. * თურქია, ბეგლარ პეტრეს ძე	10
10. კაჭარავა, ელიზბარ პეტრეს ძე	1
11. მალლაკელიძე. მიხეილ მერაბის ძე	2
12. მახარაძე, გრიგოლ ამბაკოს ძე	4
13. შათირიშვილი, თეოფილე გ.	4
14. * შენგელია, რაჟდენ თენგიზის ძე	11
15. * ჩიქოვანი, ნიკო გიორგის ძე	7
16. ჩხიკვაძე, ალექსანდრე გიორგის ძე	3
17. * ჯუღელი, ანთიმოზ ივანეს ძე	12

შენიშვნა: ვისაც გვარის წინ ვარსკვლავი უზის, ის შედიოდა ძველ გამგეობაშიც. ამათ გარდა ძველ გამგეობაში შედიოდნენ შემდეგი პირნიც:

1. ავალიშვილისა, კნ. ანნა ნიკოლოზის ასული	2
2. მახვილაძისა, ელენოროა მიხეილის ასული	1

	სხდომას დაესწახენ.
3. თურქიასი, თეკლე კონსტანტინეს ასული	4
4. მალაქელიძე, ილარიონ მერაბას ძე	4
5. ცეცხლაძე, ივანე ზოსიმეს ძე	2
6. მახვილაძე, ვლადიმერ ძიხელიძის ძე	2
7. მაჭავარიანისა, ნინო პავლეს ასული	1
8. ღუნდუა, სპირიდონ ივანეს ძე	7
9. სინაძე, ალექსანდრე ბეჟანის ძე	7

სარევიზიო კომისია: 1. ლოლუა იოსებ, 2. გოგრიჩიძე ვასილ, 3. ჭყონია პავლე.

კანდიდატები: ცეცხლაძე ნიკო, წიფწივაძე ვარლამ.

გამგეობაში არსებობს საამშენებლო კომისია:—კომიტეტის წევრნი:


1. ჯუღელი ანთიმოზ (ავმჯდომარე), 2. ანუა ტიმოთე, 3. თურქია გახუ,
4. თურქია ბეგლარ, 5. მალაქელიძე მიხეილ, 6. ჩიქოვანი ნიკო, 7. შენგელია
- რაჟდენ, 8. შათირიშვილი თეოფილე.

1913 წლის განმავლობაში ძველ გამგეობას ჰქონდა 8 სხდომა და ორი საზოგადო კრება.

ახალმა გამგეობამ დაიწყო მოქმედება 30 ივნისს და ჰქონდა 4 სხდომა.

ძველმა გამგეობამ გააჩნია 27 საქმე, ახალმა კი—21.

საზოგადო კრება იყო ორჯერ: 3 თებერვალს და 16, 23 და 29 ივნისს. ნამდვილი წევრი იყო 296, ხოლო კანდიდატი 12.



მ ქ მ ი

სოხუმის განყოფილების წევრთა საზოგადო კრებისა (1913 წ. 16, 23 და 29.

1913 წელს 16 ივნისს მოხდა სოხუმის განყოფილების წევრთა წლიური საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 65 წევრი. კრებას თავმჯდომარეობდა განყოფილების თავმჯდომარე კნ. მ. ნ. ანჩაბაძისა, მდივანია—ნ. ს. ჯანაშია.

განსახილველი საკნები:

1. ახალ წევრთა მიღება.
2. საპატიო წევრთა არჩევა.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. განხილვა და დამტკიცება გამგეობის წლიური ანგარიშისა.
5. განხილვა და დამტკიცება საამშენებლო კომიტეტის ანგარიშისა.
6. 1913 წლის სავარაუდო ხარჯთ-ალრიცხვა.
7. საწევრო გადასახადის შემცირება.
8. გამგეობის მოხსენება.
9. საამშენებლო კომიტეტის მოხსენება.
10. არჩევა გამგეობის 13 წევრისა, საამშენებლო კომიტეტის 8 წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა.

1. კრებამ თავმჯდომარის წინადადებით თანახმად მათი თხოვნისა განყოფილების წევრებად ერთხმად მიიღო შემდეგი პირები: 1) ჩიქოვანი იუსტინე, 2) გრიგოლია ალექსანდრე, 3) გრიგოლიასი მენიკი, 4) მახარაძე გრიგოლ, 5) მახარაძე აქესენტი, 6) წიგწივაძე ვარლამ, 7) კარანაძისა ელუკი, 8) ჩაჩავა ანტონ, 9) გაბუნიასი ელენე, 10) შენგელია მელიტონ, 11) ნინუა სამსონ, 12) ნინუა ანტონ, 13) ჯამუხაძე მალაქია, 14) თოდუა ნიკო, 15) ლიფონავა ლევან, 16) ხოშტარია ნესტორ, 17) თევზაიასი ნინო, 18) გერსამია ილიკო, 19) ემუხვარი, თავ. ვლადიმერ, 20) ჯანჯღავა კოსტა და 21) თოფურძე შანშე.

2. კრებამ, მიიღო რა მხედველობაში ქვემო ჩამოთვლილ პირთა თვითოვეულის დამსახურება ნორჩ საზოგადოების წინაშე, საზოგადოების წესდების § 9 ძალით ერთხმად დაადგინა: მიღებულ იქმნან საზოგადოების სოხუმის განყოფილების საპატაო წევრებად: 1) ბახვა მოსეს ძე გაბუნია, რომელმაც განყოფილებას შესწირა ორმოცი ქცევა მიწა სოფელ ათარაში, 2) ილარიონ მერაბის ძე მალლაკელიძე, რომელმაც განყოფილების კასსაში შემოიტანა 600 მან. ნაღდათ და გარდა ამისა დიდს დახმარებას უწევს განყოფილებას და 3) არჩილ (იგივე საჩინო) ივანეს ძე იოსელიანი, რომელმაც ფულად შემოსწირა 441 მ. 15 კაპ., ერთის წლით უფასოდ დაუთმო ოთხას მანეთად ღირებული ბინა სკოლას და აგრეთვე აღუთქვა აჩუქოს მომავალ ქართულ სცენას სცენის მოწყობილება.

4. და 8. განყოფილების მდივანმა ნ. ჯანაშიამ წაიკითხა 1912 წლის ანგარიში და გამგეობის მოქმედების მოკლე დახასიათება, რომელნიც კრებამ ერთხმად დაამტკიცა.

3, 5 და 9. საამშენებლო კომიტეტის მოქმედების ვრცელი ანგარიში და მოხსენება წაიკითხა ამ კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ანთიმოზ ივანეს ძემ ჯუღელმა, რომელიც თვითველ მუხლზე აძლევდა ვრცელ განმარტებებს საზოგადოებას. მასთან სარევიზიო კომისიის წევრმა ბ. პ. შ. ჭყონიამ წაიკითხა ამ კომისიის ვახსენება. ხანგრძლივ კამათის შემდეგ ანგარიში დამტკიცებულ იქმნა 62 ხმით წინააღმდეგ 3.

6. განყოფილების მდივანმა ნ. ჯანაშიამ წაიკითხა 1913 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და თან განმარტა, რომ გამგეობამ შესაძლებლად ვერ სცნო უსახსრობისა გამო მეოთხე განყოფილებისათვის ცალკე მასწავლებელი. ხანგრძლივ კამათისა და საკითხის ყოველმხრივ აწონ-დაწონვისა კრებამ დაადგინა: მიენდოს ახალ გამგეობას, თუ საშუალება ნებას მისცემს, მოიწვიოს მეოთხე მასწავლებელი. და ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა. აი თვით ხარჯთ-აღრიცხვაც 1913 წლისათვის.

მოსაფრენელი შემოსავალი:

1. 1913 წ. ნინოების შემოსავალი	1625 — 63
2. შემოწირულება	150 —
3. მაისის სეირნობა	398 — 42
4. სუბსიდია ქალაქისა	300 —
5. შეგროვილი ყულაბებით	100 —

6. საწვერო გადასახადი	700—
7. სეირნობა შემოდგომაზე	300—
8. წარმოდგენა	190—
	<hr/>
	3763—5

გასავალი:

1. ვალი 1912 წ.	429—76
2. სკოლის გამგის ჯამაგირი	20—
3. ჯამაგირი მეორე მასწავლებელს	900—
4. ჯამაგირი მესამე მასწავლებელს	340—
5. გალობის მასწავლებელს	90—
6. სკოლის მოსამსახურეს	240—
7. სკოლის გამგის ბინა	360—
8. საპენსიო კასსაში შესატანი	72—
9. განათება და გათბობა	200—
10. ხელსაქმის მასწავლებელს	60—
11. შენობის დაზღვევა	31—29
12. ბიბლიოთეკა და კანცელიარია	60—
13. მოულოდნელი ხარჯები	100—
14. ოცი პარტა	160—
	<hr/>
	3763—5

ამ რიგად მოსალოდნელია შემოსავალი სამი ათას შვიდას სამოცდასამი მანეთი და ერთი შაური, ხოლო გასავალი ამდენივეა.

მეშვიდე საკითხმა—საწვერო ფულის დაკლებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. მაგრამ, რადგანაც უკვე გვიან იყო, თავმჯდომარემ კამათი შესწყვიტა და კრების ვაგრძელება დანიშნა 1912 წ. ივნისს, საღამოს ხუთ საათზე.

23 ივნისის კრებაზე მოვალა მხოლოდ 34 წევრი, და დაიწყო კამათი ისევ მეშვიდე საკითხის შესახებ. მთელი რიგი ორატორთა: მაგ. ბ.ბ. ს. ცხომელიძე, ბ. დგებუაძე, გ. წივწივაძე, გრ. მახარაძე და სხვანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ საჭიროა საწვერო გადასახადის შემცირება, და მით უნდა მიეცეს მდაბიო ხალხს საშუალება ეროვნულ საქმეს დაუახლოვდეს და შეიყვაროს, შეითვისოს. ამ მოსაზრებით მოითხოვეს მათ საზოგადო კრებამ დაავალოს გამგეობას აღძრას მთავარ-გამგეობის წინაშე საწვერო გადასახადის მანეთამდის შემცირების შესახებ შუამდგომლობა. ხოლო მეორე რიგი ორატორთა, მაგ. ბ.ბ. ტ. ივ. ანუა, ი. ტ. ლოლუა, ალ. გ. ჩხიკვაძე და სხვანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ჯერ-ჯერობით ამ საკითხის აღძვრა შეუძლებელიაო. თავმჯდომარემ საკითხი გამორკვეულად გამოაცხადა და კენჭი უყარა შემდეგ წინადადებას: შესაძლებლად სცნობს თუ არა კრება ამ ჟამად საწვერო გადასახადის შემცირებას. კრებამ 33 ხმით წინააღმდეგ 6-სა შეუძლებლად სცნო ამ ჟამად საწვერო გადასახადის შემცირება. ამის შემდეგ დაიწყო არჩევნები, მაგრამ რადგანაც გვიანი იყო, და წევრნი წავიდნენ, გადაიღო 29 ივნისისათვის.

29 იენისის კრებაზე მოვიდა 58 წევრი. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ დაადგინა გამგეობაში აირჩიოს 13 წევრი და საამშენებლო კომიტეტი რვა, სულ 21 კაცი, რომელნიც უნდა იყვნენ თანასწორ უფლებიან წევრებად გამგეობისა, ხოლო გამოყოფა საამშენებლო კომიტეტის წევრთა—გამგეობის წევრთავე მიანდო კრებამ. დახურულ კენჭის ყრით ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ: 1. ანჩაბაძისა კნ. მ. ნ., 2. მახარაძე, გ., 3. თურქიასი ნ., 4. თურქია გახუ, 5. გოგრიჩიძისა ოლ., 6. შათირიშვილი თ., 7. ლოლუასი სალ., 8. თავდგირიძე თავ. ნ. ყ. 9. გრიგოლია ალ., 10. ცეცხლაძე ივ., 11. შერვაშიძისა კნ. მ., 12. გაბუნიასი ალ., 13. თურქია ბ., 14. ანუა ტ., 15. ჯუღელი ან. 16. ჩხიკვაძე ალ., 17. კაჭარავასი ნ., 18. ჩიქოვანი ნ., 19. მალლაკელიძე მ., 20. შენგელია რ. და 21. კაჭარავა ელ. ხოლო ვინაიდგან ბ. ცეცხლაძემ უარი განაცხადა, გამგეობის წევრად დაინიშნა კანდიდატი ნ. ჯანაშია.

სარევიზიო წევრებად ისევ ძველები არჩეულ იქმნენ: 1. ჭყონია, პ. შ., 2. გოგრიჩიძე ფ. ლ. და 3. ლოლუა ი. ტ. მათ კანდიდატებათ ბ.ბ. ნიკო ცეცხლაძე და ვარლამ წიგწივაძე.

კრების თავმჯდომარე კნ. მ. ნ. ანჩაბაძისა.

მდივანი ნ. ჯანაშია.

1913 წ. შემოსავალ-გასავალი.

შემოსავალი:

1. ნინოზა	1556—68
2. შემოწირულებანი	277—
3. საწევრო ფული	711—
4. ქალაქის სუბსიდია	300—
5. ყულაბები	40—98
6. მისის სეირნობა	398—42
7. ოქტომბრის წარმოდგენა	170—
	<hr/>
	3453—88

გასავალი:

1. სკოლის შენახვა	2575—28
2. 1912 წ. ვალი	429—76
3. საამშენებლო კომიტეტში გადავიდა	172—91
4. ინვენტარი	207—
5. მსახურს	240—
6. სხვა და სხვა	39—94
7. შენობის დაზღვევა	31—29
8. საკანწილარიო და წერილმანი ხარჯები	93—98
	<hr/>
	3790—16

* ამ რიგად 1913 წ. ხარჯი მეტია შემოსავალზე 336 მან. 28 კაპ., რომელიც დაფარულ იქნა 1914 წლის შემოსავლიდან.

ამ რიგად განყოფილების დაარსების დღიდან 1914 წლის პირველ იანვრამდის შემოსულა სკოლის ფონდში 9411 — 56

გასავალი კი 9747 — 85

ვალთა 1914 წ. პირველ იანვრისათვის 336 — 28

ხოლო საამშენებლო კომიტეტს დაუხარჯავს შენობებზე . 17304 — 39

სული კი განყოფილებას დაუხარჯავს 27052 23

სოხუმის განყოფილების გამგეობა.

სოხუმის განყოფილების 1913 წ. მოქმედების მოკლე მიმოხილვა.

ქართველთა შ. წ.-კ.: გამავრცელებელ საზოგადოების სოხუმის განყოფილების გამგეობას, როგორც წინა წლებში, ისე საანგარიშო 1913 წელსაც მთელი თავისი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სკოლის დამთავრებასა და შენობის აგებაზე; და ამიტომაც სხვა მორიგ საკითხს ხელი ვეღარ მიჰყო იმ შიშით, ვაი თუ ორი მდევრის მდგომარეობაში არ ჩავარდეთ. საანგარიშო წელს სკოლის შენობაში დაამთავრა კიდევ ორი ოთახი (სულ ეხლა ხუთი ოთახია დამთავრებული), დიდს სარეკრეაციო დარბაზს კარ-ფანჯარები ჩამოჰკიდა, გაუკეთა შავი იატაკი და დიუმოვკებით დააგო იატაკი, რითაც საშუალება მიეცათ მოწაფეთ ავღრის დროს თავი შეაფარონ; სკოლისაკენ მისასვლელი გზები და ეზოს ნაწილი მოზვინა ხრეშით; ძველი ფარდული გადაიტანა ქუჩის პირად, გადაჰკედლა და ხუთი სამქედლო გამოიყვანა, — ორი უკვე გაქირავებულია თუთხმეტ-თუთხმეტ მანეთად თვეში თითო, სამი გასაქირავებელია (მსურველთ დროზე ვერ ჩავაბარეთ და ამიტომ დაგვირჩა გაუქირავებელი). ამრიგად მდგომარე წლის ოც მარტამდის შენობებზე დახარჯულია საამშენებლო კომიტეტის მიერ ჩვიდმეტიათას სამასოთხი მანეთი და 93 კაპ. (17304 მ. 39 კ.). ამასთან ქალაქის თვითმმართველობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა მამულის ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების სახელზე საკუთრებათ დამტკიცების შესახებ, და იმედია, ადრე თუ გვიან, ეს საქმე სასურველად დასრულდება. აგრეთვე აღძრულ იქნა შუამდგომლობა სახალხო სკოლათა ადგილობრივ ინსპექტორის წინაშე საკვირაო სკოლის ნებართვის შესახებ, — ბ. ინინექტორიც დაგვიპირდა, და ამრიგად გამგეობა მომავალ შემოდგომიდან აპირებს საკვირაო სკოლის გახსნას. რადგანაც დღითი-დღე მატულობს მოწაფეთა რიცხვი სოხუმის სკოლაში, გამგეობამ გადასწყვიტა მოიწვიოს მომავალ ენკენისთვიდან მეოთხე მასწავლებელი, რომელსაც ჯამაგირად ენიშნება თვიურად ხუთი თუმანი, თუ მომავალმა საზოგადო კრებამ ნება დართო.

ამასთან დაეძენთ, რომ სკოლის შენობის დასამთავრებლად კიდევ საჭიროა

5—6 ათასი მანეთი,—გამგეობას კი არავეთარი წყარო არ მოეპოვება და არ იცის, რით და როგორ მოუაროს საქმეს. დამთავრება კი უეჭველად საქირთა.

განყოფილების თავმჯდომარე **კნ. მ. ნ. ანჩაბაძისა.**

მდივანი **ნ. ჯანაშია.**

1914 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა

შემოსავალი:

1. საღამოებისა, კონცერტებისა და სხვა	. 2391—70
2. ქალაქის სუბსიდია	. 300—
3. შემოწირულებანი	. 200—
4. სამკედლოების შემოსავალის 50% (მეორე ნა- ხევარი საამშენ. კომიტეტი)	. 275—51
5. საწევრო გადასახადი	. 700—
	<u>3867—21</u>

გასავალი:

1. 1913 წლის ვალი	. 336—28
2. სკოლის გამგის ჯამაგირი	. 720
3. მეორე მასწავლებელს ჯამაგირი და ბინის ქირა	. 990—
4. მასწავლებელ ქალს	. 480—
5. მეოთხე მასწავლებელს (1 სექტემ. 1914 წ.)	. 200—
6. გალობის მასწავლებელს	. 120—
7. საპენსიო კასსაში შესატანი	. 72—
8. მოსამსახურეს (თვიურად 23 მან.)	. 276—
9. განათება და გათბობა	. 120—
10. უძრავ-მობრავ ქონების დაზღვევა	. 62—93
11. ბიბლიოთეკა და კანცელარია	. 100—
12. ათი პარტა, ორი შკაფი, ერთი დაფა და სხვა	. 180—
13. სკოლის ეზოს მოზინვა ხრეშით	. 100—
14. მოულოდნელი ხარჯები	. 100—
	<u>3867—21</u>

განყოფილების საპატო წევრნი:

1. ბანვა მოსეს ძე გაბუნია, 2. არჩილ (იგივე საჩინო) ივანეს ძე იოსელიანი, 3. ილარიონ მაღლაკელიძე.

ნამდვილი წევრნი:

ადამია ლევან, ადამია იოსებ, აბზიანიძე სპირდონ, აბაშიძე ვასილ, ადამია ვასილ, ადამია ვარლამ, ადამია მალაქია, ადანაია კონსტანტინე, ავალიშვილისა ანნა, ალშიბაია ლევან, ანუა ტიმოთე, ანჩაბაძისა მარია, ანჯაფარძე ვარლამ, ანდლულაძე ტარასი, არობელიძე ერმილე, აფშილავა პეტრე, აფხაზავა დიმიტრი.

ბაკურაძე მინა. ბჟალავა ანდრია, ბახტაძე იაკინთე, ბახტაძე ილია, ბარკალაია სიმონ, ბერულავა ბაგრატ, ბერულავა მღვდ. ივანე, ბერულავა ოლლა, ბოლქვაძე შარვან, ბოლქვაძე დიმიტრი, ბახტაძე მათე, ბახტაძე ვიქტორ, ბუკუჩავა ილარიონ, ბურჭულაძე ივანე, ბურჭულაძე არსენ, ბასილაია ერისტო, ბაქრაძე ბესარიონ.

გალდავაძისა ანნა, გალდავაძე ანტონ, გვაზავასი ალექსანდრა, გვაზავა მღვდ. მიხელ, გვაზავა გრიგოლ, გვაზავასი ანასტასია, გვარამია ნიკო, გეგენავა ეგნატე, გვალია გიორგი, გვალია ტარიელ, გიორგობიანი ალექსანდრე, გეგელაშვილისა ნინა, გეგელაშვილი ანტონ, გეგელაშვილი იასონ, გულუა ნიკო, გაბუნია ელენე, გოჩოლეიშვილი ჩ., გოჩოლეიშვილი სილიბისტრო, გოჩოლეიშვილი კალისტრატე, გოჩოლეიშვილ ვარლამ, გუგუშვილი მარკოზ, გაბისონია მელიტონ, გიგინეიშვილი მიხელ, გვათუა ევსესი, გოგრიჩიძისა ოლლა, გოგრიჩიძე ვასილ, გურგენიძე მიხელ, გურჯიანი პეტრე, გოგსაძე ალექსანდრე, გუგუშვილისა ანასტასია, გოგია იორდანე, გაგუა ივანე, გაბესქირია სტეფანე, გვასალია ჩაკუ, გაბუნია ბესარიონ, გრიგოლია მენიკი, გრიგოლია ალექსანდრე, გერსამია ილიკო, გობეჩია სარდიონ.

ღუნდუა სპირდონ, დოლიძე ილია, დოხნაძე მელიტონ, დგებუაძისა თამარ, დადიანისა ოლლა, დადიანი გრიგოლ, დავითაისი ანნა, დანელია თევდორე, დავითულიანი სპირიდონ, დემურია სოლომონ, დგებუაძე ბენედიკტე.

ერქომანიშვილი გრიგოლ, ერქომანიშვილი ნიკიფორე, ერქომანიშვილი ივანე, ერქომანიშვილისს თეოდორა, ერქომანიშვილი ფილიპე, ესაკია მაქსიმე, ეზაკელი ივანე, ეფრემეშვილი სოლომონ, ემუხვარი კნ. ნადეჟდა, ემუხვარი თავ. ვლადიმერ, ერქომანიშვილი ვასილ.

ზაქრაძე კოსტა.

თავდგირიძისა კნ. ევტერპი, თავდგირიძე თ-დი ნიკო, თურქია ზაქარია, თურქიასი ნინო, თურქია ბეგლარ, თურქიასი თეკლე, თურქია გახუ, თურქია ალექსი, თურქია იასონ, თურქია ბუძღუ, თურქია დიმიტრი, თურქია ანნა, თურქია ტარასი, თოფურძე შამშე, თევზაია ნინო, თოდუა ნიკო, თევზაია სოლომონ, თევზაიასი ბარბარე, თოფურძე არხიპო, თოფურძისა ალათი, თოფურძისა ნინო,

თოფურძე მღვდ. ამბაკო, თავაძე გიგო, თაყაიშვილი თამარ, თურქია მელიტონ, თოფურძე ლუკა.

ინალიფა თ. ასთამურ.

კალანდარიშვილი პავლე, კაჭარავა ელიზბარ, კაჭარავასი შარიაშ, კაჭარავა ალექსი, კაჭარავა რომანოზ, კლდიაშვილისა შარიაშ, კარანაძე როსტომ, კილაძე სამსონ, კარანაძისა ედუკი, კოზმავე ივანე, კილურაძე მოსე, კუხალეიშვილი სევერიანე, კუხალეიშვილი სპირიდონ, კაკუბავა სკვინჩი, კაკუბავა რაჟდენ, კოკაია ნიკო, კინწურეიშვილი აქვსენტი, კვიტატიანი ალექსი, კვახაძე ალექსანდრე, კვაშილავე ალექსანდრე, კაკუბერი სიკო, კობახიძე იასონ, კეთილაძისა ქრისტინე, კაკულია ფარნა, კეთილაძისა ელისაბედ, კიცხალია ანტონ, კიკვაძე ილია, კაჭარავასი ნადეჟდა.

ლიფონავა ლევან, ლოლუასი სალომე, ლომინაძე რაჟდენ, ლოლუა იოსებ.

მიმინოშვილი ივანე, მიმინოშვილი გრიგოლ, მალლაკელიძე მიხეილ, მალლაკელიძისა ევა, მალლაკელიძისა შარიაშ, მალლაკელიძე ნესტორ, მილორავე ნესტორ, მილორავე იაგორ, მოლარიშვილი არსენ, მახარაძე გრიგოლ, მახარაძე აქვსენტი, მარღანია სამსონ, მიქაძე ვარლამ, მახარაშვილი ნესტორ, მახარაშვილისა ანასტასია, მოსიძე ილია, მუმულა ივანე, მაჭავარიანისა ნინო, მელაძე სევერიანე, მგალობლიშვილისა ეკატერინე, მგელაძე კოწია, მიქელაძე ივლიანე, მიქელაძისა კნ. კონია, მახვილაძე ვლადიმერ, მახვილაძისა ელენოროა, მიქავა მარკოზ, მელაძე კლასიონ, მალლაკელიძისა შარიაშ, მალლაკელიძე სილიბისტრო, მალლაკელიძე პორფირე.

ნინუა სამსონ, ნადარეიშვილი აქვსენტი, ნინუა ანტონ, ნადარეიშვილი ეგნატე.

სანაძე მოსე, სანაძე ალექსანდრე, სიჭინავა იოსებ, სიჭინავა ლევან, სოლოგუბისა გრაფ. ელენე, საჯაია ნიკო, სიჭინავა ნიკო, სოხაძე ტრიფონ, საბაშვილისა ალექსანდრა, საბაშვილი ერისტო.

ტაბიძე გრიგოლ, ტაბიძე ივლიანე, ტულუში ნესტორ, ტუსკია ვლადიმერ ტაბიძე დიმიტრი.

ურდია გრიგოლ, ურდია პავლე, უჩანეიშვილი იოსებ, უჩანეიშვილისა შინალორა, ურუშაძე ნოე, ურიდია გიორგი.

ფუტყარაძე ლუკა, ფანცულაია ბესარიონ, ფაჩულია ნესტორ, ფარცვანია იოსებ.

ქარდავა დიმიტრი, ქარცივაძე ლევან, ქაჯაია ალექსანდრე, ქორჩილავე ფ., ქუბრიძე ნოე, ქოიავე ალექსი, ქობალავა დავით, ქუთათელაძე ვლადიმერ.

ღლონტი მასიკო, ღლონტი ივანე, ღლონტი მელიტონ.

შერვაშიძისა კნ. ალათი, შენგელაია მელიტონ, შერვაშიძისა ტერეზია, შერვაშიძისა შარიაშ, შერვაშიძე ალექსანდრე, შერვაშიძე კონსტანტინე, შონია დიმიტრი, შენგელაია ილარიონ, შენგელაია რაჟდენ, შავიშვილი არტემ, შათირიშვილი თეოფილე, შამათავა გრიგოლ, შანგუა ტარასი.

ჩიქოვანი ნიკოლოზ, ჩიქოვანი იუსტინე, ჩიქოვანი კოწია, ჩხარტიშვილი რაყედენ, ჩხარტიშვილი მილოსი, ჩხარტიშვილი ლუკა, ჩარგაზია ვასილ, ჩაჩავა კონსტანტინე, ჩაჩავა პორფილე, ჩიტავა ანნა, ჩილაჩავა ნესტორ, ჩაბრავა კოსტა, ჩაბრავა ფარნა, ჩაჩავა პეხუ, ჩაჩავა ანტონ, ჩიჩუა მანუჩარ, ჩიტაია ილარიონ, ჩხიკვაძე ალექსანდრე.

ცანავა ანდრია, ცხომარია მიხეილ, ცეცხლაძე ივანე, ცეცხლაძე ნიკო, ცაგურია ბესარიონ, ცეკვაია იოსებ, ცეკვაია თადა, ცხომელიძე სიმონ.

ძიგუა ესტატე.

წვერავა მიხეილ, წულაძე ირაკლი, წივწივაძე ვარლამ, ჭავჭავანიძე ალექსანდრე, ჭავჭავანიძე დიმიტრი, ჭავჭავანიძე ნიკო, ჭავჭავანიძე სარდიონ, ჭავჭავანიძისა დესპინე, ჭავჭავანიძე ნიკო მიხ., ჭედია პავლე თ., ჭანტურია დავით, ჭანტურია მიხეილ, ჭყონია პავლე, ჭელიძე გიორგი, ჭავა ათანასე, ჭანტურია ყარამან სტ., ჭელიძე სილიბისტრო ი., ჭანტურია გიორგი გ.

ხომერიკი კაცია ნ., ხოშტარია ნესტორ, ხახუბია თადეოზ, ხურცილავა გიგო, ხუბუტია ეგნატე ნ.

ჯიშქარიანი გრიგოლ, ჯანაშია ნიკო, ჯულელი ანთიმოზ, ჯმუხაძე მალაქია, ჯღამაია თადა, ჯანაშია პავლე, ჯანჯღავა კონსტანტინე, ჯღამაი ნიკო, ჯავახიძე თომა, ჯანაშიასი ელენე. სულ 298.

კანდიდატები: (ფული შემოტანილი აქვთ)

აფაქიძისა კნ. მენიკი კ. ასული, არჩაია გიორგი პავლეს ძე.

ბარკალაია ყარამან ბაძუს ძე, ბარკალაია იაგორ.

გირურავა *ტარასი, გეგელაშვილი ნიკო, გაბუნია ელისაბედი, გოგიჯანაშვილისა ნატალია, გიგინეიშვილი ნიკო შვე.

ზარქუა გუძა.

თურქი გიორგი იორდ., თოფურიძე დიმიტრი სამს. სულ 12.

დედნიდგან გადასწერა და შეამოწმა ნოე ქურუმიძემ.



ზუგდიდის განყოფილების 1913 წლის ანგარიში.

I. გამგეობის შედგენილება:

1913 წლის გამგეობა შესდგებოდა 24 მაისამდე 5 წევრისაგან. 14 მაისს გამგეობას გამოაკლდა ერთი წევრი, ბ-ნი ანდრია პატარაია, რომელიც სამსახურის გამო გადაიყვანეს დაბა ხობში. 24 მაისს საზოგადო კრებამ გამგეობის დარჩენილი 4 წევრს მიუმატა ორი წევრი: ერთი გასული წევრი პატარიას მაგიერ და ერთი — ახალი. 13 ივლისს გამგეობას თავის სურვილით თავი დაანება ბ-ნმა ნიკო ბერიძემ, რომლის სამაგიეროდ 4 აგვისტოდან გამგეობამ წევრად მოიწვია ერთ-ერთი კანდიდატთაგანი, რომელსაც საზოგადო კრებაში უფრო მეტი ხმა ამოუვიდა; სახელდობ ბ-ნი კლიმ. ლორთქიფანიძე. იგივე იქმნა თავმჯდომარის ამხანაგად არჩეული. ამ რიგად, წლის ბოლომდე გამგეობაში შედიოდნენ: გამგეობის თავმჯდომარე თ. აქვ. ფალავა, მისი ამხანაგი კლიმენტი ლორთქიფანიძე, წევრი-ხაზინადარი. თ-დი გიორგი ხერხეულიძე, წევრნი: ქ. ბ. კატო კედიას ასული და ბ. სოკრატი კეშილავა და წევრი-მდივანი ნიკო ბუკია.

საანგარიშო 1913 წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა სულ 12 სხდომა, რომელთაც დაესწრნენ:

გამგეობის თავმჯდომარე აქ. ფალავა	.	11-ჯერ
გამგეობის წევრი ა. პატარაია (1, მაისამდე)	.	2 —
„ — ნ. ბერიძე (13 ივლისამდე)	.	5 —
„ — ქ. კედიას ასული —	.	10 —
„ — ს. კეშილავა (ქუთ. ყოფ. გამო).	.	7 —
„ — თ-დი გ. ხერხეულიძე (24 მაის.)	.	7 —
„ — ქ. ლორთქიფანიძე (4 აგვის.)	.	4 —
„ — ნ. ბუკია (24 მაისიდან)	.	9 —

II. განყოფილების წლიური კრება.

განყოფილების წლიური კრება მოხდა საანგარიშო წლის 2 მარტს, მაგრამ ეს კრება მთავარ გამგეობის მიერ, როგორც უკანონოდ ცნობილი, არ იქმნა დამტკიცებული და მის მაგიერ მოწვეულ იქმნა მეორე საზოგადო კრება 1913 წლის 24 მაისს. ამ უკანასკნელ საზ. კრებამ, განიხილა რა 1912 წლის ანგარიში და გამგეობის მოქმედება და მოისმინა რა მომავალი 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ყოველივე რიგიანად სცნო და დაამტკიცა. ამასთან, კრებამ აირჩია თავიანთ შორის: ორი გამგეობის წევრი, სამი გამგეობის წევრთა კანდიდატი და სამივე სარევიზიო კომისიის წევრი. 24 მაისის საზ. კრების ოქმი მთავარ გამგეობის მიერ დამტკიცებული არის.

III. გამგეობის მოქმედების უმთავრესი მხარეები.

1. განყოფილების ნიეთიერ საშუალებათა გაძლიერებაზე ზრუნვა.

ა) გამგეობამ თავისი წევრები და აგენტების დახმარებით გაამრავლა განყოფილების წევრთა რიცხვი და აიყვანა ის 102-მდე.

1912 წელს განყოფილებას ჰყავდა 35 წევრი.

1913 „ „ მიემატა 67 „

სულ განყოფილებაში ირიცხება წევრად 102 კაცი, ხოლო მათზე სხვა და სხვა წლის შემოუტანელი გადასახადი ვალად ითვლება 69 მან.

ბ) 1913 წლის, 31 მარტში, გამგეობამ მოიწვია დაბა ზუგდიდში იუბილიარი ბ-ნი ალექსი მესხიშვილი, რომელსაც გადაუხადა XXX წლის მოღვაწეობის იუბილე, მით რომ მოაწყო სადღესასწაულო მოსალოცი დილა და საღამო წარმოდგენით, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა თვით იუბილიარი, და საღამოდან შემოსული წმინდა მოგება 180 მანეთი მიართვა იუბილიარს საჩუქრათ.

(დასასრული აქნება)



განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება
აცხადებს, რომ წელს, ნ. ლოლობერიძის სახელობის თანხის სარგებლიდან დანიშნულია პრემიათ 300 მანეთი.

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოდგენს საკონკურსო საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. ლოლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი; ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა ან რომლი-

სამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია; ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს:

ა) ქართული მწერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რამდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა; დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისამე კერძო ეპოქისა; ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

5. თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) ლეგროვება და შესწავლა ან და გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენის სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, ზნე-ჩვეულებებიდგან, ფიზიკურ აგებულებებიდგან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა — გამოსარკვევად: ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამომავლობისა სხვა ერთა შორის.

ენიშვნა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ ზემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგი ქართული მუსიკისა; გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარმოდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1915 წლისა...

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერით და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1911 წელზე ადრე გამოცემული.



ყოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მეხუთე)

ყოველდღიური გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებისათ: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი. ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1914 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ სამ წიგნს: 1) „ქართველი მწერლები“, 2) „უცხოეთის მწერლები“. 3) „სამეცნიერო კრებული“.

სამი აბაზი უნდა გადაიხდოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ქსურს მიიღოს ფოსტით სამი საბრეშია წიგნი.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოვა 1914 წ. საშაფვილო უზრნალი

ნაკადული

(წელიწადი მეათე)

ხელის მოწერა მიიღება უზრნალ „ნაკადულის“ რედაქციაში.

გოლფინის პრესბუქტზე ზუბალაშვილის სახლში № 8. და წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების მდარზიაში, თავ. აზნ. ქარვასლა)

1914 წლის 1-ლ იანვრიდან 1915 წლის 1-ლ იანვრამდე წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—3 მან.

საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს შეეცემა წიგნი: „მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“, (მრავალი სურათით) გიორგი ანთელიძისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძისა. გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.

გამართულია ხელის მოწერა 1914 წლის

„ხმა კახეთისა“

(წელიწადი მესამე)

1914 წელს გაზეთი გამოვა კვირაში ორჯერ, ხუთშაბათობით და კვირაობით.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 3 მან. 50 კ.; ნახევარი წლით 1 მან. 80 კ., ერთი თვით 1 მან. 40 კ. სიღნაღში და სოფლებში: ერთი წლით 2 მან. 50 კ. ნახევარი წლით 1 მან. 30 კაპ. ერთი თვით 1 მან. 25 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

მისამართი: г. Сигна хЪК. I. Ткавадзе.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთვის.

(წელიწადი მეშვიდე)

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორისთვისა. ჟურნალში იბეჭ-დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მხნაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მე-ცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1914 წ. ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: **ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსოს და კომენსკის სურათებს**. ალბომს ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლისას“ და „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ნ. ა. ყარაშვილის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველ-გვარი ცნობები ქ. შ. წერს-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რე-დაქციაში და წერს-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან**. **ქუთაისში** ისილორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** ტრ. ინსარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას ჭ სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტებს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ დონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская
Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**